ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№085 (12 155)

13 აპრილი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

XX ტური

16:00. 13 აპრილი, პარასკევი

დინამო-ზესტაფონი
ბორჯომი-ტორპედო
ამერი-სიონი
დილა-კახეთი
ბათუმი-ლოკომოტივი
ჩიხურა-მერანი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

# დიდი ბრძოლები ვაკესა და მცხეთაში

## უპრინციპულესი ტური. დღეს, შეიძლება, ბევრი რამ გაირკვეს

წინასამატჩო 2-3

## რამიშვილი ადასტურებს: ყრილობა 13 მაისს

შეიცვალა თუ არა წესდება?

4

## ბათუმი ტყუილისთვის დაისაჯა

## ჩვენს ქალებს შანსი მოემატათ

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

11



## შუსტერმა რეალთან კონტრაქტი გააფორმა

მსოფლიო ფეხბურთი

6-10




უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

კლოზეს ეფექტური გოლი

# შოთა ევროპას დაემშვიდობა

## ვერდერის კორიდა, უეფას თასზე ესპანეთი დომინირებს

დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ჰქონდა "ალკმაარს" იმედი, რომ ბრემენში სენსაციას გამოაცხობდა, მაგრამ 3:1-ზე ლუის ვან გაალისა და მისი შეგირდების ევროამბიციას, ფაქტობრივად, წერტილი დაესვა. უცნაურად დაემთხვა შოთა არველაძის შეცვლა ამ გოლს. ქართველი ფორვარდი ჯერ სკამზეც არ იქნებოდა დამჯდარი, როცა კლოზემ (პირველ ტაიმში მან 1100-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა და ეტყობა, საგოლე მადაც დაიბრუნა) მეორედ ამოიღო მიზანში ვატერმანის კარი. ისე, შოთას შეცვლა ლოგიკური და ცოტა გაბედული ნაბიჯიც იყო ვან გაალის მხრიდან. ბრემენელებმა "ალკმაარის" მთავარი დამრტყმელი ძალა და უეფას თასის ერთ-ერთი ბომბარდირი (შოთამ მისთვის ან უკვე დასრულებულ ტურნირში 7 გოლი გაიტანა) საფუძვლიანად ამოკეტეს. არველაძემ პირველ ტაიმში ერთხელ მოახერხა კარში დარტყმა და ისიც უზუსტოდ. მოკლედ, ეს საღამო "ვერდერისა" იყო. საბოლოოდ 4:1.

უეფას თასის ნახევარფინალშიც ისეთივე სიტუაციაა, როგორიც ჩემპიონთა ლიგაში. აქაც ერთი ქვეყანა დომინირებს. თუკი ლიგაში ალლუმი ინგლისელებს მიჰყავთ, უეფაზე ჯილდოს მთავარი პრეტენდენტი ესპანეთია, რომელმაც მომდევნო სტადიაზე ასევე სამი გუნდი გაიყვანა. თუმცა ეს არ არის ამ ტურნირის რეკორდი. გავიხსენოთ, რომ 1980 წელს ნახევარფინალში მხოლოდ გერმანული (გფრ) გუნდები იყვნენ...

გუშინ კი სამივე ესპანურმა კლუბმა მეტ-ნაკლები ძალისხმევით შეძლო სანახევარფინალო გზის გაკვლევა. თასის მოქმედ მფლობელ "სევილიას" "ტოტენჰემთან" შეხვედრაში ბოლოს მოუნია ნერვიულობა, თორემ დასაწყისი ისეთი ჰქონდა, უკეთესს ვერც ინატრებდა: მე-8 წუთისთვის ბურთმა ორჯერ მოიკითხა "მამლების" კარის ბადე. მეორე ტაიმის ერთწუთიან მონაკვეთში მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება კი მოახერხეს, მაგრამ ეს იყო და ეს, მეტისთვის ძალა აღარ შერჩათ. ახლა, "სევილიას" აქვს შანსი, პირველი გუნდი გახდეს 1986 წლის შემდეგ, ვინც უეფას თასს ზედიზედ მეორედ მოიგებს. მაშინ, ეს "რეალმა" (აქაც ესპანეთი!) შეძლო...

"ესპანიოლმა" ვაჟკაცურად გაუძლო "ბენფიკას" დაწოლას და ერთობ საშიში 3:2 (პირველი მატჩი მათ სასარგებლოდ დასრულდა) ხელუხლებლად შეინარჩუნა. "ოსასუნამ" კი "ლევერკუზენთან" ფორმალობად ქცეული საპასუხო მატჩიც მოიგო და ამ რანგის ტურნირის ნახევარფინალში პირველად გაალწია.

ტექნიკური შედეგები 15



შოთა კლოზეს დამსახურებულ გამარჯვებასა და დუბლს ულოცავს

ნახევარფინალი

26 აპრილი/3 მაისი

ოსასუნა-სევილია
ესპანიოლი-ვერდერი

პირველი მატჩები პამპლონასა და ბარსელონაში გაიმართება

ყაზბეგი
www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

## საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XX ტური. წინათქმა

# უპრინციპულესი

## დღეს პასუხი ბევრ კითხვას გაეცემა

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 19 | 15 | 3 | 1 | 45-6 | 48 |
| 2. დინამო | 19 | 15 | 0 | 4 | 39-15 | 45 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 12 | 6 | 1 | 37-6 | 42 |
| 4. ამერი | 19 | 12 | 4 | 3 | 34-12 | 40 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 19 | 11 | 5 | 3 | 38-23 | 38 |
| 6. სიონი | 19 | 10 | 2 | 7 | 25-16 | 32 |
| 7. ტორპედო | 19 | 8 | 4 | 7 | 18-17 | 28 |
| 8. ბათუმი | 19 | 6 | 4 | 9 | 19-22 | 22 |
| 9. ბორჯომი | 19 | 5 | 5 | 9 | 17-29 | 20 |
| 10. მერანი | 19 | 4 | 6 | 9 | 14-30 | 18 |
| 11. ლოკომოტივი | 19 | 4 | 5 | 10 | 12-26 | 17 |
| 12. ჩიხურა | 19 | 3 | 6 | 10 | 11-27 | 15 |
| 13. დილა | 19 | 1 | 3 | 15 | 10-48 | 6 |
| 14. კახეთი | 19 | 0 | 1 | 18 | 15-57 | 1 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 10 | 9 | 1 | 0 | 27-3 | 28 |
| 2. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 19-5 | 24 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 7 | 3 | 0 | 22-1 | 24 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 9 | 7 | 2 | 0 | 23-9 | 23 |
| 5. ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 17-3 | 23 |
| 6. სიონი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-5 | 19 |
| 7. ტორპედო | 10 | 5 | 2 | 3 | 11-10 | 17 |
| 8. ლოკომოტივი | 10 | 4 | 2 | 4 | 9-12 | 14 |
| 9. ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 10. ბორჯომი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-14 | 12 |
| 11. ჩიხურა | 9 | 2 | 4 | 3 | 6-10 | 10 |
| 12. მერანი | 10 | 1 | 4 | 5 | 5-16 | 7 |
| 13. დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-21 | 4 |
| 14. კახეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 9-25 | 1 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 7 | 0 | 3 | 20-10 | 21 |
| 2. ოლიმპი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-3 | 20 |
| 3. ზესტაფონი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-5 | 18 |
| 4. ამერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-9 | 17 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 15-14 | 15 |
| 6. სიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-11 | 13 |
| 7. ტორპედო | 9 | 3 | 2 | 4 | 7-7 | 11 |
| 8. მერანი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-14 | 11 |
| 9. ბათუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 9 |
| 10. ბორჯომი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-15 | 8 |
| 11. ჩიხურა | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |
| 12. ლოკომოტივი | 9 | 0 | 3 | 6 | 3-14 | 3 |
| 13. დილა | 10 | 0 | 2 | 9 | 7-27 | 2 |
| 14. კახეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 6-32 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ს. იაშვილი (დინამო) | 13 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 12 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| დოლიძე (ამერი) | 7 |
| ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| წინამძღვრიშვილი (ამერი) | 6 |
| ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| ჩასემი (სიონი) | 5 |
| გოგოხიძე (დინამო) | 5 |
| გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 5 |
| ს. დავითაშვილი (ამერი) | 5 |
| ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| დვალი (დინამო/ჩიხურა) | 4 |
| კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| შ. ღონღაძე (ზესტაფონი) | 4 |
| აფციაური (ოლიმპი) | 4 |

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ტური უპრინციპულესია მთელ მეორე წრეში. დღეს პასუხი ბევრ შეკითხვას გაეცემა, შესაძლოა, საჩემპიონო ბრძოლა კიდევ უფრო ჩაიხლართოს, ან პირიქით, ოქროს მაძიებელი უფრო მეტად გამოიკვეთოს. - "დინამოსა" და "ზესტაფონის" ორთაბრძოლები ბოლო წლებში ჩვენი ჩემპიონატის მშვენებად იქცა და ძნელი წარმოსადგენია, ქომაგი დღევანდელი თამაშის ხარისხით დარჩეს უკმაყოფილო. ქულების დაკარგვის უფლება არც ერთპიროვნულ ლიდერ "ოლიმპს" აქვს, ძოძუაშვილის ბიჭები წესით, მედგარ წინააღმდეგობას უნდა წააწყდნენ მცხეთაში. ნაკლებად მნიშვნელოვანი არც ჩემპიონისა და თასის მფლობელის ჭიდილი იქნება. თავისი ინტრიგა აქვს აუტსაიდერთა მატჩსაც.**

**ერთი ეგაა ცუდი, ტურის ყველა მატჩი პარალელურად რომ ტარდება. უმჯობესი იქნებოდა, პროფლიგას ჩემპიონატზე კანტიკუნტად მოსიარულე ხალხის ინტერესები გაეთვალისწინებინა და ცენტრალური შეხვედრები გაეცალკევებინა.**



დინამო-ზესტაფონი. დღეს ვაკეში დიდი ბრძოლა იქნება

### 16:00 დინამო-ზესტაფონი

13 აპრილი. თბილისი. მ. მესხი
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დილმელაშვილი, იაშვილი

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე, ბ. ნოზაძე, ჟონატასი, ვიეირა, ფიფია, იონანიძე

არბიტრი: ფანიაშვილი

ასისტენტები: ჩიგოგიძე, თოდრია

გასულ ტურში დინამოელებს თელავში დიდი ბრძოლა გადახდათ, "ზესტაფონმა" კი პირიქით, მოძლიერებულ "ბათუმს" იოლად სძლია. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ორივე გუნდს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს, სხვაგვარად, "ოლიმპს" პირველობის გამყარების შესანიშნავი პერსპექტივა ექნება. რახანია, "დინამოს" ზესტაფონელები არ დაუმარცხებია. **უპრინსა** და მის შეგირდებს მეორე წრეში ქულათა მაქსიმუმი აქვთ და ვნახოთ, გაგრძელდება თუ არა თბილისელთა გამარჯვებათა სერია იმერლებთან ურთიერთშეხვედრათა უსიამოვნო ტრადიციის დარღვევით.

"ზესტაფონს" "ბათუმთან" სათასო ნახევარფინალი ელის და ამ ორი პრინციპული მატჩისთვის ძალების გადანაწილება მართებს, თუმცა ისიც ნათელია, რომ "დინამოსთან" დაპირისპირებას განსაკუთრებული ელფერი და ფასი აქვს. მარცხი მასპინძელსაც და სტუმარსაც პირველი საფეხურისგან საგრძნობლად დააშორებს, ეს "ზესტაფონს" უფრო ეხება. სავარაუდოდ, დღეს თამაშს **კახა და გაგა ჩხეტიანები** ვერ შეძლებენ. ორივე მათგანი ტრავმირებულია.

### 16:00 ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

13 აპრილი. მცხეთა. არმაზი
პირველ წრეში: 0:4

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, სახოკია, გელაშვილი, მელქაძე

დისკვალიფიკაცია: კვალინიძე

ოლიმპი: მერლანი, გ. ონიანი, ჭიჭველიშვილი, მახვილაძე, ნავალოვსკი, ძამსაშვილი, ქებაძე, აფციაური, გენაძე, დვალიშვილი, რ. გოცირიძე

არბიტრი: მაისურაძე

ასისტენტები: მიქელაძე, გ. დოგრაშვილი

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა "ოლიმპმა" სწორედ "ვიტ ჯორჯიასთან" ჩაატარა. ვეტერინარებს რევანში სწყურიათ, ერთპიროვნული ლიდერები კი მორიგი სამი ქულის დასაუფლებლად ემზადებიან. რუსთაველ კლუბს ჩემპიონატის ბოლომდე მკაცრი გამოცდა ბევრი არ აქვს ჩასაბარებელი, საკვანძო მატჩთაგან ერთ-ერთს კი "არმაზზე" გამართავს. ტრავმის გამო, სტუმრებს **სეთურიძე** დააკლდებათ.

"ვიტ ჯორჯიას" რაც შეეხება, ბოლოდროინდელი არასტაბილური ასპარეზობის გამო, **მუმლაძის** გუნდს ევროარენაზე გასვლის შანსი საგრძნობლად შეუმცირდა, მოწინავეთა შორის დასარჩენად, მასპინძლებს გამარჯვება სჭირდებათ. წესით და რიგით, გულშემატკივარმა მცხეთაში სანახაობრივი ფეხბურთით უნდა ისიამოვნოს.

### 16:00 ამერი-სიონი

13 აპრილი. თბილისი. ამერი
პირველ წრეში: 1:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე, მესხი, ბოლქვაძე, მჭედლიშვილი, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი

სიონი: მამალაძე, ექონია, ბოიომო, ორბელაძე, რაქვიაშვილი, სილაგაძე, ბაბუნაშვილი, კორღალიძე, სანიკიძე, დარასელია, ჩასემი

არბიტრი: კიკაჩეიშვილი

ასისტენტები: ელიკაშვილი, უკლება

თასის მოქმედი მფლობელი და მოქმედი ჩემპიონი ერთმანეთს სეზონში მესამედ ხვდებიან. "ამერმა" წინა ორ ჯერზე სასურველ შედეგს მიაღწია, ბოლნისიდან ქულა წამოიღო და სუპერთასიც მოიგო. მომდევნო ოფიციალურ მატჩს გლდანელები და ბოლნისელები ერთმანეთის წინააღმდეგ გამართავენ, უკვე თასის ნახევარფინალში. ორივე მხარე ღიად აცხადებს, რომ მათთვის პრიორიტეტი სათასო მატჩია. გუნდები შარშანაც თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ "ამერმა" იმარჯვა, ჩემპიონატში კი უკვე ბოლნისელებს დარჩათ გამარჯვება.

"ამერსაც" და "სიონსაც" მრავლად ჰყავთ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც გაფრთხილების შემთხვევაში, თასზე თამაშის უფლება არ ექნებათ. სავარაუდოა, რომ მათ ნაწილს მწვრთნელები დღეს არ ათამაშებენ.

### 16:00 ჩიხურა-მერანი

13 აპრილი. გორი. ქართლი
პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ჩიხურა: სტურუა, გიგაური, ქემოკლიძე, ბარამიძე, ქუხილავა, ქუცურუა, ი. ზაბახიძე, ვაშაკიძე, თავბერიძე, ბუცხრიკიძე, დვალი

დისკვალიფიკაცია: მახარაძე, გ. მიქაძე

მერანი: გლუნჩაძე, კედელაშვილი, ოსიტაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, აფშილავა, ბესარაშვილი, ჩივაძე, ოქრუაშვილი, კობერიძე, გაგუა, ქემაშვილი

არბიტრი: სილაგავა

ასისტენტები: გოგოლაძე, მოლოდინაშვილი

ჩვენი ინფორმაციით, დღეისთვის "მერანის" შემადგენლობაში კარდინალური ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც უშუალო კონკურენტთან მატჩისთვის, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. საჩხერელთა და თბილისელთა მთავარი საზრუნავი პირველლიგელთა ფლეი ოფისგან თავის არიდებაა, შესაბამისად, "ქართლის" მატჩი ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს. იმასაც შეგახსენებთ, რომ "ჩიხურა"-"ზესტაფონის" სკანდალური შეხვედრის შემდეგ, ამ სტადიონზე პირველი თამაში იმართება.

### 16:00 ბათუმი-ლოკომოტივი

13 აპრილი. ბათუმი. ადელი
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, ცანავა, გალოგრე, ხოხონიშვილი, შალამბერიძე, ნერგაძე, კერესელიძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია

დისკვალიფიკაცია: ლობჟანიძე, კუნჭულია

ლოკომოტივი: გვარამაძე, კუპრეიშვილი, თუთბერიძე, გ. კვახაძე, ფოფხაძე, სამხარაძე, მალიჩავა, გულორდავა, ჩომახიძე, ჟლენტი, ჩომახიძე

არბიტრი: ხარიტონაშვილი

ასისტენტები: გაბრიაძე, კურტანიძე

"ლოკომოტივმა" ბოლო მატჩები უსახურად ჩაატარა და სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება მართებს. "ბათუმი" კი "ზესტაფონთან" სათასო ჭიდილისთვის უფრო ემზადება და შესაძლოა, **ამირან გოგიტიძემ** ფეხბურთელთა ერთი ნაწილი დაასვენოს, ეს კი ცხადია, რკინიგზელთა წარმატების შანსს გაზრდის.

### 16:00 ბორჯომი-ტორპედო

13 აპრილი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
პირველ წრეში: 1:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბორჯომი: კოდალაევი, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, თ. ღონღაძე, შ. გრიგალაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი, კაკალაძე

ტორპედო: ქვილითაია, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე, ხურცილავა, ა. კვერნაძე, ლალაძე, ზ. ჩხეტიანი, ჯანაშია, გურული, ნადირაძე, იმედაძე

არბიტრი: ვადაჭკორია

ასისტენტები: ფიფია, ბერაძე

ქუთათურთათვის სეზონის დარჩენილ მატჩებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, არც "ბორჯომს" აკლია ბევრი სამშვიდობომდე. **ხაჩიძის** გუნდი, გამარჯვების შემთხვევაში, მიზნისკენ უზარმაზარ ნაბიჯს გადადგამს. ერთი შეხედვით, შეხვედრის ფავორიტები მასპინძლები არიან, მაგრამ გამორიცხული არც ისაა, ბოლოდროინდელი უსიამოვნებების შემდეგ, "ტორპედომ" დღეს მაინც შეძლოს შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა.

### 16:00 დილა-კახეთი

13 აპრილი. გორი. თ. ბურჯანაძე
პირველ წრეში: 2:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

დილა: თევდორაძე, დ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ყველაშვილი, ბალაშვილი, კ. ხანიშვილი, კობახიძე, სადალაშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, გონჩაროვი

კახეთი: იაშვილი, ლოლაძე, დავითულიანი, კუპრაშვილი, გ. ხიდაშელი, მ. ხიდაშელი, მაჩაიძე, გიგაური, მურველაშვილი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი

არბიტრი: ჭაჭუა

ასისტენტები: ჯვარიძე, მ. ურუშაძე

თუ გორელებმა სამი ქულა ვერ მოიპოვეს, შეუძლიათ, პირველი ლიგისთვის თადარიგი დღეიდანვე დაიჭირონ. "დილას" უმაღლესში დარჩენის თეორიული შანსი ჯერაც არ დაუკარგავს და სეზონში მეორედ გამარჯვებას შეეცდება. ბუნებრივია, თავს არც "კახეთი" დაზოგავს, თელაველებმა წინა ტურში "დინამოს" დიდი ბრძოლა გაუმართეს და წარმატების შანსი გორშიც ექნებათ. მოკლედ, ეს მატჩიც ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურის მთავარი მატჩები



ევორჩეს (შუაში) და სიონს ორ ფრონტზე მოუწევს ამერთან ბრძოლა

### ამერი-სიონი VS

**გიორგი ჩიხრაძე**
(ამერი, მთავარი მწვრთნელი):

■ მორიგი რთული მატჩი გველის. თამაშისთვის ჩვეულებრივ ვემზადებით. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და მაქსიმალურადაა მობილიზებული...

■ ერთადერთი, დისკვალიფიცირებული დენის დობროვოლსკი დაგვაკლდება. მართალია, ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს მივმართეთ დობროვოლკსკის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, მაგრამ საკითხი დადებითად არ გადაწყვეტილა...

■ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომელიც დისკვალიფიკაციის ზღვარზეა. მათ თასის ნახევარფინალისთვის შემოვინახავთ თუ არა ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა ასეც მოვიქცეთ, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არაფერი გადაგვიწყვიტია...

■ მეორე წრეში "სიონი" აშკარად გაძლიერდა. ასე რომ, სერიოზულ მეტოქესთან გვიწევს რთული მატჩის ჩატარება. აღსანიშნავია ისიც, რომ "სიონთან" ზედიზედ ორი მატჩი გველის, ჯერ ჩემპიონატში, მერე კი თასზე. თასზე ორრაუნდიანი ბრძოლა გველის და ბუნებრივია სტრატეგიაც სხვა იქნება...

■ საერთოდ შანსებზე ძნელია საუბარი. ვფიქრობ, ის თანაბარია.

**კახა ცხადაძე**
(სიონი, მთავარი მწვრთნელი):

■ მართალია, ჩვენ უპირატესად თასის გათამაშებაზე ვართ გადართულნი, მაგრამ ჩემპიონატის მატჩებსაც მნიშვნელოვნად მივიჩნევთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემპიონატში ქულების მოპოვება ჩვენთვისაც პრესტიჟულია...

■ მიკროტრავმები რამდენიმე მოთამაშეს აქვს, მაგრამ ამის გამო იმედია არავინ დაგვაკლდება. ჩვენთვის პრობლემატური ისაა, რომ ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი გვყავს ისეთი, რომელიც დისკვალიფიკაციის ზღვარზეა...

■ ბუნებრივად დაიბადება კითხვა მათ ხომ არ დავასვენებთ. ამ მეთოდს ბევრი მიმართავს. მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა "ამერთან" ზედიზედ ორი მატჩი გვაქვს. შესაძლოა, გარკვეული კორექტივები მართლაც შევიტანო შემადგენლობაში და დისკვალიფიკაციის ზღვარზე მყოფი მოთამაშეები თასის ნახევარფინალისთვის შემოვინახოთ. თუმცა საბოლოოდ ეს ჯერ კიდევ არ გვაქვს გადაწყვეტილი. ასეც რომ მოხდეს და მოთამაშეები დავასვენოთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს იოლი გასეირნება ელის. პირიქით, სხვა მოთამაშეებს მიეცემათ შანსი და ისინი ყველაფერს გააკეთებენ საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად...

■ "ამერი" თასის მფლობელია და ძლიერ მეტოქესთან გვიწევს დაპირისპირება. ვფიქრობ, ეს მატჩი თასის ნახევარფინალის ერთგვარი პრელუდიაა. მეტოქე მასპინძელია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბარი აქვს.

### დინამო-ზესტაფონი VS

**დუშან უჰრინი**
(დინამო, მთავარი მწვრთნელი):

■ ორი აზრი არ არსებობს, რთული მატჩი გველის, თუმცა დარწმუნებული ვარ თითოეული ფეხბურთელი სრულადაა მობილიზებული და გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებს...

■ საბედნიეროდ, დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული ფეხბურთელები არ გვყავს. ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის "დინამო" ოპტიმალური შემადგენლობით ემზადება...

■ ჩემი აზრით, "ზესტაფონი" პირველი წრის საუკეთესო გუნდია. მოწინააღმდეგეს ძალიან კარგი შემადგენლობა ჰყავს.

■ ერთსაც დავამატებდი, სასიამოვნოა, რომ ამ მატჩის პირდაპირი ტრანსლაციას "ტელე იმედი" აკეთებს. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ მატჩი სამუშაო დღეს, თანაც სამუშაო საათებში იმართება. მაინც მჯერა ამ დაძაბულ და საინტერესო თამაშს ტრიბუნაზე გულშემატკივარი არ მოაკლდება.

**პაატა ლურსმანაშვილი**
(ზესტაფონი, მწვრთნელი):

■ ჩვენი გუნდი უკვე თბილისშია, სასტუმროში დავბინავდით და "დინამოსთან" მატჩისთვის განვაგრძობთ სამზადისს. დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის, უდავოა. რაღა თქმა უნდა, ქულათა მაქსიმუმის მოსაპოვებლად არაფერს დავიშურებთ...

■ სამწუხაროდ დანაკლისს საამმატჩოდ ვერ ავცდით, კახა და გაგა ჩხეტიანები არ გვეყოლება...

■ ორი აზრი არ არსებობს, ზამთრის პაუზის შემდეგ, თბილისის "დინამო" საგრძნობლად გაძლიერდა. მეტოქე ადგილობრივი და გამორჩეული უცხოელი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ყველა სათამაშო რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია და ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია. მოწინააღმდეგეს გამოცდილი მწვრთნელი ჰყავს. "დინამოს" მეორე წრეში თამაში არ წაუგია და ბუნებრივია ხვალაც მოგებისთვის იბრძოლებს, მაგრამ დედაქალაქში ჩვენც არ ჩამოვსულვართ ტყუილად...

■ ჩემი აზრით, ჩვენ არ გვყავს მეტოქეზე ნაკლები შემადგენლობა. მართალია, სტუმრის როლში ვართ, მაგრამ ჩვენთვის შინ და სტუმრად თამაშს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. შანსების შეფასება იოლი საქმე არაა... მიჭირს კონკრეტულად რაიმეს თქმა, მაგრამ შანსებს მაინც თანაბრად შევაფასებდი.

### ვიტ ჯორჯია-ოლიმპი VS

**ზურაბ ბერიძე**
(ვიტ ჯორჯია, მწვრთნელი):

■ მორიგი ტურის მატჩისთვის ჩვეულებრივ ვემზადებით. ჩვენი გუნდი უკვე შეკრებაზეა გადასული. გათამაშების ცხრილის ლიდერს ვეთამაშებით და ბუნებრივია მძიმე თამაში გველის...

■ წინა მატჩებში ყოველთვის გვაკლდა თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი. იმედი მაქვს, ამჯერად არავინ დაგვაკლდება...

■ მეტოქეზე ბევრი კარგის თქმა შეიძლება. ცხრილს ლიდერობს და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. რუსთაველებს კარგი შემადგენლობა ჰყავთ. მეტოქე გუნდი ყველა რგოლში კარგადაა დაკომპლექტებული. ამასთან, მწვრთნელიც გამოცდილი ჰყავთ. "ოლიმპი" ცხრილის ლიდერია და ბუნებრივია ყველაფერს გააკეთებს, რომ ჩანაფიქრი განახორციელოს და ჩემპიონობა მოიპოვოს. თუმცა ჩვენ ჩვენი გეგმები გვაქვს. ცდას და მონდომებას არ დავაკლებთ სასურველი მიზნის მისაღწევად...

■ ჩემი აზრით, შანსები 50\50-ზეა.

**რევაზ ძოძუაშვილი**
(ოლიმპი, მთავარი მწვრთნელი):

■ ჩვეულებრივ ვემზადებით და კარგად ვიცით, რომ რთული მატჩი გველის. მცხეთაში ცხარე ბრძოლა გვექნება. ყოველი მოგებით ვუახლოვდებით სასურველ მიზანს, ჩემპიონობას. ოქროსთვის ბრძოლაში ჩვენი შანსები იზრდება და ამ შანსს მეტი გაფრთხილება უნდა. შესაბამისად პასუხისმგებლობაც იზრდება.

■ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი არ გვყავს. ერთადერთი, გიორგი სეთურიძე დაგვაკლდება ავადმყოფობის გამო.

■ "ვიტ ჯორჯია" ახალგაზრდული, მოძრავი და მებრძოლი გუნდია. კარგი ფეხბურთელები ჰყავს... ადრე ჩემპიონიც იყო და ახლაც ლიდერებშია. ვეტერინარებს კარგი მწვრთნელი ჰყავთ და დაძაბული ბრძოლა გველის. ვფიქრობ, ქომაგებს საინტერესო სანახაობა ელით...

■ მართალია, სტუმრად გვიწევს თამაში, მაგრამ ჩვენ კარგი შემადგენლობა გვყავს. ასე რომ, იოლად არც ჩვენ დავთმობთ რამეს და არც მოწინააღმდეგე... ჩემი აზრით, მოგების შანსი ორივე გუნდს ერთნაირი აქვს.

**დავით ცაბაძე**

დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს
გამოიცანი თერთმეტი თამაში
მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 7000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!
ბილეთის ფასი 2 ლარი



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი

13..04.2007 - მე-20-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ბორჯომი -ტორპედო | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი |
| ამერი-სიონი | მაინცი-შალკე |
| დილა-კახეთი | მესინა-მილანო |
| დინამო თბ-ზესტაფონი | ალკმაარი-ვიტესი |
| დინამო ბთ-ლოკომოტივი | დნეპრი-ხარკოვი |
| ჩიხურა-მერანი | |

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში...
ტონუსი
მსუბუქი გაზეთი ყველა თაობისათვის
ფასი 30 თეთრი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ექსპერტის ვიზიტი

# ბალახი კარგი გაქვთო

## ჰერვიგ მიუნსტერი: ასეთ მოედანზე მაღალი რანგის თამაშების ჩატარება დაუფიქრებლად შეიძლება

ეროვნული სტადიონი ხუთვარსკვლავიანი უნდა გახდეს. ეს სტადიონის დირექციის მთავარი მიზანია და აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს მუშაობა. "პაიჭაძის" გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი მეძმარიაშვილმა** გერმანიიდან ბალახის საფარის სპეციალისტი, **ჰერვიგ მიუნსტერი** მიიწვია. ცნობისთვის: მიუნსტერი გერმანიაში ამ სფეროში ერთ-ერთი ავტორიტეტია და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მინდვრებს ამზადებდა.

გუშინ ჰერვიგ მიუნსტერმა, მეძმარიაშვილთან და "გეოგრასის" გენერალურ დირექტორ **ლევან ცხოვრებაშვილთან** ერთად პრესკონფერენცია გამართა. ამის შემდეგ გერმანელ სტუმართან გასაუბრების საშუალება მოგვეცა.

**- ჰერ მიუნსტერ, როგორ შეაფასებთ ეროვნული სტადიონის ბალახის საფარის მდგომარეობას?**

- ათბალიანი სისტემით რვა ბალს მივცემდი. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მოედანზე ბოლო დროს რამდენი ვარჯიში და შეხვედრა გაიმართა, უნდა დავასკვნათ, რომ საფარი კარგადაა დაგებული. ის საუკეთესო მდგომარეობაშია.

**- საუკეთესო მოედნები მხოლოდ ევროპაში გვეგონა იყო...**

- არა, მე ასეთ შეფასებებს ტყუილად არ გავაკეთებ.

**- თუკი კარგია, მაშინ გვითხარით, გერმანიის რომელი სტადიონის საფარზე უკეთესია?**

- მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებისას, ზოგიერთ სტადიონზე საფარი სამჯერ შეიცვალა. ამას დიდი თანხა სჭირდება. ამ დონის ტურნირისთვის მხოლოდ ათბალიანი საფარი გამოდგება და დიდი შრომა გავწიეთ. თქვენს სტადიონზეც შესაძლებელი იქნება ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილება. რაც მთავარია, დრენაჟი და სხვა სამუშაოები კარგადაა გაკეთებული.

ასეთ მოედანზე მაღალი რანგის თამაშების ჩატარება დაუფიქრებლად შეიძლება.

**- ჩვენი სტადიონის დირექციას აქ უეფას თასის ფინალის მასპინძლობა სურს.**

- ასეთ მოედანზე უეფას ფინალის მასპინძლობაც შეიძლება. საერთოდ, სტადიონზე საუკეთესო შთაბეჭდილება დამრჩა. ლამაზი და კომფორტულია. მე ვიცი, ეს არენა რა დღეშიც იყო. 2002 წელს პირველად ჩამოვედი თბილისში და შედარებაც არ შეიძლება.

**- მაშინდელი შეფერილობით, რუხი ფერებით საბჭოთა ჯარის სტადიონად გამოდგებოდა...**

- დიახ, სწორია. მე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და შემიძლია ვთქვა, რომ თბილისში არქიტექტურით ერთ-ერთი ლამაზი არენაა.

**ირაკლი მეძმარიაშვილი:**

- გერმანიიდან სპეციალისტი შეგნებულად მოვიწვიეთ. ჩვენ სტადიონის ელიტურ დონემდე მიყვანა გვსურს და მისი ინსპექტირება დამოუკიდებლადაც დავიწყეთ. გვსურს, ვიცოდეთ, რა უნდა გამოვასწოროთ, სპეციალისტებისგან კი რჩევებს ველით. მიუნსტერის შეფასებით, ჩვენი საფარი რვა ბალს იმსახურებს, მაგრამ კიდევ უკეთესი საფარი გვექნება.

მაისში სტადიონის ლიცენზირება უნდა გავიაროთ და მანამდე სხვა პროფილის სპეციალისტებსაც მოვიწვევთ, მათ შორის პირველი განათების იქნება. საერთო მიზანი კი თბილისში უეფას თასის მასპინძლობაა და საამისოდ რაც საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებთ. უეფას პრეზიდენტმა ვიზიტის დროს დაგვაიმედა, ეს შესაძლებელიაო. ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია. "გეოგრასთან" ერთად მოვიწვიეთ მიუნსტერი, რომელიც ამ საქმეში დიდ გამოცდილებას ფლობს.

**- სხვათა შორის, საკმაოდ ბევრს გაუკვირდა, როდესაც ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტმა ხუთბალიან სისტემაში მხოლოდ სამი ბალი დაგიწერათ ანუ ელიტ-კატეგორია არ მოგანიჭათ.**

- ჩვენ გვაქვს უეფას კომისიის დადებითი დასკვნა ყველა კითხვაზე. შენიშვნა მხოლოდ ბილეთების გასაღებაზე მოგვცეს. იგი ელექტრონულ სისტემაზე უნდა გადავიყვანოთ. მეორე რჩევა კი სატელევიზიო კამერების დასაყენებელი ადგილის 6 კვადრატული მეტრიდან 10-მდე გაზრდაა. რატომ მიიღო ჩვენმა ლიცენზირების კომიტეტმა ასეთი გადაწყვეტილება, თავად გიპასუხონ.

სტადიონი 26 მაისის მატჩისთვის ემზადება, ამ დღეს საქართველოს თასის ფინალს ვუმასპინძლებთ. დარწმუნებული ვარ, სწორი მუშაობის შემთხვევაში, ტრიბუნები შეივსება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ყრილობა 13 მაისს შედგება

**ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გაამხილა, რომ 16 აპრილს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დადგინდება, თუ როდის ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები.**

**პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა კი "ლელოს" ოფიციალურად დაუდასტურა, რომ რეალურია ყრილობის 13 მაისს ჩატარება.**

- დიახ, არის სურვილი, ყრილობა 13 მაისს ჩატარდეს. ეს აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს.

**- დებულების თანახმად, ყრილობის თარიღის დადგენიდან მის ჩატარებამდე ორთვიანი შუალედი არ უნდა იყოს?**

- ესეც კარგადაა წესდებასთან შეხამებული. ასე რომ, პრეტენზია არ უნდა გაჩნდეს. დებულების პუნქტები დაცულია.

**- ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები უკვე ცნობილია?**

- ჯერ თარიღი გამოცხადდება და კანდიდატების სახელები მერე გაირკვევა.

**მამუკა კვარაცხელია** პირველია, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი დაადასტურა. მან ყრილობის ჩატარების შესაძლო თარიღზე პრეტენზია გამოთქვა.

- დიახ, არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ. დანიიდან ამიტომაც ჩამოვედი. ახალკაცის წინააღმდეგ ბრძოლა დავიწყე და ხელი ახლა რატომ უნდა ავიღო?

**- თქვენთვის ცნობილი იქნება, რომ არჩევნების 13 მაისს ჩატარების საკითხი განიხილება.**

- ჯერ დაველოდოთ აღმასკომის გადაწყვეტილებას. თუმცა ასე თუ მოხდა, გამართლებული არ იქნება.

**- რატომ?**

- ფედერაციის წესდება პარტიზანული მეთოდით მოვიპოვე და შევიტყვე, რომ ყრილობის ჩატარების ბოლო თარიღი 30 ივნისია. მაშინვე ვივარაუდე, რომ მას 13 მაისს დაამთხვევდნენ. ერთი ფაქტორი კი ისაა, რომ ივნისის დასაწყისში ნაკრებს ლიტვასა და საფრანგეთთან ორი გასვლითი მატჩი ელის. შინ ფარერებს ძლივს მოვუგეთ და გასვლაზე რა შედეგები გვექნება, ძნელი წარმოსადგენი არაა. ასე კი ყრილობამდე ცუდი ფონი შეიქმნება. ანუ ყრილობა უნდა ჩატარდეს მაისში და როდის? რა თქმა უნდა, 13 მაისს. იმიტომ, რომ ახალკაცი 13 მაისით სპეკულირებას შეეცდება. შარშანდელი ყრილობაც ამ დღეს არ გამართა?

თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ კანდიდატებს არათანაბარი პირობები ექმნებათ. ყრილობამდე ერთი თვეა დარჩენილი, რაც 30-მდე დელეგატთან შეხვედრისა და პროგრამის გაცნობისთვის საკმარისი არაა. თუმცა ეს ახალკაცის სტილია - ჩუმად, მალულად აკეთოს საქმე, გააფორმოს კონტრაქტები.

იცით რა არის უცნაური? წესდებიდან ამოღებულია პუნქტი, გამოცხადების შემდეგ რამდენ ხანში უნდა ჩატარდეს ყრილობა, კანდიდატურის წამოყენების წესი, ეს კანდიდატურები ვინ უნდა წარმოადგინოს და ა.შ.

**მერაბ მამულაშვილი**

პროფლიგა

# ბათუმი ტყუილისთვის დაისაჯა



**გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა. ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი გვესაუბრება იმაზე, თუ რა საკითხები განიხილებოდა.**

- ოთხი საკითხი განვიხილეთ. პირველი ბათუმის "დინამოს" შეეხებოდა. ჩემპიონატის დაწყებამდე მისი სტადიონი დაანგრიეს. მათი მინუსია, თუკი ეს არ იცოდნენ. ისიც, თუკი იცოდნენ და ვერაფერი გააკეთეს. კაცს სახლს რომ უნგრევენ, წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს? არ უნდა იკითხოს ის მაინც, სანაცვლოდ ბინას აძლევენ თუ არა? ჩვენ რომ ვიკითხეთ, გვითხრეს, რომ დროებით ადელზე ითამაშებდნენ, მარტის ბოლოს კი ქობულეთის სტადიონს ევროსტანდარტების დონეზე მოაწესრიგებდნენ. ეს შეპირება ოფიციალური წერილითაც დაადასტურეს. მანამდე ადელის სტადიონი მოაწესრიგეს და ელემენტარული პირობები კი შექმნეს თამაშის მასპინძლობისთვის, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და სტადიონი არ მივიღეთ. ამის მიუხედავად, დავიჯერეთ, რომ ქობულეთის სტადიონს დროულად მოაწესრიგებდნენ.

ახლა 12 აპრილია და ქობულეთის სტადიონზე არაფერი შეცვლილა. ბათუმელებმა პირობა არ შეასრულეს, ჩვენ მოტყუებული დავრჩით. მე ეს გამგეობის წევრებს ვუთხარი. არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ წარსულის გამო დღეს თავზე ხელს გადავუსვამთ. ადელზე თამაში არ შეიძლება, წარმოუდგენელია.

აქედან გამომდინარე, ყველა უკმაყოფილო დარჩა და დაგვეთანხმა, რომ ასეთი უპატივცემულობის მოთმენა არ შეიძლებოდა.

ოთხი ვარიანტი იყო: "ბათუმის" უმაღლესიდან მოკვეთა, მეორე - საშინაო მატჩების ადელზე ჩატარების აკრძალვა, მესამე - ქულების დაკლება და მეოთხე - ფულადი ჯარიმა პირობის შეუსრულებლობისთვის.

საკითხი იმდენად პრინციპული იყო, სხდომას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე დაესწრო. ჩემი მოთხოვნა იყო 10 ათასი ლარით დაჯარიმება, რადგან შეუძლებელია ასე გაგრძელდეს. თუმცა ისევ წავედით დათმობაზე, ისევ ვერ გავწირეთ "ბათუმი", მაგრამ ახალი სეზონიდან ჩვენ არავის არაფერს დავუთმობთ. გამგეობის წევრებმა "ბათუმი" დაინდეს და 5 ათასი ლარით დააჯარიმეს.

**- კი მაგრამ, როდემდე უნდა გამოიჩინოთ ლოიალურობა, როდესაც რუსეთში "ალანია" მოკვეთეს ელემენტარული პირობების შეუსრულებლობისთვის, შვეიცარიაში "სერვეტი", ავსტრიაში - "ტიროლი" და ა.შ.**

- მე ვთქვი და გაძლევთ გარანტიას, რომ ლოიალურები არავისთან არ ვიქნებით. ლიგამ პირობების გამკაცრება დაიწყო და ეს მხოლოდ სიტყვები არაა. იმავე "ბათუმს" ბოლო გაფრთხილება მივეცით. ტყუილი დაპირებების მოთმენას აღარ ვაპირებთ.

ერთადერთი, თბილისის "დინამოს" წარმომადგენელმა თქვა, აჯობებს, სხვა გზები მოვნახოთო, მაგრამ დრო სწრაფად გადის და სხვა გზების ძებნის უფლებას არ გვაძლევს,

**- ბათუმში თითქოს ახალი სტადიონის აშენებას აპირებდნენ.**

- დღემდე არაფერს აკეთებენ და ჩვენ რა ვქნათ? მიმაჩნია, რომ სანამ არ იგრძნობენ პასუხისმგებლობას, მანამდე საქმეს ვერც გამოასწორებენ. ყველა ლიზიანდება უხარისხო მოედნებით და ამასთან შეგუება შეუძლებელია. მით უფრო, რომ ბათუმს სტადიონიც არ აქვს. სტუმარი ნორმალურ პირობებში ხომ უნდა მიიღო? ამას ვინ მოითმენს და პლუს ყალბ დაპირებებს?

**- მარტო ეს საკითხი განიხილეთ?**

- სათასო მატჩებზე მსაჯების დანიშვნის პრინციპზე ვისაუბრეთ და რადგან სეზონის დასაწყისში ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, დებულების დაცვა გადაწყდა.

ამას გარდა, სუპერთასის ჩატარება, სექტემბერში, ნაკრების თამაშებამდე გადაწყდა. თუმცა ამაზე გამგეობის წევრები ცალკე კიდევ მოვითათბირებთ.

კლუბები ახლა თავად დაინტერესდნენ, როდის დაიწყება შემდეგი ჩემპიონატი. სავარაუდოდ, აგვისტოს შუა რიცხვებში.

**- რატომ ასე გვიან?!**

- რატომ და წლეულს, ზაფხულში, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოწესრიგდეს მოედნები. შევთანხმდით, რადგან ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ჩემპიონატი მოედნებზე საფარის შეცვლის შემდეგ დაიწყება. მეტი რა უნდა ვქნათ, "გეოგრასთან" ერთად, მინიმალურ ფასში ხარისხიან საფარს ვთავაზობთ და დააგონ, დროა უკვე. ასეთ მოედნებზე ჩემპიონატის გამართვა აღარ შეიძლება. ეს მოთამაშეთა კლასისა და თავად პირველობის დონის დაცემის გარანტიაა. 20 მაისს მთავრდება სეზონი და საქმის გასაკეთებლად საკმარისი დრო ექნებათ.

**- ასეთი მოთხოვნა ადრეც იყო, მაგრამ ვითარება რომ არ იცვლება?**

- როგორ არ იცვლება? "ზესტაფონში" მშვენიერი საფარია, გორში სტადიონს არემონტებენ, რუსთავში საფარსაც ცვლიან და ტრიბუნებზეც ინდივიდუალური სკამები დამონტაჟდება. ზუგდიდშიც სერიოზული პროექტი ხორციელდება. რაც გაკეთდა, იმას ნუ დავივიწყებთ.

თუკი "ლოკომოტივზე" მინდორს არ გამოცვლიან, იქ თამაშები ახალი სეზონიდან აღარ ჩატარდება. მე ამის გარანტიას გაძლევთ. ჩვენ ძლიერი, სოლიდური პირველობა უნდა ჩავატაროთ და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. სხვანაირად არასდროს არაფერი გამოსწორდება.

დადგა დრო, უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობის შემცირებაზე ვიფიქროთ და ყველა გუნდს მკაცრად მოეთხოვოს ელემენტარული პირობების შესრულება. ევროპაში იმაზე უკეთეს მინდვრებზე ძოვენ ძროხები, ვიდრე ჩვენთან ფეხბურთს თამაშობენ. რას ჰგავს "ლოკომოტივის", "შევარდენის", ადელის, მცხეთის მოედნები? თუკი გუნდს პატრონობ, ფულს იხდი და შედეგს ელი, დალოცვილო, მოედანი არ გჭირდება?!

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები სამძიმარს უცხადებენ ჭაბუკთა და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს ალექსი ბენაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოყვარულთა მზადება

უეფა ორ წელიწადში ერთხელ, რეგულარულად ატარებს ევროპის ჩემპიონატს მოყვარულთა რეგიონალურ ნაკრებებს შორის. წლეულს, ივნისში, ფინალურ ეტაპს ბულგარეთი უმასპინძლებს, მანამდე კი შესარჩევი ქვეჯგუფის თამაშებია გასამართი. ჩვენი ნაკრების მეტოქეები შესარჩევ ჯგუფში ხორვატიის, შვეიცარიის და მასპინძელი აზერბაიჯანის ნაკრებები იქნებიან. თამაშები ბაქოში 24-30 აპრილს გაიმართება.

*"თავიდან ნაკრების მწვრთნელის ელგუჯა გუგუშვილის განკარგულებაში 300 ფეხბურთელი იყო. რამდენიმე საფეხურიანი გაცხრილვის მერე 30 ფეხბურთელზე გაკეთდა არჩევანი. ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს წარმოადგენენ. სამი სოხუმელია, სამი ახალციხელი, ორი ზუგდიდელი, ორი ქუთაისელი, ორიც სამტრედიელი, ერთი გარდაბნელია, დანარჩენები კი თბილისიდან. 21 იანვრიდან დღემდე, გუნდმა 14 საკონტროლო მატჩი გამართა, საიდანაც 8 მოიგო, 2 ფრედ დაამთავრა, 4 კი წააგო. ბაქოში საბოლოოდ 18 ფეხბურთელს წავიყვანთ. პირველი თამაში შვეიცარიასთან გვაქვს, მერე მასპინძლებს ვეთამაშებით, ბოლო შეხვედრას კი ხორვატებთან გავმართავთ. ევროპელი მეტოქეების შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, თუმცა, ვფიქრობთ, რომ მათი საფეხბურთო ტრადიციებიდან გამომდინარე ძლიერი ნაკრებები ეყოლებათ. რაც შეეხება მასპინძლებს, ამას წინათ საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად ბაქოში ვიყავი და მათ თამაშსაც დავესწარი. ტურნირისთვის ძალიან სერიოზულად ემზადებიან და ძლიერი გუნდიც ჰყავთ, ასე რომ სიურპრიზები მათგანაც არის მოსალოდნელი. ვეცდებით, ფინალურ ეტაპზე გავიდეთ და მალე ვნახავთ, ჩვენი მცდელობა რამდენად ნაყოფიერი იქნება"*, - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ მგელაძემ**, რომელიც ნაკრების საორგანიზაციო საკითხებს ხელმძღვანელობს.

**მერაბ ბრძელიძე**


მამუკა ლომიძე (3)

# თარხნიშვილი დაბრუნდა

მოლდოვაში 27-ე ტურის მატჩები გაიმართა. ამ ტურს მოლდოვის ქართული ლეგიონი მატებით შეხვდა, სამიოდე დღით ადრე კიშინოვის "დაჩიასთან" კონტრაქტს ხელი **ლადო ახალაიამ** მოაწერა. ლადო "დაჩიაში" სეზონის ბოლომდე დარჩება. რამდენიმე დღით ადრე მოლდოვის თასზე "ზიმბრუმ" სენსაცია მოახდინა, ბოლო სამ წელიწადში პირველად დაამარცხა ტირასპოლის "შერიფი". **მამუკა ლომიძის** გუნდმა სიურპრიზი კვლავ შემოგვთავაზა, ატაკის "ნისტრუსთან" წააგო - 1:2. ჩემპიონატის ბომბარდირმა **ვლადიმირ ცარანუმ** ორი გოლი გაუტანა სტუმართა გინდს. მამუკა ლომიძემ 90 წუთი ითამაშა.

"ტირასპოლი" ჩემპიონატის ლიდერ "შერიფს" მასპინძლობდა და 0:2 დამარცხდა. ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა "შერიფის" ვეტერანი კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი**. ტირასპოლურ დერბის სულ 400 მაყურებელი დაესწრო. "შერიფმა" მეტოქეს ტაიმში თითო გოლი გაუტანა. მასპინძელთა რიგებში არ უთამაშია მცველ **ვალტერ ხორგუაშვილს**. ახალაიას ახალი კლუბი "დაჩია" შინ 0:1 დამარცხდა "ტილიგულთან".

"შერიფი" 67 ქულით (არც ერთი მარცხი ჩემპიონატში) უდავო ფავორიტია. ბოლო ტურში მარცხის შემდეგ "ზიმბრუს" მისი დაწევის მხოლოდ თეორიული შანსი შერჩა, მამუკა ლომიძის გუნდს 53 ქულა აქვს. ლადო ახალაიას "დაჩიას" 42 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა, "ტირასპოლი" 35 ქულით მეხუთეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ლიტვამ კოლეგა დაგვიფასა

1991 წელს ლიტვაში განვითარებულ ცნობილ მოვლენებში, შესაძლოა გაგიკვირდეთ და თბილისის "დინამოს" ამჟამინდელი პრესატაშე **გიგა გვენცაძეც** მონაწილეობდა, რომელიც იმ პერიოდში მწვანეთა მოძრაობის წევრი იყო. მაშინ, 13 იანვარს, ლიტვაშიც დაარბიეს რუსმა ჯალათებმა დამოუკიდებლობისათვის შეკრებილი ათასობით დემონსტრანტი. ლიტვის ხელისუფლებამ, სხვებთან ერთად, გიგა გვენცაძესაც დაუფასა ღვაწლი და გუშინ "13 იანვრის" მედლით დააჯილდოვა.

*"ლიტვის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტ ვალდას ადამკუსის ბრძანებით, გიგა გვენცაძე "13 იანვრის" მედლით დაჯილდოვდა. ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ადამიანის და მით უმეტეს უცხოელის დაჯილდოება, ჩემთვის დიდი პატივია. ახლაც მახსოვს, 1991 წლის იანვრის მოვლენებისას საქართველოდან ჩამოსულ, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა დევიზი – თქვენი გამარჯვება, ჩვენი გამარჯვებაა!"*, - განაცხადა საქართველოში ლიტვის ელჩმა **რიჩარდას ბუგუტისმა**.

**დავით ცაბაძე**

## 13 აპრილი ლელოს დაბადების დღეა
## ოთხი პერიოდი და ოთხი თაობა

"ლელოს", როგორც ჭეშმარიტად სახალხო სპორტული გაზეთის არსებობა, პირობითად, ოთხ პერიოდად შეიძლება დავყოთ. პირველი, 1934 წლის 13 აპრილიდან, ომამდელ პერიოდს მიეკუთვნება. მეორე იწყება 1949 წლის 10 აგვისტოდან, როცა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა მიხეილ კაკაბაძემ მოახერხა ქართული სპორტული პრესის განახლება და მას შთამბეჭდავი სახელი, "ლელო" უწოდა. ეს პერიოდი მოიცავს კომუნისტური მმართველობის მთელ ხანას.

მესამე პერიოდს მიეკუთვნება "ლელოს" არსებობა 2006 წლის ბოლომდე, როცა გაზეთმა გაუსაძლის პირობებშიც არ შეწყვიტა არსებობა და ფუნქცია შეინარჩუნა. ამ პერიოდში, თავისი მრავალფეროვანი ავტორებით, "ლელო" მოგვაგონებდა თბილისის "დინამოს" 1964 წლის შემადგენლობას, სადაც სხვადასხვა სტილისა და კლასის მოთამაშეები იყვნენ თავმოყრილნი. ორი გაზეთის, "ლელოსა" და "სპორტის" ინტეგრირებით, ვფიქრობ, მკითხველი მხოლოდ მოგებული დარჩება. "ლელოს" მეოთხე თაობა, უდაოდ, ღირსეულად გააგრძელებს წინამორბედთა ტრადიციას. ამის სიმპტომები უკვე აშკარად გამოჩნდა გაზეთის ფურცლებზე, რაც მისასალმებელია.

*დემურ ტორაძე, ხონი*


გიგა გვენცაძე დააჯილდოვეს

# კვარაცხელიამ ანგარიში გახსნა

ლიტვის A ლიგაში გუშინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა. **აკაკი ხუბუტიას** "შილიუტე" "ეკრანასს" ენვია და დაუზავდა - 1:1. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. "შილიუტემ" ჩემპიონატში პირველი ქულა მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ხუბუტია "კაუნასის" საკუთრებაა და "შილიუტეში" განათხოვრების წესით იმყოფება, ქვეყნის ჩემპიონი "კაუნასი" "შიაულაის" მასპინძლობდა. **ნუკრი მანჩხავა** ტრავმირებულია, რაც ჩემპონატი დაიწყო, კაუნასელთა რიგებში ის არ გამოჩენილა. სასტარტო შემადგენლობაში იყო **გივი კვარაცხელია**, რომლის პასითაც ანგარიში **ბენიუსისმა** მე-4 წუთზე გახსნა. მე-16 წუთზე გოლი თავად ქართველმა ნახევარმცველმა გაიტანა. ამით კვარაცხელიამ სეზონში პირველი გოლი მიითვალა. გივი 66-ე წუთზე შეცვალეს და ამის მერე მასპინძელთა გუნდი აირია და გოლიც გაუშვა, თუმცა, საბოლოოდ, "კაუნასმა" სამი ქულის მოპოვება მაინც შეძლო - 2:1. "კაუნასს" ორი ტურის შემდეგ, ექვსი ქულა აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# მილანი: გამოუშვით მანჩესტერი!

## ინგლისური ნახევარფინალის მოლოდინში: ბენიტესი მოურინიოს მეგობარი იყო, სანამ ლივერპული ჩელსის დამარცხებას ისწავლიდა...



ბაიერნი-მილანი. სახიფათო ეპიზოდი მილანელთა კართან

**ბაიერნი-მილანი 0:2 (2:2)**

**ბაიერნი:** კანი, ლელი (77. გიორლიტცი), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ოტლი (46. სანტა კრუსი), ვან ბომელი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, მაკაი (61. პისარო), პოდოლსკი.

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (87. კაფუ), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (80. გურკუფი), კაკა, ინძაგი (70. სერჟინიო).

**გოლები:** 0:1 ზეედორფი (27), 0:2 ინძაგი (31)

**მაყურებელი:** 66 000

**არბიტრი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**ბერლუსკონი** და მის კვალად ყველა მილანისტა დღენიადაგ იმეორებენ, "მილანი" ევროპისთვის არის დაბადებულიო. ახლა მთელი იტალია აღიარებს, რომ "მილანი" მართლა ევროპისთვის არის დაბადებული. როგორი უკუღმართი სეზონიც არ უნდა ჰქონდეს ამ გუნდს (და წელს რომ აქვს, ამაზე უკუღმართი სეზონი ცოტა თუ ჰქონია), როცა საქმე ევროპაზე მიდგება, ის ყოველთვის იქ არის – ზედიზედ მესამედ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, მეოთხედ ბოლო ხუთ წელიწადში. ამჯერად "როსონერიმ" იტალიური საკლუბო ფეხბურთის რეპუტაციაც გადაარჩინა, თორემ "რომას" მანჩესტერული სირცხვილის შემდეგ, მისი გავარდნა კალჩოს ავტორიტეტს საბოლოოდ გადაუსვამდა ხაზს.

მაგრამ ისევ ის, ძველი, ევროპეისტი "მილანი", თავისი ძველებით – 31 წლის **ზეედორფითა** და 33 წლის **ინძაგით**. აბა, ინძაგისა და "ბაიერნის" შეხვედრა უგოლოდ შეიძლება? არ შეიძლება, იმიტომ, რომ ეს ლეგენდის კანონებს ეწინააღმდეგება. ლეგენდას უნდა, რომ პიპოგოლი "ბაიერნს" სადაც დაიჭერს, იქ უტანდეს – თუნდაც თამაშგარიდან. ესეც მეექვსე პერსონალური გოლი ბავარიელების კარში... მაგრამ ეს მაინც მთელი გუნდის გამარჯვება იყო – ერთადერთი იტალიური გუნდის, რომელიც ახლა მარტოა სამი ინგლისურის წინააღმდეგ. შემდეგი მისია "მანჩესტერზე" შურისძიებაა. როგორც **ანჩელოტი** ამბობს, "კაბალაც" მათ მხარეზეა – "მილანმა" ფინალში ითამაშა 2003 წელს, 2005 წელს და ახლა 2007-ია... ისტორიაც "როსონერის" მხარეზეა: სამჯერ შეხვდა "მილანი" "იუნაიტედს" ჩემპიონთა თასზე და ტურნირიდან სამივეჯერ გამოაძევა, ბოლოს 2005 წელს (1:0 "ოლდ ტრაფორდზე", 1:0 "სან სიროზე", ორივე გოლი **კრესპომ** გაიტანა).

წლის ყველაზე რთული შეხვედრა "მილანმა" ყველაზე იოლად აქცია და თითქმის იდეალური თამაშით სულ რაღაც ოთხწუთიან მონაკვეთში მოაგვარა ყველა ის პრობლემა, რაც "სან სიროდან" გამოყოლილ 2:2-ს ახლდა თან. ძნელია, სტუმრების რიგებში საუკეთესოს გამოყოფა, ყველამ შეიტანა წვლილი ამ ისტორიულ გამარჯვებაში: **დიდას** სეივები ჯერ კიდევ 0:0-ზე, **ოდოსა** და განსაკუთრებით **ნესტას** ბრწყინვალე თამაში, **გატუზოს** ჟინი (11400 მეტრი ირბინა), ზეედორფის კლასი და **კაკას** აფეთქებები. ყველამ გაამართლა ანჩელოტის ნდობა და გაამართლა მწვრთნელის ფრაზა, რომელიც თამაშამდე ბანალობად მოჩანდა და თავისიფანების გასამხნევებელ შემოძახებას ჰგავდა: *"კარგად ვიცნობ "მილანსაც" და "ბაიერნსაც", ვიცი, როგორ უნდა მოვიგოთ მიუნხენში"*. სცოდნია...

დისკვალიფიცირებული **ჯილარდინოს** მაგივრად ძირითადში გამოჩნდა ინძაგი, ერთადერთი ახალი სახე პირველ შეხვედრასთან შედარებით. "ბაიერნმა" ამასობაში დისკვალიფიცკაციამოხდილი **კანი** და **ვან ბომელი** დაიბრუნა, მაგრამ ტავმების გამო, **სანიოლი** და **შვაინშტაიგერი** დაკარგა. **ჰიტცფელდმა** მეტოქეს პატარა სიურპრიზი შესთავაზა იმით, რომ **სალიჰამიჯიჩი** ოთხკაციან დაცვაში დასწია, სათადარიგო მარჯვენა მცველი **ლელი** კი მარცხენა ნახევარმცველად გაამწესა. თუმცა, მთავარი სიახლე მაინც ის იყო, რომ გერმანელმა ტაქტიკოსმა უარი თქვა ჩვეულ 4-4-2-ზე და **ჰარგრივზი** მაქსიმალურად უკან ჩამოსწია დაცვის დასახმარებლად და კაკას სამეურვეოდ. სიმართლე ითქვას, თამაში მასპინძლებმა უფრო აქტიურად დაიწყეს და მე-7 წუთზე დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ ლელის დარტყმა (რომელიც პასს უფრო ჰგავდა), ოდომ კარის ხაზიდან გამოიტანა. ამას **პოდოლკის** უძლიერესი დარტყმა მოჰყვა, რომელსაც დიდა ადგილზე დახვდა.

შესაძლო 0:2-დან რეალურ 2:0-მდე "მილანს" დიდი დრო და ძალისხმევა არ დასჭირვებია. 27-ე წუთზე, კაკასგან მიღებული პასის შემდგ, ზეედორფმა უცბად გამოილვიძა, ერთი ფინტით მცველებისგან თავი დაიხსნა და საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი დიაგონალური დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა. "ბაიერნმა" გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, როცა ოთხ წუთში კიდევ უფრო ლამაზი კომბინაციის შემდეგ მეორე მიიღო: გატუზომ შუაში მიაწოდა ზეედორფს, ამან კი ქუსლის ერთი გაკვრით ისე მოხდენილად გაიყვანა თამაშგარეში მყოფი ინძაგი მეკარის პირისპირ, რომ ლაინსმენიც კი დააბნია. დანარჩენი უკვე პიპოგოლის ხელობა იყო: ბურთი რამდენიმე მეტრით წინ გაიგდო და კარიდან გამოსულ კანს აუღებელი დაურტყა, 2:0. სუპერპიპოს 56-ე გოლი ევროპაში, მე-40 ჩემპიონთა ლიგაში. ყველაფერი ზღაპარს ჰგავდა, მაგრამ გერმანია ხომ ის მიწაა, სადაც იტალიური ფეხბურთისთვის ყველა ოცნება სინამდვილედ იქცევა. გერმანელებისთვის კი კვლავაც გაგრძელდა დორტმუნდის ნახევარფინალში გამოვლილი კოშმარი **პირლოს**, გატუზოსა და **ლიპის** სხვა ლაჟვარდისფერთა წინააღმდეგ.

თამაშის დამატებით დროში გადასაყვანად ორი ბურთის გაქვითვა იყო საჭირო და ამიტომ შესვენებისას ჰიტცფელდმა ნახევარმცველი **ოტლი** მესამე ფორვარდით, **სანტა კრუსით** შეცვალა. სალიჰამიჯიჩი მარცხნივ გადავიდა და ლელს საშუალება მისცა, რომ ჩვეულ პოზიციაზე დაბრუნებულიყო. მაგრამ ასეთ სიტუაციებში ტაქტიკაზე უფრო მნიშვნელოვანი არდანებების სურვილია. "ბაიერნმა" თავი ჩაღუნა და საქმეს შეუდგა. მასპინძლები ნელ-ნელა, მაგრამ სულ უფრო მწვავედ უტევდნენ. განსაკუთრებულად აქტიური ვან ბომელი იყო. ჰოლანდიელმა არაერთხელ სცადა შორიდან გატანა, მაგრამ დიდა მშვიდად და თავდაჯერებით იღებდა ყველაფერს, რაც ასაღები იყო. თანდათან დაძაბულობამაც იმატა: სალიჰამიჯიჩმა, მომავალმა იუვენტინომ, ერთ ეპიზოდში ნერვები ვერ მოთოკა და ნესტას, რომელმაც ბურთი ელეგანტურ ვარდნაში წაართვა, გაშლილი ფეხი მუხლთან გამეტებით ჩაარტყა. მსაჯმა "ყვითელზე" მეტი ვერ გაიმეტა, აღშფოთებული მილანელები ბოსნიელს მისცვივდნენ, ანჩელოტის მოედანზე გასვლა მოუხდა თავისიანების დასამშვიდებლად. მერე კაკას უნდა გაეტანა: ბრაზილიელმა საშინელი ფინტით გააბითურა ორი გერმანელი მცველი, მაგრამ სუსტად დაარტყა და კანმა აუღო. ამის შემდეგ კი დაიწყო ცვლილებები: **სერჟინიო** ინძაგის მაგივრად შევიდა და "მილანი" უფორვარდოდ დარჩა. მალე **გურკუფმა** ზეედორფი შეცვალა, **კაფუმ** გატუზო. ბოლო წუთებში მასპინძლები თავგამოდებით უტევდნენ, მაგრამ "მილანს" შეცდომა არ დაუშვია. ყველაზე დასამახსოვრებელი ის მომენტი იყო, როცა **ვან ბუიტენის** ეფექტური დარტყმა დიდამ ფეხით მოიგერია. სულ ბოლოს, როცა მთელი "ბავარია" მეტოქის ნახევარზე იყო, "მილანს" ორი-სამი კონტრშეტევის გოლით დასრულება შეეძლო, მაგრამ ჯერ სერჟინიომ ვერ გააკეთა საგოლე პასი, მერე კაფუსაც იგივე დაემართა, საბოლოოდ კი კაკას კანმა ნახტომით მოუგერია. აი, ასე დასრულდა. წინ ახლა მანჩესტერია და, როგორც "გაძეტა დელო სპორტმა" დაწერა, თუ "მილანი" ეს არის, მაშინ მთავარი ჯერ კიდევ წინაა.

**ლივერპული-ეინდჰოვენი 1:0 (3:0)**

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, ჰიიპია, აგერი (79. პალეტა), რიისე, პენანტი, ჩაბი ალონსო (72. გონსალესი), სისოკო, ზენდენი, კრაუჩი, ბელამი (17. ფაულერი).

**ეინდჰოვენი:** გომეში, მარსელისი, ადო, სიმონსი, სალსიდო, ფეჰერი (63. სუნ ჩანგი), კოკუ, ვაირინენი, კულინა, კონე (72. ვან ეიდენი), ფარფანი (63. კლუივერტი).

**გოლი:** 1:0 კრაუჩი (67)

**გაძევება:** მარსელისი (64. ეინდჰოვენი)

**მაყურებელი:** 41 447

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**პიტერ კრაუჩის** გოლით "ლივერპულმა" ნახევარფინალის საგზური გაიფორმა. "ეშმაკების" წარმატებაში იმთავითვე არავის ეპარებოდა ეჭვი. ერთი კვირის წინანდელი 0:3-ის შემდეგ ჰოლანდიელები ინგლისში საექსკურსიოდ ჩავიდნენ. მართალია, **პეპე რეინამ ჯეფერსონ ფარფანს** ორი სახიფათო დარტყმა აუღო, მაგრამ **დირკ მარსელისის** გაძევებისას ნათელი გახდა, რომ ენფილდზე სასწაული არ მოხდებოდა. მალე კრაუჩმა **რობი ფაულერის** გადაცემა გოლად აქცია და "ლივერპულის" თანარეკორდსმენი გახდა. ეს გახლდათ პიტერის მე-7 გოლი მიმდინარე გათამაშებაში. აქამდე ლივერპულელთაგან ევროტურნირების ერთ სეზონში 7 გოლი მხოლოდ **როჯერ ჰანტსა** და **სტივ ჯერარდს** ჰქონდათ გატანილი. კრაუჩსა და ჯერარდს რეკორდის დამყარება შეუძლიათ. ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ სეზონს ორი ბომბარდირი ჰყავს: მილანელი **კაკა** და ლივერპულელი **კრაუჩი**. კაკამ 876 წუთი ითამაშა, კრაუჩმა - 558. ექვს-ექვსი გოლით მომდევნო ადგილებს ინაწილებენ რეალელი **რუუდ ვან ნისტელროი** (612 წუთი), ვალენსიელი **ფერნანდო მორიენტესი** (698) და ჩელსელი **დიდიე დროგბა** (896).

დავუბრუნდეთ ოთხშაბათის მატჩს. სტუმართა თავკაცმა **რონალდ კუმანმა** პირველივე თამაშის შემდეგ განაცხადა, უცხოპლანეტელი უნდა ვიყო, ნახევარფინალში გასვლის კიდევ რომ მჯეროდესო. მან ლივერპულში 16 ფეხბურთელი ჩაიყვანა. მათ შორის არ იყო ძირითადის ექვსი წევრი: **ალექსი, იბრაჰიმ აფელეი, ედისონ მენდესი, მიხაელ რაიციგერი, ალსიდესი** და **იან კრომკამპი**. უიმედო მდგომარეობის მიუხედავად, კუმანს ბოლოდროინდელი წარუმატებელი სერიისთვის წერტილის დასმა სურდა. პსვ-ს ჰოლანდიის პირველობაზეც სავალალო შედეგები აქვს. მართალია, ის პირველ ადგილზეა, მაგრამ მდევართან 11-ქულიანი სხვაობა ორამდე შეუმცირდა. სეზონის ბოლომდე კი სამი თამაშია დარჩენილი.

ბენიტესმაც რამდენამდე შესუსტებული შემადგენლობა გამოიყვანა. არ უთამაშიათ სტივ ჯერარდსა და **ჯეიმი კარაგერს**. მე-17 წუთზე მუხლი დაიზიანა **კრეიგ ბელამიმ** და ვეტერანი ფაულერით შეცვალეს. ფაულერმა, როგორც ვთქვით, საგოლე პასი მიითვალა და ისტორიაც გამეორდა. 2005 წლის მსგავსად, ლიგის ნახევარფინალში, "ლივერპული" და "ჩელსი" ითამაშებენ. პერსპექტივაში 2005 წლის ფინალიც ("ლივერპული"-"მილანი") შეიძლება განმეორდეს.

ორი წლის წინათ "არისტოკრატები" **ლუის გარსიას** ერთადერთი გოლით დამარცხდნენ. **ჟოზე მოურინიომ** ის ბურთი ძალიან საინტერესოდ შეაფასა: ჩემი თვალით პირველად ვნახე ფანების მიერ გატანილი გოლიო. ინგლისურ დერბის "მილანთან" დრამატული ფინალი მოჰყვა. საბოლოოდ, "ლივერპული" მეხუთედ დაეუფლა ჩემპიონთა თასს.

"ვალენსია"-"ჩელსის" (1:2) შემდეგ მიმომხილველები უკვე ინგლისურ ნახევარფინალზე ბჭობდნენ. ბენიტესისა და **ჟოზე მოურინიოს** დუელი ხომ ბოლო წლების კლასიკად იქცა. ეს მწვრთნელები ალბიონზე 2004 წელს ჩავიდნენ და ორწელიწადნახევარში, ინგლისის სუპერთასის - ქომიუნითი შილდის ჩათვლით, 13-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. "ჩელსის" უპირატესობა აშკარაა, მაგრამ "ლივერპულს" მოგებული აქვს ყველაზე პრინციპული დუელები ჩემპიონთა ლიგისა და ასოციაციის თასის ნახევარფინალებში.

მათი მატჩები სანახაობით არ გამოირჩევა. 90-ვე წუთი ტაქტიკურ ჭიდილს ეთმობა ხოლმე, მაგრამ შეხვედრებს ეშხს მატებს მწვრთნელების პირადი დაპირისპირება, აგრეთვე გამომწვევი კომენტარები, რასაც ორივე მხარე უხვად არიგებს. "ეინდჰოვენთან" ნამატჩევს, როცე ბენიტესს მოურინიოზე ჰკითხეს, ესპანელმა ღიმილით მიუგო, ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით, სანამ "ლივერპული" "ჩელსის" დამარცხებას ისწავლიდა. ამის შემდეგ მისი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. მას შესანიშნავი ურთიერთობა აქვს იმ მწვრთნელებთან, რომლებსაც იოლად უგებს. სამაგიეროდ, განუწყვეტლივ ებრძვის სხვა ძლიერი კლუბების ბოსებსო.

ბენიტესს, რა თქმა უნდა, პროგნოზის გაკეთებაც სთხოვეს: *"მე, როგორც "ლივერპულის" ბოსი, ვალდებული ვარ, გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "ჩელსის" ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. ჩვენი ერთადერთი კოზირი ისაა, რომ განმეორებითი მატჩი "ენფილდზე" გაიმართება. თუ "სტემფორდ ბრიჯზე" სასურველ შედეგს მივაღწევთ, შეიძლება რაღაც უპირატესობა მოვიპოვოთ, მაგრამ სამშაბათის მატჩმა აჩვენა, რომ "ჩელსი" კონტრშეტევებზეც უკიდურესად სახიფათო მეტოქეა... "ეინდჰოვენთან" მატჩს თავიდან ბოლომდე ვაკონტროლებდით. მხოლოდ გოლი გვჭირდებოდა და გავიტანეთ კიდეც. მეტოქის გაძევების შემდეგ საქმე საგრძნობლად გაგვიადვილდა."*



ლივერპული-ეინდჰოვენი. კრაუჩის გოლი სტუმართა კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი vs მილანი. გამოხმაურება

# შევას ათენში ველოდებით

## ჰიტცფელდმა დამსახურებულად წაგება აღიარა



მილანელები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ

"მილანი"-"ბაიერნის" მეოთხედფინალების წინ **კარლო ანჩელოტიმ** თქვა, ფინალში "ჩელსის" უნდა შევხვდეთ, **შევჩენკო** უნდა მოვიკითხოთო. **ოტმარ ჰიტცფელდმა** ამას ენამოსწრებულად უპასუხა, არა ბატონო, ფინალში "ჩელსის" ჩვენ უნდა ვეთამაშოთ, **მიხაელ ბალაკი** უნდა მოვიკითხოთო. ჰიტცფელდის სურვილს ოთხშაბათის შემდეგ ასრულება აღარ უწერია, ანჩელოტისას – ვინ იცის. თეორიულ შანსს კარლეტო ისევ ინარჩუნებს. თუმცა ათენურ ფინალამდე ჯერ დიდი დროა, მანამდე კი "მილანის" მწვრთნელი ნახევარფინალში გასვლით ხარობს. თუ როგორ, ამას "გაძეტა დელო სპორტში" გუშინ გამოქვეყნებული სტატიიდან გავიგებთ.

"სიხარულისგან თავს ვერ იკავებს. მეხუტო გონსალესს საფინალო სასტვენი ჯერ არ მიუცია, მაგრამ უკვე ეხვევა თავის სათადარიგოებს, დირექტორებს, ექიმებს, თანაშემწეებს. "ბაიერნი"-"მილანის" ბოლოს კარლო ანჩელოტი ის ბავშვია, რომელსაც ეს-ესაა მოსწრების ფურცელი გადასცეს: ფრიადოსანი სწავლასა და შრომაში, სანიმუშო ყოფაქცევაში. მისია შესრულებულია, მიუნხენის "ალიანს არენა" აღებულია, მათ ჯინაზე, ვინც პესიმიზმს თესავდა იმ გუნდის გარშემო, რომელსაც, ტანჯული სეზონის მიუხედავად, გადამწყვეტ შეხვედრებში ტიფოზებისთვის არასდროს ულალატია. და მან, ანჩელოტიმ, რომელმაც ეს გუნდი ჯერ გამოიგონა, მერე გამოძერწა და ბოლოს მორთო და მოკაზმა, ყოველთვის იცოდა, რომ გამარჯვება შეეძლო, პირველი 2:2-ის მიუხედავად. ამიტომ არასოდეს პასუხობდა კრიტიკასა და ჭორებს, თავის გაქნევით პასუხობდა მათ, ვინც ეუბნებოდა, რომ მის სკამს წყალი ჰქონდა შემდგარი, თავიდან მოიშორა მის მემკვიდრედ გამოცხადებული და ლამის უკვე დანიშნული **მარჩელო ლიპის** აჩრდილი, რომელიც ოქტომბრიდან თან სდევდა. და ახლა დამსახურებულად ტკბება დიდების წუთებით.

ნახევარფინალში გასვლა ერთი ნაბიჯია იმ გეგმაში, რომელმაც "მილანი" ათენში უნდა ჩაიყვანოს. *"ეს საქმეც დავასრულეთ, მაგრამ ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ასე იქნებოდა – თქვა ანჩელოტიმ ნამატჩევს – რა იყო გადამწყვეტი გამარჯვებაში? ის, რომ 4-4-2 ტაქტიკაზე გადავეწყვეთ. სქემის შეცვლა გადავწყვიტე, იმიტომ, რომ "ბაიერნმა" პრესინგით ნნეხში მოგვაქცია და დიდი პრობლემები შეგვიქმნა. გერმანელებს ამით დიდი დარტყმა მივაყენეთ. ოთხ ნახევარფინალისტს შორის სამი ინგლისიდანაა და ეს კარგად მეტყველებს ინგლისური ფეხბურთის სიძლიერეზე. ვუყურე "მანჩესტერის" თამაშს "რომას" წინააღმდეგ და უნდა ვთქვა, რომ ძალიან საშიში გუნდია, მაგრამ ჩვენ კმაყოფილები ვართ, რომ მასთან დაპირისპირების შესაძლებლობა მოგვეცა. "მანჩესტერი" "ბაიერნზე" უფრო ტექნიკურია, მომაკვდინებელია კონტრშეტევებზე და სოლიდური დაცვაში. მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვითამაშებთ და ნუ დაგვავიწყდება, რომ განმეორებითი შეხვედრა "სან სიროზეა". როგორც იქნა, დავიბრუნე ჩემი მცველები, ნესტა და მალდინი 2003 წლიდან ერთად თამაშობენ და დღესაც მსოფლიოს საუკეთესო წყვილს წარმოადგენენ. ჩვენი მიზანია, რომ იტალიური ფეხბურთი ევროპაში მაღალ დონეზე წარმოვაჩინოთ".*

გალიანი. **ადრიანო გალიანიმ** თამაშის წინ თქვა: *"გვჯერა, რომ "ბაიერნზე" ძლიერები ვართ".* ზეედორფის გოლზე საპატიო ტრიბუნის სავარძლიდან წამოხტა, ინძაგის მეორე გოლზე მისი შეკავება უკვე შეუძლებელი იყო. *"უზომოდ დიდი ბედნიერების განცდა მაქვს - ჰყვებოდა "მილანის" "ულტრასი" ვიცე-პრეზიდენტი ნამატჩევს – ყველაზე მეტად ჩვენი ტიფოზების სიხარული მახარებს. ტურნირს შემორჩენილი ერთადერთი იტალიური გუნდი ვართ, "მილანი" იტალიური ფეხბურთის ემბლემაა. პირველი ზარი ტელეფონზე ფედერაციის პრეზიდენტ აბეტესგან მივიღე. "ოლდ ტრაფორდის" არ გვეშინია, იქაურობას კარგად ვიცნობთ. "ოლდ ტრაფორდი" უნდა გავიაროთ, ფინალში შევჩენკოსთან შეხვედრა გვაქვს დანიშნული". ამ 2:0-მა "მილანისთვის" მთელი სეზონი შეცვალა, ეს გამარჯვება იმის საბუთია, რომ "როსონერი" გადამწვარი სულაც არ არის, როგორც ბევრი ამტკიცებდა და რომ ნებისმიერი, ერთი შეხედვით გამოუვალი, სიტუაციის თავდაყირა დაყენება შეუძლია. "ახლა მთელი ჩემპიონთა ლიგა არის ინგლისი-დანარჩენი მსოფლიო და ეს დანარჩენი მსოფლიო ჩვენ ვართ,"* – დასძენს გალიანი.

მომავალი. და თუ მიუნხენურ ლამეს დაემატება ისეთი ფენომენი, როგორიც **რონალდინიოა**, ერთი ისეთი მცველი, რომელიც მალდინის ცოტა ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს და ერთიც მაღალი კლასის ნახევრმცველი (მაგალითისთვის, **ლემპარდი** ან **ჯერარდი**), მაშინ მართლაც შეიძლება უძლეველი "მილანის" ფეხზე წამოყენება. ჯერ ახლა პრეზიდენტ **ბერლუსკონიზეა**. მას მოუწევს პორტფელის გახსნა და ინვესტირება.

ინძაგი. თამაშის წინ **ოლივერ კანს** ასე უთქვამს: *"ინძაგი? ერთი მრავალთაგანია".* თამაშის შემდეგ იქნებ, შეეპარა კიდეც ეჭვი საკუთარ ნათქვამში. პიპოგოლმა "ბაიერნის" კაპიტანი გოლით დასაჯა და ახლა მისი ევროპული გოლების რაოდენობა 56 გახდა. ერთიც და **ეუსებიოსა** და **რაულს** გაუთანაბრდება. *"ბრწყინვალე საღამო გამოვიდა – თქვა ნამატჩევს სუპერპიპომ – იოლი არ იყო აქ გამარჯვება. დამტკიცდა, რომ "მილანი" კვლავაც დიდი გუნდია. ასე უნდა გავაგრძელოთ, უნდა გვჯეროდეს საკუთარი შესაძლებლობების და ყურადღება არ მივაქციოთ სხვების ლაპარაკს. მინდა, რომ გუნდისთვის სასარგებლო ვიყო: როცა ამას ვახერხებ, ბედნიერი ვარ, დღეს კი განსაკუთრებულად გახარებული ვარ, პირველ რიგში, პრეზიდენტ ბერლუსკონისთვის, რომელმაც თამაშის წინ დამირეკა და გოლის გატანა მთხოვა, რითაც საოცარი მუხტი მომცა".*

გატუზო. *"პირველი შეხვედრა წუთების დამთავრებული იყო, როცა ანჩელოტი მოვიდა და გაგვამხნევა, არა უშავს, მიუნხენში მოვიგებთო – თქვა ჯენარომ – კიდევ უფრო დიდი მუხტი მოგვეცა დღეს, როცა პეტრუჩიმ (ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე) დაგვირეკა და გვითხრა: "მანჩესტერში 7:1-ის ნაგების შემდეგ იტალიელებს დაგვცინიან, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ისევ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ". თხოვნა შესრულებულია".*

ჰიტცფელდი. ოტმარ ჰიტცფელდმა აღიარა, რომ დამსახურებულად წააგო. თავის მოკლე კომენტარში მიუნხენელთა მწვრთნელმა ეს თქვა: *"მილანს" იმდენად დიდი კლასი აქვს, რომ ყველგან შეუძლია მოიგოს. ვიცოდით, რომ ძნელი იქნებოდა, და როცა პირველი გოლი გავუშვით, მილანელებს თავის ნებაზე თამაშის თავისუფლება მიეცათ. კარლო ანჩელოტის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავს, ეს ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში გამოჩნდა. ცხადია, რომ შეცდომები გვქონდა: პოდოლსკის დებიუტში რომ გაეტანა, თამაში სულ სხვა სცენარით წავიდოდა".*

გოგა ახალაძე



ანჩელოტი და გატუზო

### ეს საინტერესოა

**რომელი ქვეყნის გუნდები გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ყველაზე ხშირად?**

| | |
|---|---|
| 1.ესპანეთი | 13 |
| 2.იტალია | 12 |
| 3.ინგლისი | 11 |
| 4.გერმანია | 7 |
| 5.საფრანგეთი | 5 |
| 6.ჰოლანდია | 4 |
| 7.პორტუგალია | 2 |
| 8.საბერძნეთი | 1 |
| 9.უკრაინა | 1 |



კიკე სანჩეს ფლორესი მეხუტო გონსალესს ედავება

ვალენსია

# მსაჯები კიკეს უჩივიან

## ღამურების თავკაცმა მეხუტო გონსალესს მექრთამე უწოდა

"ბილბაოსთან" განცდილი მარცხი **კიკე სანჩეს ფლორესმა** იმდენად მტკივნეულად აღიქვა, რომ მატჩის მთავარი არბიტრის, **მეხუტო გონსალესის** წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით გაილაშქრა. პრესკონფერენციაზე "ვალენსიის" დამრიგებელმა ესპანელ მსაჯს ქურდი და მძარცველი უწოდა, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ბატონმა კიკემ გონსალესს უშუალოდ თამაშზე პირადად პირში მიახალა: *"მან მათხოვარი და მექრთამე მიწოდა. როცა შენს საქმეს პატიოსნად ემსახურები, ასეთი გამოხდომის მოთმენა ძალიან ძნელია. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს მოვუწოდებ, რომ კიკე სანჩეს ფლორესი სამაგალითოდ დასაჯოს. თუ ჩვენი უფლებები დაცული არ იქნება, მუშაობა შეუძლებელი გახდება."*

აღსანიშნავია, რომ მეხუტო გონსალესს პრიმერა დივიზიონის უკლებლივ ყველა მსაჯმა დაუჭირა მხარი. ისინი სადისციპლინო კომიტეტში ერთობლივი პეტიციის გაგზავნას აპირებენ. კურიოზულია, მაგრამ "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელი მსაჯებთან მიმართებაში ყოველთვის თავაზიანი და თავშეკავებული იყო. აქამდე არავის უნახავს გაცხარებული ფლორესი, მაგრამ "ბილბაოსთან" მატჩში გონსალესმა მართლაც ამაზრზენად იმუშავა და ამ პატიოსან კაცს ნერვებმა უმტყუნა.

### გალაქსი: ზიდანის კონტრაქტი მზადაა

"ლოს ანჯელეს გალაქსიმ" **ზინედინ ზიდანს** კონტრაქტი გაუმზადა. კლუბის პრეზიდენტმა **ტიმ ლივეკემ** მიმომხილველებს აუწყა, რომ მისი ემისრები ფრანგი ვარსკვლავის აგენტებს დაუკავშირდნენ და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. მრავალმილიონიანი ანაზღაურების გარდა, ზიზუს **დევიდ ბექჰემთან** პარტნიორობის განახლებაც ელოდება. *"მან იცის, რომ ჩვენი გუნდის კარი ღიაა და რომ საკონტრაქტო პირობები პრობლემა არ არის,"* - აღნიშნა ლივეკემ. ამერიკულ ლიგაში ხელფასებზე ლიმიტია დაწესებული, მაგრამ ბექჰემისა და ზიდანის გამო გამონაკლისის დაშვებაზე თვით ლიგის ხელმძღვანელობაც კი თანახმაა.

### მაკელელე: იუვეში 4 მილიონად

"იუვენტუსი" "ჩელსის" ვეტერან ნახევარმცველ **კლოდ მაკელელეს** აკვირდება. 34 წლის ფეხბურთელმა "ჩელსის" თადარიგში გადაინაცვლა. ძირითადში მის ადგილზე **მიკაელ ესიენი** თამაშობს. მაკელელეს კონტრაქტში ერთი წელია დარჩენილი. კლუბი თანამშრომლობის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით სთავაზობს. ის კი ჯიუტად ორწლიან ხელშეკრულებას ითხოვს. "ეკიპის" ცნობით, "ბებერ ქალბატონს" ფეხბურთელის შეძენა 4 მილიონი გირვანქა დაუჯდება.

### 1 ივნისს, უემბლიზე, ბრაზილიასთან

1 ივნისს "უემბლიზე" ინგლისი ბრაზილიას შეხვდება. ეს იქნება პირველი სანაკრებო მატჩი ამ არენაზე 2000 წლის 7 ოქტომბრის შემდეგ, როცა მასპინძლები გერმანიასთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. სტივ მაკლარენის შეგირდები ბრაზილიელთა სტუმრობას საკვალიფიკაციო მატჩებისათვის მოსამზადებლად გამოიყენებენ. 6 ივნისს ინგლისს ესტონეთთან თამაში ელის. გამოცხადებულია, რომ ქულების დაკარგვის შემთხვევაში, მაკლარენს ბარგის ჩალაგება მოუწევს.

### სანტა კრუსი ბაიერნს ტოვებს?

"ბაიერნის" თავდამსხმელ **როკე სანტა კრუსს** კლუბის გამოცვლა მოუნდა. "მილანთან" განმეორებითი მატჩის შემდეგ პარაგვაელმა თავდამსხმელმა მიმომხილველებს აუწყა, რომ გადაწყვეტილება მიღებული აქვს და მიუნხენელებს ტრანსფერზე დაყენებას მოსთხოვს: *"იმის მიუხედავად, თუ ვინ მოდის "ბაიერნში" ან ვინ მიდის კლუბიდან, მე ძალიან ცოტას მათამაშებენ. ასეთი ვითარება არ მაწყობს. იმედია, უკეთეს სამსახურში მოვეწყობი."*

### რომარიო: ერთი თვე ნანატრ გოლამდე

**რომარიომ** მე-1000 გოლი ვერ გაიტანა. ოთხშაბათს "ვასკო და გამა" "ბოტაფოგოს" შეხვდა. კარიოკის შტატის პირველობის განმეორებითი ნახევარფინალი 4:4 დასრულდა. პენალტებში "ბოტაფოგომ" 4:1 მოიგო და "ვასკო" გათამაშებას გამოთიშა. რომარიო 999-ე გოლზეა გაყინული. მისი უგოლო სერია სამ მატჩს მოიცავს. 41 წლის თავდამსხმელი 280 წუთია, მეტოქის დამწუხრებას ვერ ახერხებს. ამ ხნის განმავლობაში "ვასკო და გამა" ქვედა დივიზიონის "გამასთანაც" დამარცხდა და ბრაზილიის თასს გამოეთიშა. რომარიოს მე-1000 გოლის გატასატანად მაისის შუა რიცხვებამდე მოუწევს ლოდინი. ბრაზილიის ჩემპიონატი ერთ თვეში დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. მილანთან მარცხის შემდეგ. ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერთან

# ვან ბომელი? არა, ეფე დიდი ფიურერი იყო

## იმედგაცრუებული კაიზერი თანახმაა, ჰარგრივსი გაყიდოს...

**ოთხშაბათის მატჩის შემდეგ ფრანც ბეკენბაუერს დანა პირს არ უხსნიდა. „სან სიროზე“ მიღწეული 2:2-ის შემდეგ, ისევე, როგორც ნებისმიერ გერმანელს, კაიზერ-ფრანცსაც იმედი ჰქონდა, რომ მისი „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გააღწევდა. და საერთოდ, „რეალის“ გაგდების შემდეგ ბავარიელები ევროპის ყველაზე ელიტარული საკლუბო ტურნირის მოგებაზეც ოცნებობდნენ. არცაა გასაკვირი, ნირწამხდარი ბეკენბაუერი „კიკერის“ კორესპონდენტს ინტერვიუზე ნაძალადევად რომ დათანხმდა და ცხელ გულზე, ზედმეტად გულახდილად რომ ისაუბრა...**

**- ჰერ ბეკენბაუერ, რას ელოდით და რა ნახეთ ოთხშაბათს, „ალიანს არენაზე“?**

- ველოდი იმას, რომ „ბაიერნი“ „მილანს“ აჯობებდა და ნახევარფინალში გავიდოდა. ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენი გუნდი ევროპის გრანდებთან შედარებით, მაინც სუსტია. ოთხშაბათს ყველამ ვნახეთ, თუ რაოდენ ძლიერია „მილანი“ და თუ რამდენად ბევრი გვაკლია „როსონერიმდე“. უნდა ვაღიაროთ, რომ ორი თამაშის ჯამში „მილანმა“ „ბაიერნს“ აჯობა და იტალიელები ნახევარფინალში დამსახურებულად გავიდნენ. ჩვენი გუნდის სასარგებლოდ კი, მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში ბიჭებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა თამაში შემოეტრიალებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

**- ვისი ბრალი იყო გაშვებული გოლები?**

- ცენტრალური მცველების! არ მესმის, ვერ გამიგია, რა სჭირთ ლუსიოსა და ვან ბუიტენს. ორივე გოლი ცენტრალური ზონიდან გავუშვით. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მხრივ მთელი სეზონის განმავლობაში პრობლემები გვქონდა. პირველი გოლის დროს ზეედორფს ძალიან მშვიდად მიალებინეს ბურთი, მეორე გოლის დროს კი ლუსიო და ვან ბუიტენი ერთმანეთს მოშორდნენ და რატომღაც ინძაგის ძალიან დიდი დერეფანი დაუტოვეს. „მილანთან“ ასეთი შეცდომების დაშვება, უბრალოდ, არ შეიძლება.

**- ადრეც გითქვამთ, რომ „ბაიერნი“ გაძლიერებას საჭიროებს და რომ ამისთვის ხელმძღვანელები ჯიბეზე ხელს გაიკრავთ. გუნდს, პირველ რიგში, უმაღლესი კლასის გამთამაშებელი სჭირდება...**

- ამ საკითხზე გუნდის მენეჯერი და ვიცე-პრეზიდენტი მუშაობენ. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ მომდევნო სეზონში „ბაიერნს“ კარგი ფლეიმეიქერი ჰყავდეს. მე თუ მკითხავთ, საუკეთესო ვარიანტი რონალდინიო იქნებოდა. ან კაკა, დეკუ და მესი, მაგრამ, იმედია, თქვენც ხვდებით, რომ ეს უაზრო ოცნებაა. ასეთ ვარსკვლავებს ბუნდესლიგით ვერ დააინტერესებ, კაკასთვის და კომპანიისთვის ჩვენი ჩემპიონატი არც ისე სანახაობრივია. ისლა დაგვრჩენია, სხვა ხერხები ვიხმაროთ.

**- ცნობილია, რომ „ბაიერნს“ ლუკა ტონის გადაბირება უნდა. იტალიელი თავდამსხმელი მიუნხენშიც იმყოფებოდა, კლუბის ბაზა მოინახულა და ული ჰიონესთან ერთად ივახშმა...**

- სწორია, ჩვენ ძალიან გვინდა ტონის ყიდვა, მაგრამ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ „ფიორენტინას“ ფორვარდი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ამის გამო, უამრავი შეთავაზება აქვს. მისი დარწმუნება იმაში, რომ მიუნხენში გადმოვიდეს, არ დაგიმალავთ, ძალიან ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში „ბაიერნი“ ჯერაც ყველასთვის ნომერ პირველი მისამართია – „შალკეს“ 50 წელი მაინც დასჭირდება, ჩვენს სიმაღლეზე რომ დადგეს – ასეთი ფეხბურთელების გადმობირება მაინც ჭირს. პრესაში დაიწერა, ტონის მიუნხენის მარიენპლატცი ძალიან მოეწონაო. მართალიცაა, მაგრამ ლუკა „ბაიერნში“ მხოლოდ მარიენპლატცის გამო არ გადმოვა. ის აუცილებლად ნახავდა „ბაიერნისა“ და „მილანის“ თამაშს... არადა, ძალიან კარგი იქნება, რომ გადმოვიდეს.

**- იან შლაუდრაფი, ხოსე ერნესტო სოსა და ჰამით ალთინთოფი – ეს ის ფეხბურთელებია, რომლებიც „ბაიერნმა“ მომდევნო სეზონისთვის შეიძინა. ადრეც თქვით, რომ რეკორდმაისტერი ამაზე შეჩერებას არ აპირებს...**

- შეჩერებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ, მაგრამ საკითხავი ისაა, რა გამოგვივა. ჰიონესსა და რუმენიგეს ვუთხარი, რომ მათ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ჩემი მხრიდან სრული ფინანსური მხარდაჭერა ექნებათ. ტრანსფერი ფულის გამო არ ჩაიშლება, ამის პირობას ვდებ. საკითხავია, თანახმანი იქნებიან თუ არა თვითონ ფეხბურთელები.

**- ოუენ ჰარგრივსს ჯერ კიდევ ეტყობა, რომ მიუნხენში ბედნიერი არ არის...**

- მე რომ ჰიონესისა და რუმენიგეს ადგილზე ვიყო, თუკი ჰარგრივსის სანაცვლოდ მართლაც შემომთავაზებდნენ 25 და 30 მილიონ ევროს, მის გაყიდვაზე სერიოზულად დავფიქრდებოდი. სწორად გამიგეთ, ამას ფულის გამო კი არა, ფეხბურთელის გამო ვამბობ. ოუენი შესანიშნავი ფეხბურთელია და არაერთხელ მითქვამს, რომ ის „ბაიერნს“ ძალიან სჭირდება. მაგრამ აშკარაა, რომ წასვლა უნდა. ასეთ დროს კი, ყველანაირ მცდელობას აზრი ეკარგება. ვიმედოვნებ, რომ ული და კალეც ასე ფიქრობენ.

**- ვინ არის ჩემპიონთა ლიგის ტოპ-ფავორიტი?**

- „ჩელსი“. ჰო, „მანჩესტერმა“ 7:1-ით ყველანი შოკში ჩაგვაგდო, მაგრამ ეს მაინც არაფერს ნიშნავს. „ჩელსი“ გაცილებით სტაბილური და რაციონალური გუნდია. ვფიქრობ, ლიგას „ჩელსი“ მოიგებს.

**- თქვენმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგა ბოლოს 2001 წელს მოიგო. რა განსხვავებაა მაშინდელ და დღევანდელ „ბაიერნს“ შორის?**

- ჩვენ მაშინ გვყავდა შტეფან ეფენბერგი, დღეს კი მისი დარი მოთამაშე აღარ გვყავს. ვინც ამბობს, რომ მარკ ვან ბომელი ახალი ეფეა, ძალიან ცდება. ვან ბომელი კარგი ფეხბურთელია და იმ მოთამაშეებს შორის, რომლებიც შტეფანის შემდეგ გვყავდა, ეფენბერგთან ყველაზე ახლოს დგას, მაგრამ ეფე სულ სხვა იყო. ეფენბერგი შეუდარებელი ფეხბურთელი გახლდათ, ნამდვილი ფიურერი.

**- ამრიგად, „ბაიერნს“ მიმდინარე სეზონში მხოლოდ ბუნდესლიგის თამაშებიღა დარჩა. „შალკეს“ 6 ქულით ჩამორჩებით – იქნებ „ვერცხლის სინის“ შენარჩუნება ახლა უფრო რეალური გახდეს, რაკი გუნდი მთელ კონცენტრაციას გერმანიის პირველობაზე გადაიტანს?**

- 6 ქულა ცოტა გგონიათ? არა, „ბაიერნის“ ჩემპიონობაზე აღარ ვფიქრობ. ჩვენ ტიტულს მხოლოდ იმ შემთხვევაში შევინარჩუნებთ, თუ „შალკე“ და „ვერდერი“ გაჩემპიონების სურვილს დაკარგავენ. „შალკეს“ საუკეთესო შანსი აქვს, მაგრამ გელზენკირხენელები ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან ერთი წაფორხილებაც კი, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეთ - არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვერდერს“ ბურთების შეფარდება „შალკეზე“ უკეთესი აქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბოლოს „შტუტგარტმა“ გაიცინოს...



ფრანც ბეკენბაუერი

**გოტფრიდ ლენცი**



ოლივერ კანი

ბაიერნი. სამომავლო გეგმები

# დიდი ცვლილებების მოლოდინში

## ოლივერ კანის უკანასკნელი მატჩი ჩემპიონთა ლიგაში?

ეს ზუსტად ისეთი საღამო იყო, **ოლივერ კანს** რომ უყვარს – გადაჭედილი „ალიანს არენა“; ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი და ფიქრი იმაზე, რომ ამ მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია 50-მდე ქვეყანაში გადაიცემა. ანუ, საღამო, რომელსაც დიდხანს ელიან და მერე ძალიან დიდხანს აღარ ავიწყდებათ ხოლმე. კანი უკვე 37 წლისაა და თუკი დღემდე არ დაასრულა კარიერა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთ საღამოებს ვერ შეელია – სანამ სხეული ამის საშუალებას მაძლევს, ბოლომდე უნდა ვისიამოვნოო. ოლის ძალიან უნდა, რომ ასეთ თამაშებში კიდევ არაერთხელ მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ ოთხშაბათის შემდეგ ცხადია: ამ სეზონში „ტიტანი“ ასეთ საღამოებს ველარ ეღირსება. ეღირსება კი კიდევ ოდესმე? საკითხავი, აი, ეს არის.

ისევე, როგორც შარშან, „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგიდან კვლავინდებურად იტალიელებმა დაიფრინეს. კონკრეტულად კი „მილანმა“, გუნდმა, რომლის წინაალმდეგაც გერმანიის რეკორდსმენს არაფერი გამოსდის. ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში „ბაიერნი“ “როსონერის“ მეხუთედ გადაეყარა და მეხუთედ დამარცხდა. აი, რას წერდა „ბილდი“ ხუთშაბათს: „რამდენადაც ამაყნი ვიყავით მილანში მიღწეული 2:2-ის შემდეგ, იმდენად იმედგაცრუებულები ვართ ახლა. ნახევარფინალის კარი ხომ ღია იყო – ეს იქნებოდა პირველი ნახევარფინალი ტრიუმფალური 2001 წლის შემდეგ. თქვენ კი, ისე ცუდად ითამაშეთ, ისე ცუდად, რომ ყველაფერზე გული აგვიცრუვდა. იტალიელებს ისევ მიეცით იმის უფლება, რომ მთელი გერმანიისთვის გული დაეწყვიტათ. ზუსტად ისე, როგორც ერთი წლის წინათ და ზუსტად ისე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატზე - აპენინელებმა გერმანული ფეხბურთი ისევ შეარცხვინეს. ჩაო, ბაიერნ! დამნაშავეები მხოლოდ თქვენ ხართ და არავინ სხვა. ოთხშაბათს კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ რეკორდმაისტერს არცერთ პოზიციაზე არ ჰყავს უმაღლესი კლასის ფეხბურთელები. **ვილი სანიოლისა** და **ბასტიან შვაინშტაიგერის** არყოფნამ ჰიტცფელდის გუნდი არია და ქაოტურ გუნდად გადააქცია. **ანდრეას ოტლმა** და **კრისტიან ლელმა**, რა გასაკვირია, რომ იმედები ვერ გაამართლეს. დაცვის ხაზი ისევ ამაზრზენი იყო. ყველაზე ცუდი კი მაინც ის გახლდათ, რომ **ჰასან სალიჰამიჯიჩმა** ბოლოს ნერვები ველარ მოთოკა და **ალესანდრო ნესტას** ჩაარტყა, რისთვისაც ბრაცო წითელ ბარათს იმსახურებდა. ერთი ფეხბურთელის ასეთი საქციელი „ბაიერნის“ სახელსა და იმიჯს უმოწყალოდ ბღალავს. ამ წაგების შემდეგ სულაც არ იქნება გასაკვირი, **არიენ რობენმა** და **ლუკა ტონიმ** მიუნხენში ჩამოსვლა რომ არ მოისურვონ.“

ამრიგად, „ბაიერნმა“ ვერ გამოჰკრა ხელი უეფას მიერ დაწესებულ პრემიას, სამ მილიონ ევროს და ახლა რეკორდმაისტერი იმ 11.8 მილიონით უნდა დაკმაყოფილდეს, რაც ჯგუფური ეტაპის გადალახვითა და „რეალის“ გაგდებით მოიხვეჭა. ეს იყო „ალიანს არენაზე“ განცდილი პირველი მარცხი ევროტურნირების ბოლოს 9 საშინაო თამაშში და საკუთარ კედლებში წაგებული პირველი საფლეიოფო მატჩი 1991 წლის შემდეგ (1:2 „პარტიზანთან“).

„ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** შარშან, „მილანთან“ განცდილი კრახის შემდეგ (1:1, 1:4) თქვა, სერიოზულად ვფიქრობ იმაზე, რომ გუნდს ახალი სისხლი უნდა გადაესხასო. თუმცა, გასულ ზაფხულს ამისთვის ცოტა რამ გაკეთდა. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სეზონის შემდეგ, რომელსაც ბავარიული გიგანტი ალბათ ტიტულის გარეშე დაამთავრებს, მიუნხენში მართლაც დიდი საკადრო ცვლილებები იქნება. **იან შლაუდრაფის** (ალემანია), **ჰამით ალთინთოფისა** (შალკე) და **ხოსე სოსას** (ესტუდიანტესი) გარდა, „ბაიერნში“ სხვებსაც უნდა ველოდოთ – გაცილებით მაღალი კლასისა და რანგის ვარსკვლავებს. ცხადია, რომ ბავარიული გუნდი გაძლიერებას დაცვაშიც საჭიროებს – **დანიელ ვან ბუიტენი** კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა კუთხურის ან ჯარიმის დროს მეტოქის საჯარიმოში ჩადის, თავის მოვალეობებს კი ხუთიანზე ნამდვილად ვერ ასრულებს.

*„შვაინშტაიგერის არყოფნამ დაღი დაგვასვა,“* – ამბობს **ჰიტცფელდი**, - *„როცა ბოლო ტესტი ჩავუტარეთ და დადგინდა, რომ ვერ ითამაშებდა, ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი. ლელი და ოტლი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ სხვა თუ არაფერი, „მილანთან“ თამაშისთვის, პირველ რიგში, გამოცდილება არა აქვთ. შემეძლო, შვაინი სასტარტო შემადგენლობაში მაინც დამეყენებინა, მაგრამ რისკი იმისა, რომ გაცილებით სერიოზულ ტრავმას მიიღებდა და საოპერაციო გახდებოდა, ძალიან დიდი იყო.“*

*„სეზონის დასაწყისში ვამბობდით, რომ ჩვენი მიზანი, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაძლევა იყო. გავედით მერვედფინალში და გავაგდეთ „რეალიც“ – ე.ი. პროგრამა მინიმუმი შევასრულეთ,“* – ეს კანის სიტყვებია. სამაგიეროდ, „ბაიერნს“ გერმანიის ჩემპიონატში უჭირს პროგრამა მინიმუმის შესრულება - ჰიტცფელდის სამწყსო, ყველასთვის მოულოდნელად, მე-4 ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. ბავარიელები ბუნდესლიგის საუკეთესო სამეულში რომ ვერ მოხვდნენ, „მილანთან“ ჩატარებული გუშინწინდელი მატჩი კანისთვის უკანასკნელი აღმოჩნდება ჩემპიონთა ლიგაში...

**გოტფრიდ ლენცი**

## ობობის ნაკბენი

### შვაინის ტრავმა მძიმე აღმოჩნდა!

ბასტიანის კარიერას, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს...

**ბასტიან შვაინშტაიგერმა „მილანთან“ იმის გამო ვერ ითამაშა, რომ შაბათს, ჰანოვერში მოგებული თამაშის შემდეგ (2:1) მუხლი ასტკივდა. „ბაიერნის“ სამედიცინო შტაბში იმედოვნებდნენ, რომ ტრავმა სერიოზული არ იყო და რომ 22 წლის ნახევარმცველი რეკორდმაისტერს მალევე დაუბრუნდებოდა, მაგრამ გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ შვაინშტაიგერს მოსალოდნელზე ხანგრძლივი იძულებითი პაუზა ემუქრება.**

*„შვაინის მუხლის ანთება აქვს და, სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცით, რამდენ ხანს დაგვაკლდება. შესაძლოა, 2-3 კვირა დაისვენოს. გამორიცხული არც ისაა, რომ უფრო ხანგრძლივი შვეულებაც გამოიწეროს. ექიმებმა ანალიზები აუღეს, საბოლოო დიაგნოზი მომავალ კვირაში გვეცოდინება. დიდი შანსია, რომ ბასტიანს ობობის ნაკბენის გამო, ინფექცია ჰქონდეს შეჭრილი,“* – **განაცხადა გუშინ რეკორდმაისტერის თავკაცმა ოტმარ ჰიტცფელდმა.**

**ცნობილია, რომ ორი წლის წინათ ბასტიანს ობობამ უკბინა, რის გამოც, მას მერე იმ მუხლზე რეგულარულად პრობლემები აქვს. „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ ფეხბურთელს ბორელიური ინფექცია არ აღმოაჩნდება, თორემ თუ შვაინშტაიგერს მართლაც ეს დიაგნოზი დაუსვეს, იმ შემთხვევაში, თუ ინფექცია დაგვიანებით იქნა აღმოჩენილი, დიდი შანსია, რომ მის კარიერას საფრთხე დაემუქროს, რადგან ინფექცია ქრონიკულში გადაიზრდება და განკურნება შეუძლებელი გახდება. რეკორდმაისტერის ვარსკვლავი ახლა ანტიბიოტიკებს იღებს და ექიმების პასუხს ელოდება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# შუსტერმა კონტრაქტი გააფორმა

## ივლისიდან გერმანელი სპეციალისტი სამეფო კლუბში იმუშავებს, მას კრისტიანო რონალდოს შეძენის იმედი აქვს...

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, "ხეტაფეს" მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** "რეალთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. მომავალი სეზონიდან გერმანელი სპეციალისტი სამეფო კლუბს ჩაიბარებს. შუსტერს მადრიდელთა პრეზიდენტ **რამონ კალდერონთან** სიტყვიერი შეთანხმება ჰქონდა, მაგრამ ამჯერად მხარეებმა ერთი ნაბიჯით წაიწიეს წინ. გერმანული სააგენტო DPA გვაუწყებს, რომ თანამშრომლობა 1 ივლისიდან დაიწყება. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, შუსტერის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფდნენ გარიგების ფაქტს, მაგრამ საღამოს DPA-ს დაუდასტურეს, რომ შეთანხმება შედგა. ისიც კი გადაწყვეტილია, რომ თუ რაიმე მოტივით, "რეალი" პოზიციას შეიცვლის და შუსტერს აღარ დანიშნავს, კომპენსაციის სახით, 1 მილიონ ევროს გადაუხდის. და პირიქით, თუ შეთანხმება შუსტერის მიზეზით დაირღვევა, მას აქეთ მოუწევს მადრიდელთა ანგარიშზე 1 მილიონის გადარიცხვა.



ბერნდ შუსტერი

შუსტერი "ბარსელონისა" და "რეალის" ყოფილი ვარსკვლავია. მან ხეფატელთა მოკრძალებული კოლექტივისაგან სიმპათიური გუნდი შექმნა. ჰერ ბერნდს პრიმერა დივიზიონში საუკეთესო დაცვა ჰყავს. მისმა შეგირდებმა 29 ტურში მხოლოდ 23 გოლი გაუშვეს. შუსტერი ესპანური ფეხბურთის ექსპერტად მიიჩნევა. "რეალის" ხელმძღვანელობამ ის ბევრად უფრო ავტორიტეტულ სპეციალისტებზე მაღლა დააყენა და მას შესთავაზა კონტრაქტი.

მარტში შუსტერმა საჯაროდ გააკრიტიკა მადრიდელთა ამჟამინდელი თავკაცი **ფაბიო კაპელო**, რითაც სამეფო კლუბის გულშემატკივართა გული მოიგო: *"მას (კაპელოს) მხოლოდ გამარჯვება უნდა და უმნიშვნელოდ მიაჩნია ის, თუ რა გზით მიაღწევს სასურველ შედეგს. ასეთი ფილოსოფიის მწვრთნელს "რეალში" მომავალი არა აქვს. თითქმის დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მომავალ სეზონში კაპელოს სამეფო კლუბის დამრიგებელი არ იქნება."*

რამდენიმე კვირის წინ პირველად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "რეალის" საზაფხულო ტრანსფერები შუსტერთან შეთანხმებით იგეგმება. სწორედ მან მოითხოვა **ფაბიო კანავაროს** გაყიდვაზე ყოველგვარი საუბრის შეწყვეტა. მისივე ინიციატივით გაფორმდა კონტრაქტი **კრისტოფ მეტცელდერთან**. ახლა კი მადრიდელებს **კრისტიანო რონალდოს** შეძენას ურჩევს. შუსტერის აზრით, პორტუგალიელი გარემარბი იმ დონის ფეხბურთელია, რომ მის სანაცვლოდ 50 მილიონი გირვანქის გადახდაც კი არ არის ზედმეტი.

მწვრთნელი

# სვენი ნიუკასლში?

## კლუბი სპეკულაციებს არ ადასტურებს

გაზეთი "თაიმსი" იუწყება, რომ **სვენ გორან ერიქსონს** "ნიუკასლში" დანიშვნას უპირებენ. ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი მუნდიალის შემდეგ უმუშევარია. თუ ჯორდები **გლენ როუდერს** კარისკენ მიუთითებენ, სვენს შეეხმიანებიანო, წერს ავტორიტეტული გამოცემა. როუდერის საკითხი მხოლოდ სეზონის ბოლოს გადაწყდება. სოლიდური ინვესტიციების მიუხედავად, "ნიუკასლი" გრანდებთან ჭიდილს ვერ ახერხებს. ის საშუალო დონეს ვერ სცდება. კლუბის თავმჯდომარე **ფრედი შეპერდს** გამუდმებით შუა ეშელონში ყოფნა მობეზრდა, ამიტომ ავტორიტეტული სპეციალისტის მიწვევას გეგმავს. "თაიმსის" მტკიცებით, მისი ფავორიტი ერიქსონია. იანვრის ტრანსფერებისას სვენს მარსელში იწვევდნენ. "ოლიმპიკის" შეძენა კანადელ ბიზნესმენს სურდა, მაგრამ გარიგება არ შედგა და ერიქსონის საკითხიც დღის წესრიგიდან მოხსნილია. "თაიმსი" აღნიშნავს, რომ შვედი ერთადერთი კანდიდატი არ არის. განიხილება "ჩარლტონის" ბოსის, **ალან პერდიუსა** და "ნიუკასლის" ყოფილი თავდამსხმელის, **ალან შირერის** ვარიანტებიც.

გუშინ საღამოს "სქაი სპორტსმა" შეპერდის კომენტარი გაავრცელა. კითხვაზე, მართლა აპირებს თუ არა სვენის დანიშვნას, "ნიუკასლის" თავმჯდომარემ მიუგო: *"დღეს რა, პირველი აპრილია? ნებისმიერი სპეკულაცია ერიქსონის, ან სხვა რომელიმე სპეციალისტის დანიშვნაზე სრული სიცრუა და ყოვლად უსაფუძვლო ჭორია. სვენთან მას მერე არ მისაუბრია, რაც ის ინგლისის მწვრთნელი აღარ არის. არც მის აგენტ ათოლ სტილსა და ასისტენტ ტორდ გრიპს დავკავშირებივარ. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, არც მათ გამოუთქვამთ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. "ნიუკასლის" მწვრთნელის საკითხი დახურულია, იმიტომ რომ კლუბს უკვე ჰყავს მწვრთნელი."*

შესაძლოა, სპეკულაციები იმან გამოიწვია, რომ "ნიუკასლი"-"არსენალის" (0:0) ორშაბათის მატჩს საპატიო სტუმრების ლოჟიდან ერიქსონი ადევნებდა თვალს. როგორც გაირკვა, ის არა ნიუკასლელების, არამედ ლონდონელების ვიცე-თავმჯდომარის, **დევიდ დინის** სტუმარი იყო.



სვენ გორან ერიქსონი

დიდი შემოსავლის მოლოდინში

# არისტოკრატული პრემია მზადაა

## თუ ჩელსი დიდ სლემს მოიგებს, ფეხბურთელები 14 მილიონ გირვანქას გაიყოფენ...

თუ "ჩელსი" სეზონს დიდი სლემით დაასრულებს, ფეხბურთელები ასტრონომიულ პრემიას, 14 მილიონ გირვანქას მიიღებენ. ჯერჯერობით "არისტოკრატების" აქტივში მხოლოდ ლიგის თასია. ლონდონელები ინგლისის ჩემპიონობაზე, ჩემპიონთა თასსა და ასოციაციის თასზეც აცხადებენ პრეტენზიას. "დეილი მეილის" ცნობით, კლუბის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს შორის ფინანსური საკითხები უკვე შეთანხმებულია.

"ვალენსიის" დამარცხებისა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლისათვის, პრემიის სახით, გუნდი 750 ათას გირვანქას მიითვლის. ჩემპიონთა ლიგის მოგება ფეხბურთელებს დამატებით 3 მილიონ გირვანქას მოუტანს. "დეილი მეილის" მიმომხილველმა დაიანგარიშა, რომ **დიდიე დროგბა**, რომელმაც პრემიერლიგის 32-სავე მატჩში ითამაშა, დიდი სლემის შემთხვევაში, მარტო პრემიალურებით 737 ათას გირვანქას გამოიმუშავებს. ეს მილიონ დოლარზე მეტია.

მსოფლიოს ფეხბურთს ამხელა საპრემიო ბიუჯეტი არ ახსოვს. "მანჩესტერ იუნაიტედი" სამი ჯილდოს, ინგლისის ჩემპიონობის, ასოციაციის თასისა და ჩემპიონთა თასისათვის იბრძვის. წარმატების შემთხვევაში, ფეხბურთელებს მხოლოდ 5.6 მილიონ გირვანქას გადაუხდიან, რაც "არისტოკრატების" მაჩვენებელს ორნახევარჯერ ჩამოუვარდება. **სერ ალექს ფერგიუსონის** თითოეულ შეგირდს 1999 წლის ტრიუმფის გამეორების შემთხვევაში, 350 ათასი გირვანქა შეხვდება. ჩემპიონთა ლიგის მოგებისათვის ისინი 200 ათას გირვანქას მიიღებენ, ინგლისის ჩემპიონობისათვის - 100 ათასს და კიდევ 50 ათასს ასოციაციის თასის დაუფლების შემთხვევაში. ცნობისთვის, ეს ფერგის მეექვსე ასოციაციის თასი იქნება. "ჩელსის" ფეხბურთელებმა ლიგის თასისსთვის უკვე გაინაწილეს 1 მილიონი გირვანქა. ასოციაციის თასისათვის 1.5 მილიონი ელოდებათ, ფინალში დამარცხების შემთხვევაში კი - მხოლოდ 500 ათასი.

### ბიშოვეცს წყალი შეუდგა

სერბი სპეციალისტი **სლავოლიუბ მუსლინი**, შეიძლება, მოსკოვის "ლოკომოტივში" დაბრუნდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ **ანატოლი ბიშოვეცს** კარისკენ მიუთითებენ. მუსლინის დაბრუნებას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **სერგეი ლიპატოვი** უჭერს მხარს. მისი მოღვაწეობისას რკინიგზელები ცსკასა და "სპარტაკის" სრულფასოვანი კონკურენტები იყვნენ და ჩემპიონობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ამ მწვრთნელს კლუბის ყოფილ პრეზიდენტ **ვალერი ფილატოვთან** უთანხმოება ჰქონდა. ამიტომ შარშან, ჩემპიონატში მეორე ადგილზე ყოფნის მიუხედავად, უეფას თასზე მოკრძალებულ ბელგიურ კლუბ "ვარეგემთან" წაგება არ აპატიეს და დაითხოვეს. დღეს ფილატოვი მოსკოვურ კლუბში აღარ მუშაობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მუსლინს გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებთანაც საუცხოო ურთიერთობა ჰქონდა.

### ედმუნდო და შელოტო ამერიკულ ლიგაში

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ედმუნდო** ამერიკაში გამგზავრებას გეგმავს. მას ნიუ იორკის "რედ ბული" ეპატიჟება. 36 წლის ფორვარდი "პალმეირასში" ირიცხება და კლუბის საუკეთესო ბომბარდირია. თავის დროზე მას "ფიორენტინაშიც" უთამაშია. 1998 წლის მუნდიალზე კი ბრაზილიელთა სათადარიგო მოთამაშე იყო. აქვე გეტყვით, რომ არგენტინული გაზეთების მტკიცებით, "ბოკა ხუნიორსის" ფლეიმეიქერი **გილერმო ბაროს შელოტო** "ქოლამბუს ქრუში" გადასასვლელად ემზადება.



ჯოვანი ტრაპატონი

ტრაპის მორიგი აფეთქება

# ბლა ბლა ბლა ზურგსუკან

## მაესტრო ჯოვანი ამჯერად ზალცბურგში გააცოფეს...

ზუსტად 9 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც **ჯოვანი ტრაპატონიმ** მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი პრესკონფერენცია ჩაატარა. მაშინ ტრაპი მიუნხენის „ბაიერნის" თავკაცი გახლდათ და იმ პრესკონფერენციის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია. ასეთი გაცეცხლებული ტრაპი საფეხბურთო სამყარომ მაშინ პირველად ნახა – თითქოს ჭკუიდან შეიშალაო, უმაღლეს ხმაზე ყვიროდა, დამტვრეული გერმანულით ფეხბურთელებს ლანძღავდა და ხელს ძალიან მაგრად ურტყამდა მაგიდაზე. ეს 1998 წლის 10 მარტს მოხდა და ეს არის ერთადერთი პრესკონფერენცია, რომლის ვიდეოჩანაწერსაც განადგურება არ უწერია.

ამ დღეებში ინტერნეტში ტრაპის ახალი, მთლად ისეთი ვერა, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესო პრესკონფერენციის კადრები გამოჩნდა. ვისაც ინტერნეტზე ხელი მიგიწვდებათ, აუცილებლად მოძებნეთ ვიდეოპორტალ youtube-ზე, უყურეთ და იხალისეთ. ხოლო, ვისაც ამის საშუალება არ აქვს, საინტერესო ადგილების ამონარიდს გთავაზობთ. გეტყვით იმას, რომ ტრაპი განრისხებული გახლდათ ავსტრიელ ჟურნალისტებზე, რომლებმაც მაესტროს ვარჯიშები გააკრიტიკეს. შეგახსენებთ, რომ ჯოვანი **ლოთარ მათეუსთან** ერთად ზალცბურგის „რედ ბულს" წვრთნის. შევეცადეთ, ტრაპის სიტყვები, სტილის დაცვით, შეძლებისდაგვარად ზუსტად გადმოგვექართულებინა:

*„მე კარგად გაგება კრიტიკის შედეგის გამო, მაგრამ ვერ მოთმენა და ვერ ატანა კრიტიკის ჩვენს მუშაობაზე. ჩვენი ვარჯიში ძალიან ძლიერია. არის თანამედროვე. და ვარჯიშზე მოგებაც ასევე!"*

*„მე ვალდებული ვარ გაგება კრიტიკის. დიახ! შედეგზე კრიტიკის, დიახ! შეცდომა? კრიტიკა! დიახ! მაგრამ როცა ვარჯიში, მაშინ არა! არა, არა და არა! მე 21 წარმატება მაქვს. ბოლო წლებშიც და ორი წლის წინაც წარმატება მაქვს. დღეს კი რა ხდება? ბლა ბლა ბლა ზურგსუკან!"*

*„ხალხს ვარჯიში არ ესმის, არაფერი არ ესმის ვარჯიშზე! წერენ, აკრიტიკებენ ამ სისტემას ვარჯიშისა. ყოველდღე ერთი და იგივე ბლა ბლა ბლა ბლა! ახსოვთ? ჩვენ ცხრილის თავში ვართ ამ ვარჯიშით, ამ სისტემებით."*

*„გულშემატკივრების კარგად მესმის – იხდიან, გუნდი წაგება, უსტვენენ. არავითარი პრობლემა. უსტვინონ. ეს მართალია. წავაგეთ!"*

*„პროფესიონალი ვარ ფსიქოლოგიაზე!"*

*„ჩვენ ვვარჯიშობ, ვაკეთებთ კონდიციას. ხალხი კი, ზურგს უკან სულ ბლა ბლა ბლა და ათასი სისულელე. მე მსოფლიოს საუკეთესო ბიჭებს ვწვრთნიდი, ყველგან! და ის გუნდები ჩემპიონები ხდებოდნენ!"*

...ეს მაესტრო ჯოვანი ტრაპატონია – ლეგენდარული, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, დიდი საფეხბურთო გულითა და იტალიელთათვის დამახასიათებელი, ფეთქებადი ხასიათით...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ხრისტო სტოიჩკოვთან

# ვნებისა და გატაცების გარეშე, ფეხბურთს იდიოტები თამაშობენ

## ლეგენდარული ბულგარელი მიიჩნევს, რომ სელტამ რთული სიტუაციის დაძლევა სიამაყითა და ამპარტავნობით უნდა სცადოს...



ხრისტო სტოიჩკოვი

**ხრისტო სტოიჩკოვი "სელტის" მთავარ მწვრთნელობას შეუდგა. ვიგოელები მისგან, რა თქმა უნდა, წარმატებულ მუშაობას ელიან. ბულგარელი მზადაა, მთელი პასუხისმგებლობა იტვირთოს. "ბარსელონის" ლეგენდარულმა ფორვარდმა უკვე მოასწრო ხასიათის მკაცრი თვისებების გამომჟღავნება. სტოიჩკოვმა ფეხბურთელებს მთელი სერიოზულობით უთხრა, ვინც ბოლომდე არ დაიხარჯება, გუნდს ყოველგვარი რევერანსების გარეშე დატოვებსო. საგანგებო პრესკონფერენციაზე ის კლუბის სამოსით გამოცხადდა, რომელსაც ზურგის მხარეს მწვრთნელის გვარი ჰქონდა დატანებული. ბულგარელმა ამით ხაზი გაუსვა, რომ საქმე ყველას სტოიჩკოვთან ექნება.**

**- როგორია "სელტის" ახალი მთავარი მწვრთნელის პირველი სამუშაო დღე?**

- შესანიშნავი დღე მქონდა. უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს მოვეკიდე. ეს სამუშაო ჩემთვის წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია. მიხმეს, რათა "სელტა" გადავარჩინო. თუ გნებავთ, მესია დამიძახეთ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემს გუნდს უნდა ვუშველო და პრიმერა დივიზიონში დავტოვო. უკვე დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ "სელტას" დიდი კლასი გამოარჩევს. დიახ, ჩვენ მაღალი დონის გუნდი გვყავს, რომელიც სამწუხარო გარემოებების გამო, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ახლა ყველა ერთად უნდა დავდგეთ, დავირაზმოთ და სეზონის დასრულებამდე დარჩენილი შეხვედრები მოვიგოთ. მჯერა, დასახულ ამოცანას წარმატებით გადავჭრით.

**- სადებიუტო ორთაბრძოლას "დეპორტივოს" წინააღმდეგ ჩაატარებთ. მზად ხართ გამარჯვებისთვის?**

- პირადად მე, მენტალურად მზად ვარ, რომ მოვიგოთ. ბუნებრივია, ბევრი დრო არ მაქვს იმისთვის, რომ "დეპორტივოსთან" შეხვედრამდე ბიჭებს ჩემი საფეხბურთო მსოფლმხედველობა ბოლომდე გავაცნო. ეს გამორიცხულია, ამიტომ სხვა გზას უნდა მივმართოთ. ყველას უნდა ესმოდეს, ფეხბურთი ვნებისა და გატაცების გარეშე იდიოტების თამაშია. თამაში, სადაც ერთ ბურთს 22 გამოშტერებული დასდევს. ხოლო, როცა საქმეს ვნება და გატაცება ერთვის, ფეხბურთი ხელოვნებად გადაიქცევა. ჩემმა შეგირდებმა საკუთარ თავში საკმარისი ემოციები უნდა ჰპოვონ იმისთვის, რომ უბრალოდ, მოედანზე გავიდნენ და თამაშში გული ჩააქსოვონ. თუ ოპტიმიზმი არ გექნება, ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ. იმედი მაქვს, ჩემი შეგირდები დაამტკიცებენ, რომ ნამდვილი კაცები არაიან და არა ქალწულობის დაკარგვის ტკივილით შეშინებული გოგონები. ვიცი, მაჩისტად მომნათლავენ, მაგრამ ასეთი არ გახლავართ. ნამდვილი ფეხბურთი მხოლოდ ძლიერი მამრების საქმეა. მოკლედ, მჯერა, "სელტა" ღირსეულად იასპარეზებს. დროთა განმავლობაში კი გუნდს კვალიფიციური მწვრთნელის ხელიც დაეტყობა.

**- გუნდში როგორი ატმოსფერო დაგხვდათ?**

- ლოგიკურია, რომ ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, ბიჭები დანაღვლიანებულები არიან. მათ ვუთხარი, რომ ჩამოყრილი ყურებითა და დაყრილი ფარ-ხმალით ბრძოლას ვერასოდეს მოიგებენ. სასწრაფოდ უნდა შევძლოთ მობილიზება. წარსული რაც შეიძლება იშვიათად უნდა გავიხსენოთ. რაც იყო, ოყო! ამიერიდან, მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. იცით რას ვგრძნობდი, როცა "კამპ ნოუზე" გავდიოდი? ვხვდებოდი, რომ ათიათასობით ადამიანი ჩვენი თამაშის სანახავად მოდიოდა. ვალდებულები ვიყავით, მათთვის პატივი გვეცა. გარდა ამისა, მაცოფებდა იმის წარმოდგენა, რომ ცუდი ასპარეზობის გამო, ხალხის დასაცინი გავხდებოდი. არც ბედს ვეგუებოდი და არც მოწინააღმდეგეებს ვუშინდებოდი. მეტოქე ჩემზე ფიზიკურად ძლიერი, მაღალი და ღონიერიც რომ ყოფილიყო, მაინც თავით შევასკდებოდი და გოლს გავიტანდი. არასოდეს შევგუებივარ იმ აზრს, რომ მე ეს არ შემიძლია. რა სისულელეა, თუ საქმე ბურთს ეხება, აბსოლუტურად ყველაფერი შემიძლია-მეთქი. ფეხბურთელისგან კიბერნეტიკის სფეროში სადოქტორო ნაშრომის დაწერას არავინ ითხოვს. უბრალოდ, საკმარისი პატივმოყვარეობა უნდა აღმოაჩნდეს და დასაცინად არ გაიხადო თავი. ამ ყველაფერზე უკვე ვისაუბრეთ და ბიჭები 100 პროცენტით დამეთანხმნენ. მათ ვუთხარი, ყველაფერს შეგისრულებთ, რასაც მთხოვთ, მხოლოდ ჯერ მე უნდა შემისრულოთ მოთხოვნებიმეთქი.

**- "სელტას" რამდენად კარგად იცნობთ? მართალია, გვითხარით, რომ თქვენს გუნდს მაღალი კლასის მქონე კოლექტივად მიიჩნევთ, მაგრამ მაინტერესებს დეტალებში თუ ხართ გარკვეული...**

- რა თქმა უნდა, ყველაფერში გასაცნობიერებლად რამდენიმე დღე მაინც დამჭირდება. ახლა ეს არ არის მთავარი. ცაიტნოტში ვართ, ამიტომ საკუთარ თავს უნდა გადავახტეთ. საშუალება მქონდა, "სელტის" რამდენიმე მატჩი მენახა. გარკვეული შთაბეჭდილება შემექმნა. ამ ეტაპზე რევოლუციურ ცვლილებებს არ ვგეგმავ. ალბათ, იგივე შემადგენლობით ვცდით უფსკრულიდან ამოძრომას.

**- ვიგოელთა შემოთავაზებაზე დათანხმების წინ ბევრი იფიქრეთ?**

- ერთ მშვენიერ დღეს ურთულესი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდი. უნდა ამერჩია, ბულგარეთის ნაკრებში გამეგრძელებინა მუშაობა, თუ გალისიაში წამოვსულიყავი. მივხვდი, რომ ყოველდღიური სამუშაო მჭირდებოდა. მიყვარს დაძაბულობაში ცხოვრება. როცა ყოველ კვირა რაღაც ახლის მოლოდინში ხარ, სიცოცხლე უფრო საინტერესოა. ბულგარეთის ეროვნულ გუნდში თვეში მხოლოდ ერთი მატჩის ჩატარების საშუალება მქონდა. ამ პირობებში ვერ გავიზრდებოდი. ისიც მესმოდა, რომ ჩემი ქვეყანა რაღაცას მთხოვდა, მაგრამ ფედერაციის მესვეურებთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ვალი უკვე მოვიხადე. ჩემი თაოსნობით, ნაკრებმა ახალი ეტაპი დაიწყო. სწორედ მე ჩავუყარე საფუძველი ამ პროცესებს. ასე რომ, ვიგოში სუფთა სინდისით წამოვედი.

**- ბევრს მიაჩნია, რომ გარკვეულწილად ოპორტუნისტი ხართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სამუშაოს არ დათანხმდებოდით.**

- ფერნანდო ვასკესი გაუშვეს. რას ვიზამთ, ეს ფეხბურთის კანონია. ოპორტუნისტი არასოდეს ვყოფილვარ. ვერ ვიტან ასეთ ხალხს. სერიოზული ადამიანი ვარ და მიმაჩნია, რომ წარმატება ყოველდღიური მიზანმიმართული მუშაობით მიიღწევა. დღეს მე ამირჩიეს, მაგრამ ხვალ შეიძლება, სიტუაცია შეიცვალოს და "სელტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სულ სხვა ადამიანი იხილოთ. იმედია, გაცემული ავანსების გამართლებას შევძლებ.

**- როგორია თქვენი სამწვრთნელო ფილოსოფია?**

- მოწინააღმდეგის კარში ერთით მეტი გოლის გატანა. ბრაზილიელივით ვფიქრობ არა (იცინის)? შეიძლება გიჟი გეგონოთ, მაგრამ თანახმა ვარ, ყოველი მატჩი 10:9 მოვიგოთ. სულაც არ შემრცხვება, რომ ცხრა ბურთს გავუშვებთ. პირიქით, ათი გოლის გატანით ვიამაყებ. აუცილებელია, რომ ფეხბურთელებმა თამაშით სიამოვნება მიიღონ. თუ ისინი გაიტანჯებიან, მაყურებლებსაც დატანჯავენ. გულშემატკივარმა მოთამაშის უძლური გამომეტყველება არ უნდა დაინახოს. მათ უნდა სჯეროდეთ, რომ ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია. პირველ რიგში, საკუთარი ღირსების დაცვა. ამაყები და ამპარტავნები უნდა ვიყოთ.

**- გულწრფელად მითხარით, გჯერათ, რომ "სელტის" ამ შემადგენლობას უფრო მეტის გაკეთების უნარი შესწევს? ფეხბურთელების შესაძლებლობები შეზღუდული ხომ არ არის?**

- დარწმუნებული ვარ, რომ საგრძნობლად მოუმატებენ, თუმცა ისიც ვიცი, დარჩენილ ცხრა ტურში ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოპოვებისთვის აუცილებელ ქულებს ვერ დააგროვებენ. ახლა სულ სხვა ამოცანის წინაშე ვდგავართ. პრიმერა დივიზიონში უნდა დავრჩეთ. მომავალი სეზონიდან კი ახალი ამოცანები დაისახება.

**- თუ "სელტა" უძლიერესთა ლიგაში დარჩენას ვერ შეძლებს, სეგუნდა დივიზიონშიც გააგრძელებთ მუშაობას?**

- მოდით, ჯერ სეზონი დასრულდეს და ამ თემაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ფული ვერ იქნება ყოველთვის მთავარი და ყველაფერზე მნიშვნელოვანი. ისე კი, ჩვენთან არავინ ფიქრობს სეგუნდა დივიზიონზე. მართალია, ახლა გასავარდნ ზონაში ვიმყოფებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სეზონის ბოლოსაც აქ ვიყურყუტებთ. "სელტა" ისეთი ერთიანი უნდა გახდეს, როგორც არასოდეს. ვიცი, ამას შევძლებთ. პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის შიში სხეულში არ უნდა შევუშვათ, თორემ ფეხები აგვიკანკალდება. ფეხებაკანკალებულ მოთამაშეზე ადვილი დასაჩაგრი არავინაა. ასეთებს ტყავს ვაძრობდი. თვალიც რომ აგეხვიათ, ყნოსვით ვხვდებოდი, რომ მოწინააღმდეგეს ჩემი ეშინოდა. ასეთი მცველები დატანჯული მყავდა (იცინის).

**- მსაჯებთან ყოველთვის დაძაბული და რთული ურთიერთობა გქონდათ. მათ ახლაც არაფერს დაუთმობთ?**

- მსაჯს რაც არ უნდა ვეჩხუბოთ, გადაწყვეტილებას მაინც არ შეცვლის. უკეთესი იქნება, თუ ნერვებს არ ავყვებით. შევეცდები, კორექტული ვიყო. იმედია, ჭკუიდან არ გადამიყვანენ. მე ხომ პირველი არასოდეს გადავდივარ თავდასხმაზე. თუ ყვერებზე შემეხებიან, ხელებს მოვამტვრევ. სჯობს, საერთოდ დავივიწყოთ, რომ 22 ფეხბურთელის გარდა, მინდორზე სამი მსაჯიც დარბის. ისე უნდა ვითამაშოთ, რომ მათმა შეცდომებმა წარმატებაზე ვერანაირი გავლენა ვერ იქონიოს. პრიმერა დივიზიონში ხშირია მსაჯობასთან დაკავშირებული სკანდალები, მაგრამ ახლა ეს პოლემიკა არ მაინტერესებს. მხოლოდ სიმშვიდე მჭირდება.

**- სტოიჩკოვი და სიმშვიდე?**

- ნუ გავიწყდებათ, რომ ფეხბურთელი აღარ ვარ. უკვე მწვრთნელი გახლავართ (იცინის).

**- როგორ ფიქრობთ, ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ესპანურ გრანდს ჩაგაბარებენ?**

- ანგარიშს არასოდეს ვაწარმოებ. არ მიყვარს გათვლები და ანგარება. სახლიდან როცა გავდივარ, საფულეში არ ვიხედები და ფულს არ ვთვლი. ბანკის ანგარიშის ბალანსსაც უიშვიათესად ვამოწმებ. წარმოდგენა არ მაქვს, ხვალ და ზეგ რა მოხდება. დღეს "სელტაში" ვარ, ხვალ შეიძლება "ბარსელონამ" დამიძახოს, მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობ. მართლაც, არ მიყვარს ზედმეტი ნგარიში. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გავთვალო სვლები, რომელთა მეშვეობითაც ესპანურ გრანდში აღმოვჩნდები. ყველაფერს თავად ცხოვრება დაგვანახებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



დანიელ ალვეში

მოსალოდნელი ტრანსფერი

## ალვეში ლივერპულს რჩება

### რეალი და ბარსა ბრძოლას ჩამოშორდნენ?

"ლივერპული" სევილიელ **დანიელ ალვეშს** ყიდულობს. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. **რაფა ბენიტესი** ბრაზილიელ განაპირა მცველს შარშანდელი ზაფხულის შემდეგ აკვირდება. აგვისტოს ტრანსფერებისას ანდალუსიელთა პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** 20 მილიონი ევრო მოითხოვა, რამაც ტრანსფერი შეუძლებელი გახადა. მას მერე მერსისაიდული კლუბი გაიყიდა. ამერიკელი ინვესტორები შემადგენლობის გასაძლიერებლად 40 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებენ. უცნობია, ისევ 20 მილიონი ეღირება თუ არა ახალგაზრდა ვარსკვლავი. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მასზე სხვა ევროპული გრანდებიც აცხადებენ პრეტენზიას. მათგან ყველაზე მეტად "ჩელსი" აქტიურობს. ალვეში "რეალსა" და "ბარსელონასაც" სურდათ, მაგრამ მადრიდელებს **სისინიო** გამოუჯანმრთელდათ, კატალონიელებმა კი სარაგოსელ **კარლოს დიოგოზე** გადაიტანეს ყურადღება.

ბარსელონა

## აბიდალი კამპ ნოუზე?

"ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა, **ერიკ აბიდალმა** "ლე პარიზიენს" ვრცელი ინტერვიუ მისცა. ყველაზე საინტერესო ის მონაკვეთი გახლავთ, სადაც ფეხბურთელი სამომავლო გეგმებზე საუბრობს: *"ვფიქრობ, საფრანგეთის ჩემპიონატში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. ალბათ, დროა, განვითარებასა და წინსვლაზე ვიფიქრო. არ დაგიმალავთ, ინგლისური, იტალიური და ესპანური გრანდების შემოთავაზებები მაქვს. ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა, თუ სად გავაგრძელებ კარიერას. ჩემს მენეჯერს სახელგანთქმული ესპანური კლუბის მესვეურები დაუკავშირდნენ. სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად სწორედ პრიმერა დივიზიონში ასპარეზობა მსურს."*

აბიდალის ინტერვიუს კატალონიური გაზეთები გამოეხმაურნენ. მათი მტკიცებით, მის მენეჯერს **ჩიკი ბეგირისტაინმა** დაურეკა. "ბარსას" გენერალურმა დირექტორმა მოსაუბრე დაარწმუნა, რომ ერიკი **ხოან ლაპორტას** ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია და უზომოდ ბედნიერი დარჩება, თუ კარიერის "კამპ ნოუზე" გაგრძელებას ისურვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი

# ბოლო ტურების წინ

მეცხრე ტური, შეიძლება ითქვას, რომ "ქართული გუნდისთვის" ნორმალურად დასრულდა, მაგრამ არა ისე, რომ მეათე ტურისთვის თავი ქუდში დავიგულოთ. ამის გაკეთება ბარე ლიდერებსაც არ შეუძლიათ - დარჩენილ ორ ტურში ყველაფერი შესაძლებელია

შანსებზე თუ ვილაპარაკებთ, კვლავ ორ ძირითად "ხაზს" გამოვყოფთ - საპრიზოებისა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურთა არეალში მოხვედრას. ქალებში 13 ადგილი თამაშდება, კაცებში - 30. ისიც გაითვალისწინეთ, რომ დრეზდენში მოთამაშეთაგან ბევრს ადრევე აქვს მოპოვებული ეს საგზური.

უფრო მეტი შანსი ქალებში შეგვრჩა - მეცხრე ტურმა უფრო მეტი ჩვენიანი დააახლოვა ლიდერებს, აი, კაცებმა კი სვლა შეანელეს და თუ ობიექტურები ვიქნებით ჩვენებურთაგან საგზურის მოპოვების შანსი მხოლოდ ორს აქვს - **დავით არუთინიანსა** და **მიხეილ მჭედლიშვილს**. ორივეს 6 ქულა აქვს და 23-70-ე ადგილებს იყოფს. ნახევარი ქულით მეტი აქვს 21 მოჭადრაკეს, თავში კი ეულად უკრაინელი **ანდრეი ვოლოკიტინია** 7 ქულით.

საინტერესო რამ მოხდა ვაჟთა ტურნირში - პირველ 25 დაფაზე 21 ყაიმი დაფიქსირდა, აქედან, პირველ 10 დაფაზე - 9. არუთინიანმა და მჭედლიშვილმაც ყაიმით ითამაშეს და ამით შეინარჩუნეს შანსი, **გიგა ყაჭეიშვილმა** და **დავით შენგელიამ** კი შავებით წააგეს და ჩამორჩნენ. მოიგო **კონსტანტინე შანავამ**, ძალიან ცუდად თამაშობს **ბაადურ ჯობავა**. საქართველოს ჩემპიონმა კვლავ წააგო - სამწუხაროდ, ჯობავას რისკიანმა თამაშმა ამჯერად შედეგი ვერ გამოიღო. 9 ტურის შემდეგ 4.5 ქულა ჯობავასთვის თითქმის კატასტროფის ტოლფასია, რაც აუცილებლად აისახება უარყოფითად მის რეიტინგზე.

ქალებში **ნინო ხურციძემ** და **მაია ლომინეიშვილმა** გაიმარჯვეს და 6.5 ქულით 4-10 ადგილებს იყოფენ. ნინომ შავებით **ტატიანა სტეპოვაია** დაამარცხა, ლომინეიშვილმა კი თეთრებით მოუგო **სალომე მელიას**. ამათ ნახევარი ქულით სამი მოჭადრაკე უსწრებს - **ნადეჟდა კოსინცევა, ეკატერინა ათალიქი** და **ეკატერინა კორბუტი**, 8 ქულით კი ერთპიროვნული ლიდერია **ტატიანა კოსინცევა**. მეცხრე ტურში პირველ დაფაზე ერთმანეთს დები კოსინცევები შეხვდნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. სამწუხაროდ, წააგო **ლელა ჯავახიშვილმა**, რომელსაც მეცხრე ტურამდე ქართველთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა - 6 ქულა. მისი მძლეველი კორბუტი აღმოჩნდა.

ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდა **სოფიკო ხუხაშვილი**, რომელმაც თეთრებით გამოცდილი და ძლიერი მეტოქე, რუმინელი **კორინა პეპტანი** დაამარცხა და 6 ქულა გაუხდა. 6 ქულა კი იძლევა იმედებს.

ხურციძეს, და ლომინეიშვილს საპრიზო ადგილზე გასვლის შანსიც გაუჩნდათ. თან აქ ერთი მოტივაციაც არსებობს - საქართველოს ნაკრებში მოხვედრა. არც ხურციძეს და არც ლომინეიშვილს ნაკრებში ადგილი დაბევებული არ აქვთ, რადგან საქარველოს ჩემპიონატზე კარგად ვერ ითამაშეს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ დადგენილი წესით კი ნაკრებში მოხვედრის შანსი ეძლევა იმ მოჭადრაკეს, რომელიც ამ ჩემპიონატში ხუთეულში შევა.

**ზვიად შათირიშვილი**

### ქალები

მეცხრე ტური: ეკატერინა კორბუტი - **ლელა ჯავახიშვილი** 1:0, ტატიანა სტეპოვაია - **ნინო ხურციძე** 0:1, **მაია ლომინეიშვილი - სალომე მელია** 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი** - კორინა პეპტანი 1:0, ფრანჩესკა ფოიშორი - **ქეთევან არახამია** 1:0, **ნანა ძაგნიძე** - ანა რუდოლფი 0:1, **სოფიკო გურამიშვილი** - ირინა სუდაკოვა 0.5:0.5, ნატალია ვოვინკინა - **სოფიო გვეტაძე** 1:0, **მარიამ დანელია** - ზეპრა ტოპელი 0.5:0.5

მეათე ტურში: ტატიანა კოსინცევა (8) - ეკატერინა ათალიქი (7), **ნინო ხურციძე** (6.5) - ნატაშა ბოიკოვიჩი (6.5), კატერინა ლაჰნო (6.5) - **მაია ლომინეიშვილი** (6.5), **ლელა ჯავახიშვილი** (6) - ირინა ვასილევიჩი (6), ნატალია პოგონინა (6) - **სოფიკო ხუხაშვილი** (6), **სალომე მელია** (5.5) - დეიმანტე დაულიტე (5.5), **ქეთევან არახამია** (5) - იულია კოჩეტკოვა (5), სვენტალა პეტრენკო (4.5) - **ნანა ძაგნიძე** (4.5), ოქსანა ვოზოვიჩი (4.5) - **სოფიკო გურამიშვილი** (4.5), იულია გრომოვა (4) - **მარიამ დანელია** (4), არლეტ ფან ვერსელი (3.5) - **სოფიო გვეტაძე** (3.5)

### ვაჟები

მეცხრე ტური: **მიხეილ მჭედლიშვილი** - არტემ ილინი 0.5:0.5, მაქსიმ როდშტაინი - **გიგა ყაჭეიშვილი** 1:0, **დავით არუთინიანი** - ალექსეი დრეევი 0.5:0.5, ალექსანდერ ჰუცმანი - **დავით შენგელია** 1:0, შარუნას სულსკისი - **ბაადურ ჯობავა** 1:0, **დავით ლობჟანიძე** - ბართოლომეი ჰებერლა 0.5:0.5, ალესქსანდრ ვულემიე - **კონსტანტინე შანავა** 0:1, კლაუდიუშ ურბანი - **ზურაბ აზმაიფარაშვილი** 0:1, **თორნიკე სანიკიძე** - მარტინ ბეკერი 1:0

მეათე ტურში: ანდრეი ვოლოკიტინი (7) - პაველ ელიანოვი (6.5), **დავით არუთინიანი** (6) - ზაჰარ ეფიმენკო (6), სერგეი ჟიგალკო (6) - **მიხეილ მჭედლიშვილი** (6), ბორკი პრედოევიჩი (5.5) - **კონსტანტინე შანავა** (5.5), **გიორგი ყაჭეიშვილი** (5.5) - ზავენ ანდრიასიანი (5.5), **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (5) - მარცინ ძიუბა (5), ქრისტიან ბაუერი (5) - **დავით შენგელია** (5), ტაიგერ ჰილარპ პერსონი (5) - **დავით ლობჟანიძე** (5), **ბაადურ ჯობავა** (4.5) - ფლორიან არმბრუსტი (4.5), სერგეი აზაროვი (4.5) - **თორნიკე სანიკიძე** (4.5)

## რაგბი



ქართველების შეტევა. სანდრო ინაშვილი (13) და რატი ნუცუბიძე

მსოფლიო ჩემპიონატი. U-19

# ბრძოლას ვაგრძელებთ

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ბელფასტში, ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში რუსეთის ნაკრები 24:6 დაამარცხა, რაც მთავარია, მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა, პრემიალური ქულაც მიიღო და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. ეს კი საშუალებას გვაძლევს, ელიტურ A ჯგუფში გადასასვლელი ერთადერთი საგზურისთვის ბრძოლა განვაგრძოთ.

მეორე ტურში, ზიმბაბვესთან წაგებული მატჩის შემდეგ გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა. ანგარიში გარემარბმა **ბექა ნიკლაურმა** დასაწყისშივე, მატჩის მეხუთე წუთზე გახსნა. **რატი ნუცუბიძემ** გარდასახვა ვერ გაიტანა, თუმცა ათ წუთში მეტოქე დაალელოვა. ამჯერად გარდასახვა პირველი ლელოს ავტორმა დაარტყა და გაიტანა - 12:0. 21-ე წუთზე თავი ფულბეკმა **მიხეილ ნიკლაურმა** გამოიჩინა, პირველი ნახევარიც ასე დასრულდა - 17:0.

მეორე ნახევრის მე-2 წუთზე რუსებმა ანგარიში შეამცირეს 3:17, 8 წუთის შემდეგ კი ბურჯმა **რევაზ ბასილაშვილმა** მეოთხე, პრემიის ქულის მომტანი ლელო გაიტანა, ბექა ნიკლაურმა ზუსტად გარდასახა - 24:3. რუსებმა კი 65-ე წუთზე ერთი საჯარომოც გაიტანეს 6:24.

ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე კანადის ნაკრები იქნება, რომელმაც აქამდე სამივე შეხვედრა მოიგო და მეორე ადგილზე გავიდა. ნახევარფინალში ვერ მოხვდა ტონგას ნაკრები, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა დათმო იტალიის გუნდთან - 6:8

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველო-რუსეთი 24:6**

საქართველო: (15-9) მ.ნიკლაური, ტუჩაშვილი, ინაშვილი, ნუცუბიძე, ბ. ნიკლაური, ხმალაძე, ზირაქაშვილი; (1-8) მირცხულავა, ჯაშიტაშვილი (სულუხია 70), ბასილაშვილი (ცირეკიძე 57), ჩიჩუა, ნიკოლაიშვილი (კალმახელიძე 54), მძინარიშვილი, კაკოვინი, კობაური (კაპ) - **4ლ (ბ.ნიკლაური, ნუცუბიძე, მ. ნიკლაური, ბასილაშვილი) 2გ (ბ.ნიკლაური)**

III ტური. ზიმბაბვე-აშშ 7:22, ჩილე-ურუგვაი 20:30, ტაივანი-კუკის კუნძულები 10:10, იტალია-ტონგა 8:6, კანადა-რუმინეთი 15:7

სატურნირო მდგომარეობა: 1. იტალია-14 ქულა, 2. კანადა-13, 3. საქართველო-12, 4. აშშ-12 / 5. ტონგა-11, 6. ურუგვაი-9, 7. ჩილე-5, 8. ზიმბაბვე-5 / 9. კუკის კუნძულები-2, 10. ტაივანი-2, 11. რუმინეთი-1, 12. რუსეთი-1

ნახევარფინალი. 16 აპრილი. საქართველო-კანადა, იტალია-აშშ.

## ჩოგბურთი

ფედერაციის თასი

# მეორე, მესამე და მეოთხე ჩოგნები გვაკლია

## მაინც ფავორიტები ვართ



მაკა ჩახნაშვილს ტურნირზე საუკეთესო რეიტინგი ექნება

17-20 აპრილს, ინდოეთის ოკეანეში, მავრიკეთის ქალაქ ფინიქსში გაიმართება ფედერაციის თასის ევრო-აფრიკული II ზონის წლევანდელი გათამაშება, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრებიც იასპარეზებს. კაპიტანმა **ლალი ზერეკიძემ** ასეთი შემადგენლობა დაასახელა: **მაკა ჩახნაშვილი, ეკა გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა** და **სოფიო ქვაცაბაია**.

თვალშისაცემია ამერიკული "ლეგიონის" არყოფნა. ნაკრებში არ თამაშობენ საქართველოს მეორე (**ანა ტატიშვილი**, 321), მესამე (**სოფიო მელიქიშვილი**, 344) და მეოთხე (**სალომე დევიძე**, 543) ჩოგნები. უპირველესად კი 17 წლის ანა ტატიშვილის არყოფნამ დაგვწყვიტა გული, ანას ჯერ არ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში, არადა ის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ჩოგბურთელად ითვლება. აღნიშნული სამეული ამ კვირას ერთ ძალზე ჩვეულებრივ ტურნირში აპირებს გამოსვლას. დოტნას (აშშ) საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია, ტატიშვილი და მელიქიშვილი ბრძოლას საკვალიფიკაციო წრეში იწყებენ, დევიძე კი შეიძლება იქაც ვერ მოხვდეს.

მიუხედავად ამისა, მთლად უიმედოდაც არ გვაქვს საქმე. გუნდშია საქართველოს პირველი ჩოგანი და დღეისათვის უდავოდ ყველაზე ძლიერი ქართველი ჩოგბურთელი, 24 წლის **მაკა ჩახნაშვილი**, რომელიც მსოფლიოს 142-ე ჩოგანია. ეკა გორგოძე 15 წლისაა, ის ევროპის 16-წლამდელ ჩოგბურთელთა რეიტინგში პირველი ჩოგანია. 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** ახალახან მოხვდა დიდების რეიტინგში (969), ახალგაზრდულ ასპარეზზე კი ოქსანა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. მეოთხე ჩოგანია სოფიო ქვაცაბაია (1196).

ფინიქსში ჰარდის საფარზე 8 ნაკრები იმ ორ საგზურს გაითამაშებს, რომელიც საგაისოდ პირველ ზონაში თამაშის უფლებას იძლევა. მავრიკეთში შეიკრებებიან: **საქართველო, ფინეთი, საბერძნეთი, ნორვეგია, პორტუგალია, სამხრეთი აფრიკა, ალჟირი და ბოსნია-ჰერცეგოვნა.** 16 აპრილს გაიმართება წილისყრა, რომლის შედეგადაც გუნდები ორ ოთხგუნდიან ჯგუფად გაიყოფიან. ჯგუფის გამარჯვებული მეორე ჯგუფის მეორეადგილოსანთან გაარკვევს საგზურის მფლობელის ვინაობას. ორი უარესი ნაკრები კი ევრო-აფრიკულ მესამე ზონაში (ანუ ყველაზე დაბალ საფეხურზე ფედერაციის თასის იერარქიაში) დაეშვება. შარშან ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფში წააგო ლიტვასთან და პოლონეთთან და მხოლოდ ირლანდიას მოუგო, ამით ჩვენებმა მეორე ზონაში ადგილი შეინარჩუნეს. ნაკრებში თამაშობდნენ ჩახნაშვილი, ია ჯიქია, მანანა შაფაქიძე და ქვაცაბაია.

გაგაცნობთ სხვა ნაკრებების პირველ ნომრებს: **ალჟირი:** სამია მეჯაჰდი (438); **ბოსნია:** მერვანა იუგიჩ-სალკიჩი (286); **ფინეთი:** პია სუომალაინენი (512); საბერძნეთი: **ანა გერასიმუ** (354); **ნორვეგია:** კაროლინ სტერო (716); **პორტუგალია:** ფრედერიკა პიედადე (259); სამხრეთი აფრიკა: ნატალი გრენდინი (184). როგორც ხედავთ, ტურნირის ყველაზე მაღალრეიტინგიანი მოთამაშე მაკა ჩახნაშვილია. ზოგადადაც, საქართველოს ნაკრები აშკარა ფავორიტია, მიუხედავად იმისა, რომ ტატიშვილი და მელიქიშვილი არ ეყოლება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### მელიქიშვილი ზელანდიელმა გამოთიშა

ქართველი ჩოგბურთელი **სოფიო მელიქიშვილი** ამერიკის ქალაქ ჯექსონის საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობდა. ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. 19 წლის მელიქიშვილი მსოფლიოს 344-ე ჩოგანია, ერთი წლის წინ ის ასი ადგილით უფრო წინ იყო რეიტინგში. ქართველმა წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ბადე, თუმცა წილისყრამ არ გაუმართლა, ძირითადი ბადის პირველივე წრეში მე-3 ნომრად განთესილი ზელანდიელი **მარინა ერაკოვიჩი** (161) ერგო. მელიქიშვილმა ორ სეტში წააგო-2:6, 2:6 და ჯექსონის ტურნირს გამოეთიშა.

## ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატის წინ

# სამი დებიუტანტით სოფიაში

ბორჯომში, შეკრებაზე მყოფი თავისუფალი ჭიდაობის ნაკრების თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ** 17-22 აპრილს სოფიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა: **ბესარიონ გუჩაშვილი** (55), **გიორგი ბალიაშვილი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **ლერი ქეთიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **ალექსი მოდებაძე** (მძიმე).

გუნდი საკმაოდ გადახალისებულია და ახალგაზრდული. ამ ტურნირის გამოტოვების შესახებ მსოფლიო ჩემპიონმა **რევაზ მინდორაშვილმა** (84) ადრევე განაცხადა, ახლა კი მას მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ოთარ თუშიშვილიც** (66) დაემატა. ისინი მსოფლიო ჩემპიონატისთვის საგანგებო განრიგით ემზადებიან და ევროპა ამიტომ იუარეს, მათ ნაცვლად კი თურმანიძემ ახალგაზრდებს - **კაკალაძესა** და **ქეთიშვილს** უხმო, რომლებიც ევროპირველობაზე პირველად იჭიდავებენ. დებიუტანტია ბალიაშვილიც, ხოლო კიდევ ერთ ახალწვეულს - მძიმეწონოსან **დავით მოძმანაშვილს** დებიუტი წელის ტკივილმა ჩაუშალა. ტრავმის გამო იგი ბოლო შეკრებაზე არც ჩასულა, მის ნაცვლად კი თურმანიძემ ისევ გამოცდილ მოდებაძეს უხმო. აღსანიშნავია, რომ ოთხივე ახალგაზრდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია, ოღონდ 66-სა და 84-ში ლიდერები არ ჭიდაობდნენ, **დავით პოლოსიანის** შემდეგ 60-ში საკადრო პრობლემებია და აქ ლიდერზე ლაპარაკი ცოტა ძნელია, აი, მოძმანაშვილმა კი წონის ფავორიტი მოდებაძე დაამარცხა და საკმაოდ იოლადაც. თუმცა უმისოდაც 7-კაციან გუნდში 4 დებიუტანტიც არაა ცოტა, რაც ჩვენების ამოცანებს კიდევ უფრო ართულებს.

ისიც საინტერესოა, რომ ბალიაშვილი ნაკრებში გორელი მწვრთნელის - **ნუგზარ სხირელის** მესამე შეგირდია გუჩაშვილისა და გოგშელიძის შემდეგ. არადა, თუშიშვილიც სხირელის აღზრდილია და იმასაც რომ ეჭიდავა, ნაკრების უმეტესობა გორელთა წილად მოვიდოდა.

როგორც ვხედავთ, ევროპაზე ქეთიშვილიც იჭიდავებს, რომელსაც მუხლი აწუხებდა, მაგრამ მოურჩა. ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის ნაკრებში ამავე წონაში მისი უმცროსი ძმა - **გიორგი კეტოევი** გამოვა და დიდი შანსია, სოფიაში ძმების ჭიდაობაც ვიხილოთ.

რაც შეეხება ანტიკური ჭიდაობის ნაკრებს, ისინიც ბორჯომში გადიან ბოლო შეკრებას, მათი თავკაცი **ბეგი დარჩია** კი შემადგენლობას დღეს დაასახელებს. ევროპის ჩემპიონატში თავდაპირველად ქალები ჩაებმებიან, 19-20 აპრილს "ანტიკოსები" იჭიდავებენ, 21-22-ში - "თავისუფლები".

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 56 (2006)

**1983 წლისთვის უკვე აშკარად იგრძნობოდა, რომ დიდი პოლიტიკა კიდევ ერთ სამარცხვინო კვალს დაამჩნევდა ოლიმპიურ მოძრაობას. მოსალოდნელი იყო, რომ მოსკოვის თამაშების ბოიკოტის საპასუხო ნაბიჯს გადადგამდა სსრ კავშირისა და მისი სატელიტი ქვეყნების პოლიტიკური მმართველობა. მაგრამ გარეგნულად დაძაბულობა ნაკლებად იგრძნობოდა. სპორტული ცხოვრების რიტმი არ შენელებულა არც საბჭოთა კავშირში, არც სოცქვეყნებში. 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში თავჩენილი განხეთქილება მხოლოდ იმავე წელს და იმავე თამაშების ჩარჩოში ამოიწურა, საბედნიეროდ, სხვა საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებს ორ პოლიტიკურ ბანაკს შორის დაპირისპირება არ შეხებია...**

1983 წელს ყველაზე მასშტაბური კომპლექსური ღონისძიება იყო სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც, ტრადიციულად, მოსკოვში ჩატარდა. თუ საქართველო საერთო გუნდურ ჩათვლაში, პირველ ოთხ სპარტაკიადაზე მეხუთე იყო, შემდეგ - თანმიმდევრულად მეექვსე, მეშვიდე და მერვე, 1983 წელს ეს მაჩვენებლები წარმოუდგენლად გაუარესდა: საქართველოს სპორტული დელეგაცია მისთვის აშკარად შეუფერებელ მეათე ადგილზე გავიდა. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ მომდევნო IX სპარტაკიადაზე, სამი წლის შემდეგ, ჩვენები 1975 წლის ნიშნულს - მეშვიდე ადგილს დაუბრუნდნენ. ახლა კი დეტალურად გავეცნოთ საქართველოს სპორტსმენთა შედეგებს 1983 წლის საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებში.

**ფეხბურთი**. წლის დასაწყისში გამოქვეყნდა სსრ კავშირის "33 საუკეთესო" ფეხბურთელის სია წინა სეზონის შედეგების მიხედვით. ცენტრალურ მცველად საუკეთესოდ დასახელდა თბილისის "დინამოს" კაპიტანი **ალექსანდრე ჩივაძე**. ის უკვე მეხუთედ მოხვდა საუკეთესოთა ჩამონათვალში. ქართული ფეხბურთისთვის ღირსახსოვარი რამდენიმე წარმატება იყო ჭაბუკთა გუნდების მონაწილეობით. ამ ასაკის საქართველოს ნაკრები "სიჭაბუკის თასს" დაეუფლა ქ. ნალჩიკში. სოხუმში გამართული საკავშირო ტურნირი დასრულდა აფხაზეთის ნაკრების გამარჯვებით; ფოთის "ვოდნიკის" ჭაბუკებმა მოიგეს საკავშირო ტრადიციული შეჯიბრება (ქ. ვლადიმირი); თბილისის "ნორჩი დინამოელი" კი უძლიერესი იყო თანატოლთა საკავშირო პირველობაზე (ქ. ადლერი). ცალკე ჩატარდა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობა. აქ მეორე პრიზიორი გახდა თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის ნაკრები. სკოლა-ინტერნატების ალსაზრდელთა საკავშირო ტურნირში თბილისელ მოსწავლეებს მესამე საპრიზო ადგილი ხვდათ წილად. იმ წელს, ბათუმის "დინამომ" საკავშირო გათამაშების პირველ ლიგაში მონაწილეების უფლება მოიპოვა. 1983 წლის სსრკ 10 საუკეთესო მსაჯს შორის მეორე იყო სოხუმელი **ანატოლი მილჩენკო**, მეხუთე - თბილისელი **ველოდი მიმინოშვილი**.

**კალათბურთი.** თბილისმა ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. პირველი იყო ი. გაგარინის საკავშირო მემორიალი, სადაც საქართველოს ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა, მეორე - სოცქვეყნების დინამიადა, რომელიც თბილისის "დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. უფროსი ასაკის ქართულ კალათბურთს სხვა მნიშვნელოვანი წარმატებისთვის 1983 წელს არ მიუღწევია. მოზარდებმა კი რამდენიმე ასპარეზობაში თავი კარგად გამოიჩინეს. 1968-წლიანთა საკავშირო ტურნირში გაიმარჯვეს თბილისის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის ალსაზრდელებმა. 1967-68 და 1968-69 წლებში დაბადებულთა ანალოგიური ტურნირებიც ამ სკოლის გუნდებმა მოიგეს (შესაბამისად, ხარკოვსა და კაუნასში), 1979-80 წლებში დაბადებულთა შორის კი (სევასტოპოლში) ყველას აჯობა თბილისის "ნორჩმა დინამოელმა". საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა თანატოლთა საკავშირო პირველობაზე ლიტვის ქალაქ კლაიპედაში. საკუთარი გუნდებით საკავშირო სარბიელზე პირველად გამოჩნდნენ ზესტაფონელები. ადგილობრივი სპორტსკოლის გოგონები ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო პირველობაზე უძლიერესები იყვნენ, ჭაბუკები კი მეორე ადგილზე გავიდნენ.

**ჩოგბურთი.** ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე პირველ წარმატებას აღწევს **ალექსანდრე მეტრეველის** შვილი - ირაკლი. ის მეორე პრიზიორი ხდება ერთეულთა თანრიგში. 1967-68-წლიანთა საკავშირო ტურნირში ბიჭებში პირველი იყო **გ. ლეჟავა**, მესამე - **დ. კაჭარავა**, გოგონებში კი **ი. ანტონიანი** მეორე ადგილზე გავიდა. უფროსებიდან მხოლოდ **ვიქტორ ხურდამ** მიაღწია წარმატებას - მოიგო ტალინის საერთაშორისო ტურნირი.



აკაკი კიბორძალიძე



მიხეილ გიორგაძე

**მაგიდის ჩოგბურთი.** თბილისის ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა 1972-74-წლიანთა საკავშირო ტურნირში (როსტოვი).

**რაგბი.** ქუთაისში ახალგაზრდებს შორის სსრკ ფინალური ტურნირი ჩატარდა. პირველ ადგილზე გავიდა "სახლმშენი". იუნიორ მორაგბეთა საკავშირო ტურნირში (ლენინგრადი) კი თბილისის კომპლექსური სპორტსკოლის გუნდი მესამე იყო. ასევე მესამე ადგილი ხვდა წილად "პიონერული ოვალი 83-ის" საკავშირო ტურნირის მონაწილე წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულას სკოლა-ინტერნატის გუნდს.

**წყალბურთი**. სსრკ ნაკრებში **მიხეილ გიორგაძე** ევროპის ჩემპიონის ტიტულს ეუფლება. 1966-67-წლიანთა საკავშირო ტურნირს საქართველოს ჭაბუკთა გუნდი იგებს.

**ძიუდო.** თბილისში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი მეთოთხმეტედ შეიკრიბნენ. საქართველოს ოქროს მედლები მოუტანეს **გ. გოგოლაურმა** (71), **თ. კარიაულმა** (78) და **ა. კიბორძალიძემ** (აბსოლუტური); ვერცხლის - **თ. ნამგალაურმა** (71), **დ. ბოდაველმა** (86) და **მ. ბერუაშვილმა** (95), ბრინჯაოსი - **მ. ალბორიშვილმა** (78), **ბ. გოგიჩაშვილმა** (86) და **თ. ხუბულურმა** (95). სსრკ ნაკრებში გამოდიოდა **ფ. მარგიანი** (65), რომელიც მეორე პრიზიორი გახდა. შემდეგ იყო პრაღის საერთაშორისო ტურნირი, სადაც თ. ნამგალაურმა (71) და **შ. ხაბარელმა** (78) ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. თ. ნამგალაური და ბ. გოგიჩაშვილი სსრკ ჩემპიონის ტიტულს ეუფლებიან, თ. კარიაულმა (71) და დ. ბოდაველმა (78) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ჭიდაობის სახეობებიდან ყველაზე მეტი მედალი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე, ძიუდოისტებზე მოდის - **თ. ნამგალაური, მ. ბერუაშვილი** (აბსოლუტური) და **შ. ხაბარელი** ჩემპიონები ხდებიან; ვერცხლის მედალს დაეუფლნენ **რ. მარგველანი** (65), **ჯ. მჭედლიშვილი** (86) და **ბ. გოჩაშვილი** (95); დ. ბოდაველი მესამე იყო. **ბ. გოჩაშვილი** სსრკ ნაკრებში იმარჯვებს კიევისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში. აქ აკაკი კიბორძალიძე (+95) მეორე ადგილზე გავიდა. შემდეგ ამ მოჭიდავემ იაპონიაში "კოდაკანის" საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ევროპის პირველობაზე საბჭოთა ნაკრებში მესამე იყო შ. ხაბარელი (78). მსოფლიო პირველობაზე (მოსკოვი) ბრინჯაოს მედალს ეუფლებიან თ. ნამგალაური და შ. ხაბარელი. კარგ შედეგებს აღწევენ ქართული ძიუდოს მომავალი ოსტატები. ნორჩ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირში (მოგილიოვი) თბილისის ნაკრები მესამე ადგილს იკავებს, პირად პირველობაში იმარჯვებს **ნ. ბაზალელი** (68), მეორე ადგილზეა **კ. ტყეშელაშვილი** (71), მესამეზე - **ი. ლომიშვილი** (80). 17-19-წლიანთა ევროპის პირველობაზე (ჰოლანდია), თანატოლთა საკავშირო ნაკრებში ვერცხლის მედალს ეუფლება **ალექსი ხაჩიძე** (ქვემძიმე). ბრიანსკში გაიმართა იუნიორთა საკავშირო პირველობა, რომელიც საქართველოს ნაკრების ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა. გუნდურის გარდა, პირად პირველობაში ასევე ოქროს მედლები ხვდათ წილად **ა. თენაძეს** (78), **კ. კურტანიძეს** (95) და **დ. დავითაშვილს** (აბსოლუტური); ვერცხლის მედალი გადაეცა **ა. გუბელაძეს** (მძიმე), ბრინჯაოსი - **პ. ბუჯიშვილს** (86) და **ა. ხაჩიძეს** (95).

**თავისუფალი ჭიდაობა.** ჯერ საერთაშორისო ტურნირების შესახებ. თბილისის ტურნირში რჩეული ქართველი ფალავნები საკავშირო ნაკრებში გამოდიოდნენ. მათ წილად მოდის ოქროს 2 მედალი - **გიორგი მაკასარაშვილი** (82) და **გია ყურაშვილი** (100). საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირში, სადაც საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად გამოდიოდა, მოპოვებულია მხოლოდ ერთი ჯილდო - ოქროს მედალი ხვდა წილად **ჯემალ ტარიელიძეს** (მძიმე). მედვედის ტურნირზე, მინსკში, სსრკ ნაკრებში ოქროს მედალი დაიმსახურეს **ლერი ხაბელოვმა** (90) და **მალხაზ მემარნიშვილმა** (100). ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირი მოიგეს **დავით გიგაურმა** (68), **გიორგი მაკასარაშვილმა, ლერი ხაბელოვმა, გია ყურაშვილმა** და **ჯემალ ტარიელიძემ**. ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა აგრეთვე სსრკ პირველობაზე **ეგია მუსოიანთან** (52) ერთად. სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე კი მუსოიანი და ტარიელიძე ვერცხლის მედალს ეუფლებიან, გ. მაკასარაშვილი მესამე ადგილზე გადის. ასევე ბრინჯაოს პრიზიორი ხდება მაკასარაშვილი ევროპის პირველობაზე (ბუდაპეშტი), დ. გიგაურთან ერთად. ლერი ხაბელოვმა ბრწყინვალედ იასპარეზა აგრეთვე ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე (ლოს-ანჯელესი) და შინ ოქროს მედლით დაბრუნდა. მანამდე მან იუნიორთა საკავშირო პირველობა მოიგო. ეგია მუსოიანი და ვახტანგ დოლიძე ასაკობრივ მსოფლიო ჩემპიონატზეც (ჩიკაგო) წარმატებით გამოვიდნენ. აქ მათ ოქროს მედლები დაიმსახურეს. მუსოიანმა, **მალხაზ თოლორდავამ** (70), **არკადი ეპრიაკოვმა** (81) და **კობა ლორჩოშვილმა** (97) საქართველოს ძირითად ნაკრებში ოქროს მედლები მოიპოვეს სსრკ პირველობაზე (დნეპროპეტროვსკი), **დავით გიორგაძე** (70), **თამაზ ინდუაშვილი** (87) და **იოსებ მუზაშვილი** (მძიმე) მეორე ადგილზე გავიდნენ. ზემოთ ვთქვით, რომ ლ. ხაბელოვმა იუნიორთა საკავშირო პირველობაც მოიგო. ამ შეჯიბრებაში, რომელიც ყარაგანდაში გაიმართა, ვერცხლის მედალი შეხვდა **გია გალდავას** (100), საქართველოს ნაკრები კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. პროფკავშირებმა თავიანთი პირველობა ქ. ჩებოქსარში ჩაატარეს. საქართველოს წარგზავნილთა შედეგები ასეთი იყო: პირველი ადგილები - **ვეფხვია სახლთხუციშვილი** (57), **დავით კახეთელიძე** (100), **იოსებ მუზაშვილი** (მძიმე); მეორე ადგილები - **მ. სამადაშვილი** (74), **თ. ინდუაშვილი** (100); მესამე - **გ. ჯინიყაშვილი** (68), **ა. სალიაშვილი** (82). ყრუ სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილს იკავებს. პირად პირველობაში გაიმარჯვეს **ბ. კარიბოვმა** (82); **მ. ქვლივიძემ** (68), **რ. ფოლადაშვილმა** (82), **ზ. ალბაროვმა** (48) - მეორე; **ვ. მუსაევი** (52) - მესამე პრიზიორი გახდა. დაბოლოს, მოსწავლეთა საკავშირო პირველობის (ლენინგრადი) შესახებ. აქ გამარჯვება მოიპოვს **გ. ხარჩილავამ** (45), **ს. აბაშვილმა** (75) და **ლ. ებანოიძემ** (მძიმე); მეორე ადგილი ხვდა წილად **გ. ივანიშვილს** (41), მესამე - **ზ. ავაზაშვილს** (45).

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ტურნირები, გამარჯვებულები და პრიზიორები. ალმა-ათის საერთაშორისო ტურნირი. ოქროს მედლები მოიპოვეს **ბეგი დარჩიამ** (74), **ზაურ ივანიშვილმა** (90), **გურამ გედეხაურმა** (100) და **მათე სვანაძემ** (მძიმე).

რიგა. საკავშირო ტურნირი. საქართველოს ნაკრები იკავებს მეორე ადგილს. პირად პირველობაში იმარჯვებენ **რაიდი აბრამიშვილი** (74), **პაატა ყუბუსიძე** (90) და **ნ. ჩანჩიბაძე** (100); მესამე ადგილი ხვდა **დ. მაჭარაშვილს** (82). ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირს იგებენ **თემურ ყაზარაშვილი** (48) და **თემურ აფხაზავა** (82); მეორე იყო **მიხეილ სალაძე** (100), მესამე - **ავთანდილ მაისურაძე** (მძიმე). სსრკ ნაკრებში **გურამ მაჭარაშვილი** (62) ოქროს მედალს ეუფლება. ასევე ოქროს მედალს იმსახურებს პარიზის საერთაშორისო ტურნირში **ლევან მეხეშიძე** (82). სსრკ ნაკრებში **ა. მაისურაძემ** ი. პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოიგო ვილნიუსში, ხოლო ზაპოროჟიეში გამართულ ტურნირში **ზაალ ყუბუსიძე** (82) იყო უძლიერესი. სსრკ პირველობა მოიგეს ზაურ ივანიშვილმა, გურამ გედეხაურმა, ავთანდილ მაისურაძემ; მესამე ადგილზე გავიდნენ თემურ ყაზარაშვილი და მათე სვანაძე.

სსრკ ხალხთა სპარტაკიადა. პირველი ადგილი - **ა. მაისურაძე** (მძიმე); მეორე - **თ. ყაზარაშვილი** (48) და **მ. სალაძე** (100); მესამე - **თ. აფხაზავა** (82) და **ზ. ივანიშვილი** (90). ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონი გახდა თ. აფხაზავა. მან მსოფლიო ჩემპიონის (კიევი) ტიტული მეორედ მოიპოვა, ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად თ. ყაზარაშვილს. ჭაბუკთა შორის მსოფლიოს პირველობა (აშშ) მოიგო ზ. ივანიშვილმა. მოსკოვში სპორტსკოლების საკავშირო პირველობაზე 1967-68 წლებში დაბადებულთათვის **კობა ოჩიგავა** (70) და **ავთანდილ ანდღულაძე** (87) პირველ ადგილზე გავიდნენ, **თამაზ თევდორაძე** (87) - მესამეზე.

**სამბო.** საკავშირო ტურნირზე (ივანოვო) პირველობა მოიპოვეს **შ. პაპუნაშვილმა** (52) და **მ. ჭეხაშვილმა** (68), **ბ. აბოევი** (მძიმე) მეორე იყო, **შ. ფარჯანაძე** (57) და **გ. სპანდერაშვილი** (100) - მესამე. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ოქროს მედლით დაასრულეს **თამაზ ჯველაურმა** (74) და **ჰამლეტ ლოლაშვილმა** (100). "მსოფლიო სამბოს ვარსკვლავთა" ტურნირიდან (ესპანეთი) შინ ოქროს მედლით დაბრუნდა **სოსო როსტიაშვილი** (48). სსრკ სპარტაკიადა (მოსკოვი) მოიგეს როსტიაშვილმა და **სერგეი ტერნოვიხმა** (52); ბრინჯაო ხვდათ თ. ჯველაურს და დ. ბოდაველს (82). როსტიაშვილმა სსრკ პირველობაზე (მოსკოვი) მესამე ადგილი დაიკავა. ტერნოვიხიც ამავე ადგილს დასჯერდა, **ვაჟა მინესაშვილმა** (48) კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. სსრკ ნაკრებში იუნიორთა მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **ა. ხაჩიძე**. ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობა (პერმი) მოიგო **ეგნატე ზაზუნიშვილმა** (100), მესამე პრიზიორი გახდა **შ. პაპაშვილი** (52). ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე (ალმა-ათა) 81 კგ წონით კატეგორიაში ბადალი არ ჰყავდა **პაატა ბუზარიაშვილს**. მესამე პრიზიორები გახდნენ **სულხან სუხაშვილი** (65) და **დავით ძიძიშვილი** (87).

**ქართული ჭიდაობა.** 1983 წელს საქართველოს ფალავნის ტიტულს დაეუფლა **დავით დავითაშვილი**.

**მძლეოსნობა.** 1983 წლის 28 მარტს, ქ. დელიში, გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 86-ე სესია, რომელზეც გამოცხადდა, რომ ოლიმპიური მოძრაობის იდეალების პროპაგანდაში შეტანილი წვლილისთვის **ვიქტორ სანეევი** დაჯილდოვდა ოლიმპიური ორდენით. შუბის ტყორცნაში, **საიდა გუმბა**, რომელიც მოსკოვში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ვერცხლის პრიზიორი გახდა, სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზეც მეორე ადგილზე გავიდა. სსრკ თასის გათამაშებაში 400 მ რბენაში მესამე ადგილი დაიკავა თბილისელმა **ა. ალიევმა.** 1968-69-წლიანთა საკავშირო პირველობაზე, საქართველოს გუნდი მესამე ჯგუფში გამოდიოდა და პირველი ადგილი ხვდა წილად. პირად პირველობაში, სამჭიდში, მესამე პრიზიორი **ჯონდო ვიბლიანი** გახდა. მოზარდ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე (ლიტვა) სოხუმელმა **ტარიელ ბიწაძემ** პირველობა მოიპოვა ბადროს ტყორცნისა და ბირთვის კვრაში.

**ძალოსნობა.** ამ სახეობაში შედეგები ერთობ მოკრძალებული იყო. ერთადერთი ოქროს მედალი მოიპოვა **კობა ტალახაძემ** (90), ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე (ქ. მოგილიოვი).

**კრივი.** თბილისელი **ა. კაზანჯიანი** (50) და ქუთაისელი **გ. შალამბერიძე** (91) იუნიორთა საკავშირო პირველობაზე მესამე პრიზიორები გახდნენ. კაზანჯიანმა, **ნ. ხუციშვილმა** (64) და **ა. ჯიმშელეიშვილი** (მძიმე) ასევე მესამე ადგილები დაიკავეს ქ. ულიანოვსკში, 1966-67-წლიანთა საკავშირო პირველობაზე. აქ პირველ ადგილზე გავიდა **ხ. ხიდრიანი** (52).

**ფარიკაობა.** რაპირაში საკავშირო ტურნირის (მინსკი) ბრინჯაოს მედალს ეუფლება **ვლადიმერ აფციაური**. გაზეთ "ლელოს" პრიზზე თბილისში გამართული მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი მოიგო საქართველოს ნაკრებმა. ხმლით ფარიკაობაში (ლენინგრადი) იუნიორთა პირველობის მეორე პრიზიორი გახდა **ზაზა მჭედლიძე**.

**ცხენოსნობა.** სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" ცხენოსნებმა კარგად იასპარეზეს სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე (მოსკოვი). სამჭიდში მეორე იყო ჩვენი გუნდი - **ოთარ ჯაფარიძის, ვლადიმერ ტუაევის, ოთარ ნარმანიასა** და **ავაქ სამველიანის** შემადგენლობით. დაბრკოლებათა გადალახვაში **ხარლამ სიმონიამ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ლატვიაში, სოფლის მხედართა საკავშირო პირველობაზე, ცხენის გაწვრთნაში მესამე პრიზიორი გახდა თბილისელი **იუნონა კოჟინა**. დაბრკოლებათა გადალახვაში იგივე ადგილზე ხვდა წილად **თამაზ ჯლარკავას**.

გაგრძელება იქნება

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# დღეს ლიდერთა მესამე მატჩია

**ქარიშხალა–თბილისი 27:39**

ქარიშხალა: გ. ტორონჯაძე, ქანთარია, ი. ტორონჯაძე (2), ჩიხლაძე, სხიერელი (10), ჯორბენაძე (4), სეთურიძე, მელქოშვილი (2), ა. ამირანაშვილი (6), ჯოხარიძე, ხურციძე, ფერაძე (3), მუმლაძე, ლობჟანიძე

თბილისი: ანდრიაძე, სეთურიძე, ფორაქიშვილი (1), ნივნივაძე (12), ქირია (3), ლალანიძე (2), გრიშიკაშვილი (7), ოსიყმაშვილი (2), ლ. გელაშვილი (6), ქუთათელაძე, ნატროშვილი (5), არაბული (1)

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

**იმედი–მამული 27:24**

იმედი: გონჩაროვი, ვახანია, ბერიაშვილი (1), კერესელიძე, ყაველაშვილი (8), საბანაშვილი, თეთრუაშვილი, მაისურაძე (9), ქარდავა (1), ჟღენტი (8), ლომიძე ბიდოდაშვილი

მამული: ხონელიძე, ადუაშვილი, მამაცაშვილი (6), კიზირია, გველესიანი (3), შონია (9), ი. გელაშვილი (3), ბესტავაშვილი, დორეული (3)

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 9 | 0 | 1 | +112 | 18 |
| სტუ/შევარდენი | 10 | 9 | 0 | 1 | +110 | 18 |
| ქარიშხალა | 10 | 4 | 1 | 5 | -13 | 9 |
| იმედი | 11 | 3 | 1 | 6 | -67 | 7 |
| მამული | 11 | 0 | 0 | 11 | -142 | 11 |

ბომბარდირები: **გიორგი ნივნივაძე** (თბილისი, 94), **რამაზ შონია** (მამული, 89), აკაკი ტალახაძე (სტუ-შევარდენი, 66)

**დღეს**

**ქარიშხალა-იმედი** (12:00, გლდანი)
**თბილისი-სტუ/შევარდენი** (16:00, ასკ)

კვირანახევრიანი პაუზის შემდეგ გუშინ განახლდა ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი. გლდანში, ახალგაზრდულმა "ქარიშხალამ" ჩემპიონობის მაძიებელ "თბილისს" უმასპინძლა და როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრებმა ორი ქულა წაიღეს. **მამუკა მჟავანაძის** გუნდი ფავორიტი კი იყო, მაგრამ გლდანელებისაგან უფრო მეტ წინააღმდეგობას ველოდით. "ქარიშხალამ" პირველივე ტაიმში დაყარა ფარ-ხმალი, შესვენებაზე ათბურთიანი პასივით გავიდა და დარჩენილ ნახევარ საათში კიდევ ორი ბურთით გააუარესა ბალანსი. ათგოლიან ზღვარს ისევ გადააბიჯა "თბილისისა" და საქართველოს ნაკრების წევრმა **გიორგი ნივნივაძემ**, რომელმაც თორმეტჯერ გაიტანა და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრი გაიმყარა პოზიცია. მით უმეტეს, რომ მისმა უახლოესმა მდევარმა **რამაზ შონიამ** გუშინ მხოლოდ ცხრა გოლი შეაგდო...

თუკი "იმედს" რეგულარული ჩემპიონატის მესამე ადგილზე დასრულების შანსის შენარჩუნება უნდოდა, აუცილებლად უნდა მოეგო ზედიზედ 10 მატჩის წამგები "მამულისთვის". მართალია, გუშინ "მამულმა" მიმდინარე ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ მოკლე სათადარიგოთა სკამისა და ელემენტარული პირობების არქონის გადამკიდემ, კვლავ დამარცხებულმა დატოვა მოედანი. ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა "მამულის" გოლკიპერი **ხონელიძე**. სიტყვამ მოიტანა და საერთოდ, ჩვენს ჩემპიონატში ხუთივე გუნდს ფრიად საიმედო მეკარე ჰყავს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ატარებენ ბრწყინვალე მატჩებს. მოედნის მოთამაშეებიც რომ ასე კარგად ირჯებოდნენ, ჩემპიონატის დონე საგრძნობლად ამაღლდებოდა...

წლევანდელი ჩემპიონატის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ყოველი წრის ხუთი ტურიდან, ოთხში ფავორიტები აუტსაიდერებს ხვდებიან. აი, ბოლოსწინა ტურში კი ერთბაშად ორი ცენტრალური მატჩი იმართება. ჰოდა, სწორედ დღესაა მესამე წრის ბოლოსწინა ტური.

12 საათზე, გლდანში "ქარიშხალა" "იმედს" შეხვდება და თუკი მიმდინარე ჩემპიონატში მესამედაც დაამარცხებს, ფაქტობრივად, გაინაღდებს რეგულარული პირველობის მესამე პოზიციაზე დასრულებას. შესაბამისად, ქარიშხალელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, "იმედი" კი ორმაგად მოტივირებული ითამაშებს. პრინციპში, დასაკარგი არც "იმედს" აქვს მაინცდამაინც, რადგან თუ რეგულარულში ვერა, ფლეიოფში მაინც მიეცემა უშუალო კონკურენტის ძლევის შანსი.

16 საათზე კი, მოვლენათა ეპიცენტრი გადაინაცვლებს საბურთალოზე, ასკ-ის დარბაზში, სადაც ჩემპიონობის ორი გამოკვეთილი კანდიდატი გაეჯიბრება ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში, სტუ-"შევარდენს" 0:10 წაგება ჩაეთვალა "თბილისთან" არგამოცხადების გამო, მეორე წრეში კი სტუ-ელებმა ორბურთიანი სხვაობით იმარჯვეს. ვნახოთ, ვინ უფრო ძლიერი აღმოჩნდება მესამე ბრძოლაში...

**კობა ხატისაშვილი**

## არსენას ტურნირი მისსავე იუბილეზე

გუშინ ლეგენდარული ფალავანი, თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, სამბოსა და თავისუფალში საკავშირო პირველობების 17-გზის გამარჯვებული, არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირის გამარჯვებული **არსენ მეკოკიშვილი** 95 წლისა გახდებოდა. 2002 წლიდან მოყოლებული, ყოველ დაბადების დღეზე სახელოვანი მოჭიდავის ხსოვნას მის მშობლიურ საგარეჯოში ქართული ჭიდაობის ტურნირით მიაგებენ ხოლმე პატივს. გუშინ იგი მეექვსედ ჩატარდა მისივე სახელობის დარბაზში. ცნობისათვის - ეს ის დარბაზია, რომელიც ორიოდ წლის წინ საზეიმოდ გაიხსნა და რომელშიც ძიუდოს კლუბი "საგარეჯო" ვარჯიშობს.

ამ ტურნირის ინიციატორიც და სპონსორიც ფალავნის შვილი - **გიორგი მეკოკიშვილია**, რომელიც საპრიზო ფონდს არ იშურებს. წლევანდელ ფალავნობაში 15 ათლეტი მონაწილეობდა, ძირითადად სამბისტები და ძიუდოისტები, და ძალიან მაღალი დონისა გამოდგა. ბუნებრივია, შეჯიბრება, რომელშიც ძიუდოში ევროპის მოქმედი ვიცე-ჩემპიონი **ლაშა გუჯეჯიანი**, ევროპის პრიზიორი **ზვიად ხანჯალიაშვილი**, ძიუდოისტთა ნაკრების მძიმეწონოსანი წევრი **ადამ ოქრუაშვილი**, სამბოში ევროპისა და მსოფლიო პირველობების მედალოსნები - **ზვიად ჩინჩალაძე, მირიან პავლიაშვილი, ნიკოლოზ ბიბილაშვილი** გამოდიან, სუსტი ვერანაირად ვერ იქნებოდა. ჩამოთვლილთა გარდა, კარგი ჭიდაობით თავი **ზვიად ბაზანდარაშვილმა**, ძიუდოისტთა ქვეყნის პირველობაზე ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურის დამმარცხებელმა **დავით ლორიაშვილმა** და სხვებმაც დაგვამახსოვრეს.

თუმცა მათ უმრავლესობას ოსტატობამ ვერ უშველა, ძალამ აღმართი მოხნა. მაგალითად, ნახევარფინალში პავლიაშვილი ძაან მედგრად კი ებრძოლა ხანჯალიაშვილს, მარგამ ფიზიკურად დიდ მეტოქესთან სწორედ ძალით დაიჩაგრა. მეორე ნახევარფინალში გუჯეჯიანმა ჩინჩალაძე დაამარცხა, თუმცა მანამ ფეხი იტკინა და ერთი პირობა ფინალში საჭიდაოდ გასვლა არ უნდოდა. არადა, პირთამდე სავსე დარბაზი სწორედ ფინალს ელოდა. საჩოთირო ვითარებიდან თავის დასაღწევად შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, არანაკლებ ლეგენდარულმა **ლევან თედიაშვილმა** გადაწყვიტა, მაყურებლის პატივსაცემად ფინალში ხანჯალიაშვილი და ჩინჩალაძე ეჭიდავებინა, რაკი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში არც ამასთან საჭიდაოდ გადიოდა ასევე დაშავებული პავლიაშვილი. საბოლოოდ გუჯეჯიანმა მაინც იჭიდავა, თუმცა ვერაფერს გახდა. ფინალი ხანჯალიაშვილის უპირატესობით წარიმართა - მან ჯერ გააფრთხილებინა მეტოქე, მერე კი ორქულიანზეც დასცა. ჩემპიონი 1000 ამერიკული დოლარით დაჯილდოვდა, მეორე-მესამე ადგილებზე გასულებმა კი შესაბამისად, 500 და 300 დოლარი მიიღეს.

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი



გიორგი ცინცაძე

ლეგიონერები

# პირველი მოგება

**გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკი" ესტონეთის ჩემპიონატის ფლეიოფში ჩაერთო. მეოთხედფინალში "როკერებს" მეტოქედ შეხვდათ მერვეადგილოსანი "ველგი", რომელიც პირველივე მატჩში 96:67 გაანადგურეს.

მეტოქის რბევაში წვლილი გიორგი ცინცაძემაც შეიტანა, თუმცა შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 25 წუთი ითამაშა. "ბუმ" 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, 1 საჯარიმოც მიამატა და 7 ქულას მოუყარა თავი. მან არც სხვა კომპონენტებში მოიკოჭლა - 6 პასი და 5 მოხსნა გააკეთა.

"როკი" განმეორებით მატჩს "ველგის" მოედანზე 15 აპრილს გამართავს. ესტონეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალები ორ მოგებამდეა. ასე რომ, სტუმრად გამარჯვების შემთხვევაში ცინცაძის თანაგუნდელები ნახევარფინალის საგზურს მოიპოვებენ. მომდევნო ეტაპზე "როკი" დალკიასა" და "პირატას" შორის გამარჯვებულს შეხვდება. როგორც ხედავთ, პირველობისთვის ბრძოლაში მთავარი კონკურენტი "კალევი" ტარტუელებს ფინალამდე არ შეხვდებათ.

# თვრამეტი ოცდათვრამეტში

ზუსტად სამი წლის წინ კრკა-მ "ოლიმპიას" სლოვენიის ჩემპიონობა წაართვა. მას შემდეგ კრკა საგრძნობლად დასუსტდა, რაშიც სლოვენიის პირველობის მე-5 ტურმაც დაგვარწმუნა: "ოლიმპიამ" აზრევიატურიანი მეტოქე მისსავე მოედანზე 89:62 დაამარცხა.

**მანუჩარ მარკოიშვილი** ამჯერადაც ლუბლიანელთა ლიდერად მოგვევლინა - 38 წუთში 18 ქულა (10-დან 7 ორქულიანი, 6-დან 4 საჯარიმო) ჩააგდო, ხუთჯერ მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. თუმცა 18 ქულა მატჩის ბომბარდირობისთვის საკმარისი არ გამოდგა - ოლიმპიელმა **ტეემუ რანიკომ** ანგარიშზე 23 ქულა ჩაიწერა.

ვიდრე სატურნირო ცხრილს გაეცნობოდეთ, შეგახსენებთ, რომ სლოვენიის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს ნახევარფინალები მოჰყვება, რადაც 4 საუკეთესო კლუბი ითამაშებს.

**სლოვენიის ჩემპიონატი.** 5 ტურის შემდეგ. 1. **ოლიმპია - 5 მოგება**, 2. ელექტრა - 4, 3. ჰელიოსი - 4 / 4. სლოვანი - 3, 5. ზლატოროგი - 2, 6. კრკა -2, 7. ლოკა - 0, 8. ალპოსი -0.



მანუჩარ მარკოიშვილი

# ჯოშ, მოკეტე, თორემ!..



ჯოშ სმიტი (5) და ზაზა ფაჩულია გასახდელში ნაკინკლავდნენ

**კვირა ღამით "ატლანტა ჰოქსის" გასახდელში მცირე ინციდენტი მოხდა ზაზა ფაჩულიასა და ჯოშ სმიტს შორის.**

**ამ ამბის დეტალები გუშინ "ნიუ იორკ პოსტის" ჟურნალისტმა პიტერ ვესეიმ გაახმაურა:** "მატჩისას 21 წლის ჯოშ სმიტი თანაგუნდელებსა და მწვრთნელთა შტაბზე განაწყენდა და სიფიცხე გასახდელშიც გამოხატა. ზაზამ ჯერ გააფრთხილა: "ჯოშ, თუ ისევე დამელაპარაკები, როგორც მოედანზე, გპირდები, რომ კარიერის ნაადრევად დასრულება მოგიწევს!" ამას კონფრონტაცია მოჰყვა და ფაჩულიამ სმიტი კედელზე გააკრა"...

**კოლეგას "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტი სეკუ სმიტი გამოეხმაურა:** "ზაზასა და ჯოშის შელაპარაკებისას გასახდელში ვიყავი. ქართველი არავის შეხებია. იგი ერთ მხარეს იჯდა, სმიტი - მეორეს. ზაზამ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა, რის შემდეგაც ჯოშიც დაწყნარდა და მდგომარეობაც განიმუხტა. ეს იყო და ეს".

**ვაჟა სიმონიშვილი**

**საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს გამოჩენილ ქართველ ვეტერან-მოთამაშეს ალისა ასიტაშვილს და უსურვებს ჯანმრთელობას.**






NHL. ფლეი ოფი. I წრე

# ლუონგოს 72 სეივი და დაბნეული პინგვინები



რობერტო ლუონგო სასწაულებს ჩადიოდა

### აღმოსავლეთი

**ოტავა-პიტსბურგი 6:3**

**2:0, 1:1, 3:2**

**გოლები:** 1:0 მეზაროში-1 (მ. ფიშერი-1, შეფერი-1), 2:0 კ. კელი-1 (კორვო-1, კ. ნილი-1), 3:0 პრისინგი-1 (სპეცა-1, კორვო-2), 3:1 ჯ. სტაალი-1 (ტელბოტი-1, რაიან უიტნი-1), 4:1 ჰიტლი-1 (ალფრედსონი-1, ვოლჩენკოვი-1), 5:1 კ. ნილი-1 (რედენი-1), 6:1 კომრი-1 (შეფერი-2, ვოლჩენკოვი-1), 6:2 გონჩარი-1 (მალკინი-1, რეკი-1), 6:3 კროსბი-1 (გონჩარი-1, რეკი-2).

**სერია 1:0**

პიტსბურგელ ვუნდერკინდ **სიდნი კროსბის** ფლეი ოფში დებიუტი არ გამოუვიდა. მართალია, რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირმა ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ მხოლოდ მატჩის მიწურულს, როცა შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

"ოტავამ" შავი დღე აყარა გამოუცდელ "პიტსბურგს". კროსბის გარდა, კიდევ 12 "პინგვინს" ჰქონდა დებიუტი სტენლის თასზე. საქმე ისაა, რომ "პიტსბურგმა" 6-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა ფლეი ოფში.

არ გაუმართლა სტუმართა ახალგაზრდა მეკარე **მარკ-ანდრე ფლერისაც**. მართალია, მან 30 დარტყმა მოიგერია, მაგრამ ექვსჯერ ვერაფერი მოუხერხა მეტოქის შეტევებს. საბოლოოდ, ფლერი 1:6-ზე გამოცდილი **ჟოსელინ ტიბოთი** შეცვალეს.

"სენატორებმა" თავიდანვე აქტიურად მოჰკიდეს საქმეს ხელი და პირველ პერიოდში 16 ზუსტი დარტყმა შეასრულეს, იმ დროს, როცა დაბნეულმა სტუმრებმა, მხოლოდ ოთხჯერ დაარტყეს ზუსტად.

ერთი გოლით გამოიჩინა თავი "ოტავას" ლიდერმა **დენი ჰიტლიმ**. სხვათა შორის, ამ ჰოკეისტმა ზედიზედ მეორე სეზონში, რეგულარულში 50 შაიბა გაიტანა. მსგავსი მიღწევა ბოლოს, რუს **პაველ ბურეს** ჰქონდა, რომელმაც 2000 და 2001 წლებში შეძლო ორ სეზონში 50-შაიბიანი ზღვარის გადალახვა.

### დასავლეთი

**ანაჰაიმი-მინესოტა 2:1**

**0:0, 1:1, 1:0**

**გოლები:** 0:1 დემიტრა-1 (ფოსტერი-1, გაბორიკი-1), 1:1 სელიანე-1 (ბოშემენი-1), 2:1 პენერი-1 (პერი-1, გეტცლაფი-1).

**სერია 1:0**

"ანაჰაიმს" ძალიან გაუჭირდა ფლეი ოფში პირველი საშინაო შეხვედრის მოგება. "მინესოტამ" დიდი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, თუმცა, ეს სულაც არ არის გასაკვირი - "სტრაზს" ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ხაზი ჰყავს, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ამ გუნდმა რეგულარულში ყველაზე ნაკლები შაიბა გაუშვა.

ამჯერადაც მონოდების სიმაღლეზე იყო სტუმართა მეკარე **ნიკლას ბეკსტრიომი**, რომელმაც 32 დარტყმის მოგერიება შეძლო, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გაშვებულ შაიბაში მას ბრალი არ მიუძღვის, ვინაიდან თანაგუნდელმა **კიმ იონსონმა დასტინ პენერის** დარტყმის მოგერიებაში ხელი შეუშალა. სწორედ პენერის გოლმა მოუტანა გამარჯვება "იხვებს".

"ანაჰაიმის" კარში იძულებითი ცვლილება იყო. **ჟან-სებასტიან ჟიგერის** ნაცვლად, მასპინძელთა კარს რუსი **ილია ბრიზგალოვი** იცავდა. ჟიგერის მეუღლეს 4 აპრილს შვილი შეეძინა. ჰოკეისტმა ვერ მოახერხა კლუბში დაბრუნება, რადგან ახალდაბადებულს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. თუმცა, ბრიზგალოვმაც კარგად გაართვა თავი თავის მოვალეობას და 25-დან 24 დარტყმა მოიგერია.

ეს მატჩი გამორჩეული იყო "ანაჰაიმის" 36 წლის ვეტერან **ტეემუ სელიანესთვის**. მან ფლეი ოფში 29-ე შაიბა გაიტანა და ამ მაჩვენებლით, საკლუბო რეკორდის მფლობელ **პოლ კარიას** გაუთანაბრდა.

**ვანკუვერი-დალასი 5:4 (4 ო)**

**1:1, 2:1, 1:2, 0:0, 0:0, 0:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-1 (ჰ. სედინი-1, პიატი-1), 1:1 მოროუ-1 (რიბეირო-1, სიდორი-1), 2:1 ოლუნდი-1 (კრაიჩეკი-1, ნესლუნდი-1), 2:2 დელეი-1 (მოროუ-1, ლ. ერიქსონი-1), 3:2 ნესლუნდი-1, 4:2 სმოლინსკი-1 (ს. სალო-1, ლინდენი-1), 4:3 მიეტინენი-1 (ჰაგმანი-1, ი. იოკინენი-1), 4:4 ნადი-1 (მიეტინენი-1, ზუბოვი-1), 5:4 ჰ. სედინი-1 (დ. სედინი-1).

**სერია 1:0**

დრამატული ორთაბრძოლა 2 საათი და 2 წუთი გაგრძელდა. ფლეი ოფის ისტორიაში, ხანგრძლივობის მიხედვით ეს იყო მეშვიდე შეხვედრა. მისი ბედი შვედმა ტყუპმა ძმებმა - **ჰენრიკ** და **დანიელ სედინებმა** გადაწყვიტეს. პირველმა მეორის პასით გაიტანა გამარჯვების შაიბა.

მაგრამ, ამ მატჩის გმირად არა ჰენრიკ სედინი, არამედ "ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგო** დასახელდა. შეხვედრა კიდევ ცოტა ხანი რომ გაგრძელებულიყო, ლუონგო ფლეი ოფის ახალი რეკორდის ავტორი გახდებოდა. მასპინძელთა კარის დარაჯს, ორი შაიბის მოგერიება დააკლდა **კელი ჰრადის** ყველა დროის რეკორდის გაუმჯობესებამდე. გუშინ, ლუონგომ მეტოქეთა 72 (!) დარტყმა მოიგერია.

არადა, წესით "ვანკუვერს" აქამდე საქმე არ უნდა მიეყვანა. ბოლო პერიოდში მასპინძლები ორი შაიბით იგებდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

ოვერტაიმებში კი, "დალასს" არ გაუმართლა. მას მეორე დამატებით დროში სამი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ სამივეჯერ ლუონგომ იყოჩაღა, ერთხელ კი, სტუმრებს ორი ჰოკეისტით მეტი ჰყავდა ყინულზე, მაგრამ ვერც ეს უპირატესობა გამოიყენეს.

**ნეშვილი-სან ხოსე 4:5 (2 ო)**

**0:1, 2:3, 2:0, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 მ. კარლი-1 (ჯ. ტორნტონი-1, რივე-1), 1:1 რადულოვი-1 (ფორსბერგი-1, ზენონი-1), 2:1 დუმონი-1 (არნოტი-1, ჰატრნელი-1), 2:2 გრირი-1 (რისმილერი-1, კ. ბრაუნი-1), 2:3 რივე-1 (მარლო-1), 2:4 მილან მიხალეკი-1 (ჯ. ტორნტონი-2, ვლასიჩი-1), 3:4 რადულოვი-2 (შ. უებერი-1), 4:4 დუმონი-2 (შ. უებერი-2, ერატი-1), 4:5 რისმილერი-1 (მარლო-2, გრირი-1).

**სერია 0:1**

ეს გუნდები შარშანაც ფლეი ოფის პირველ წრეში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ, "სან ხოსემ" ოთხ მატჩში მოუმთავრა საქმე "ნეშვილს". ასე რომ, "ზვიგენებმა" ზედიზედ მეხუთედ მოუგეს სტენლის თასზე "პრედატორზს".

არადა, სტუმრებმა კინაღამ მოგებული მატჩი დათმეს. ბოლო პერიოდის წინ, მათ კომფორტული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ბოლო ერთი წუთი ვერ გაძლეს და "ნეშვილს" შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანის საშუალება მისცეს. იქ კი, მასპინძლებმა იქიდან მიიღეს დარტყმა, საიდანაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ - გამარჯვების გოლი **პატრიკ რისმილერმა** გაიტანა, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ შვიდჯერ აილო მეტოქეთა კარი.

ამ მოგების მიუხედავად, "სან ხოსეს" ბანაკში მთლად კარგ ხასიათზე არ უნდა იყვნენ. მეორე პერიოდში, მასპინძელმა **სკოტ ჰარტნელმა** სერიოზული ტრავმა მიაყენა "შარქსის" საუკეთესო გოლეადორ **ჯონათან ჩიჩუს**. ვარაუდობენ, რომ შარშანდელი სეზონის საუკეთესო სნაიპერი ფლეი ოფის დარჩენილ შეხვედრებს გამოტოვებს.

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**მილუოკი-ინდიანა 98:104**

**22:26, 22:27, 26:27, 28:24**

**მილუოკი:** მო უილიამსი (23 ქ. 7 პ. 6 მ), ნოელი (18 ქ. 5 მ), გაძურიჩი (18 ქ. 13 მ. 3 დ), ჩ. ბელი (14 ქ), პატერსონი (10 ქ).

**ინდიანა:** მ. დანლივი (25 ქ. 5 მ), დ. გრეინჯერი (18 ქ. 10 პ. 6 მ. 2 ჩ), ჯ. ონილი (16 ქ. 9 მ. 4 პ. 4 დ. 2 ჩ), დ. არმსტრონგი (16 ქ. 4 მ. 4 პ), ფოსტერი (3 ქ. 13 მ. 2 დ).

**ს. ანტონიო-საკრამენტო 109:100**

**23:22, 31:26, 25:32, 30:20**

**სან ანტონიო:** დანკანი (26 ქ. 13 მ. 4 პ. 4 დ. 2 ჩ), ფინლი (19 ქ), ტ. პარკერი (14 ქ. 8 პ. 6 მ), ჯინობილი (14 ქ. 6 პ), ვონი (11 ქ).

**საკრამენტო:** გარსია (22 ქ), ბიბი (22 ქ), უილიამსი (15 ქ. 10 მ), აბდურ-რაჰიმი (12 ქ), მარტინი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**მინესოტა-დალასი 88:105**

**23:23, 28:25, 15:38, 22:19**

**მინესოტა:** რიდი (17 ქ. 5 მ. 3 პ), კ. სმიტი (14 ქ. 7 მ), მ. ჯეიმსი (14 ქ), ფოიე (11 ქ), მ. ბლაუნტი (10 ქ. 10 მ).

**დალასი:** კროშერი (19 ქ. 6 მ. 4 პ), ჯოშ ჰოვარდი (16 ქ), ტერი (16 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჯორჯი (14 ქ. 3 ჩ), ბარეა (13 ქ. 4 პ), დიოპი (10 ქ. 15 მ).

**მაიამი-ვაშინგტონი 85:82**

**25:21, 10:16, 27:23, 23:22**

**მაიამი:** ა. უოკერი (19 ქ. 7 მ. 3 პ), უეიდი (16 ქ. 7 პ. 6 მ), ე. ჯოუნსი (10 ქ), მურნინგი (9 ქ. 5 დ).

**ვაშინგტონი:** ჰეივუდი (14 ქ. 10 მ), ჯ. ჰეიესი (13 ქ. 2 ჩ), ჯეიმისონი (11 ქ. 5 მ).

**ბოსტონი-ფილადელფია 94:102**

**29:20, 29:27, 18:29, 18:26**

**ბოსტონი:** გომესი (26 ქ), ჯ. გრინი (22 ქ. 2 ჩ), რეი (15 ქ), რონდო (12 ქ. 5 პ), პერკინსი (5 ქ. 11 მ).

**ფილადელფია:** ს. ჰანტერი (20 ქ. 7 მ), ა. მილერი (19 ქ), ლ. უილიამსი (18 ქ. 8 პ), ჯო სმიტი (16 ქ. 7 მ), უ. გრინი (12 ქ), დალემბერი (11 ქ. 7 მ. 5 პ).

**იუტა-დენვერი 105:116**

**21:23, 27:32, 30:31, 28:29**

**იუტა:** ჰარპრინგი (31 ქ. 4 პ. 2 ჩ), ოქური (20 ქ. 4 მ. 3 პ), ბუზერი (19 ქ. 14 მ. 8 პ), დ. უილიამსი (18 ქ. 14 პ. 6 მ).

**დენვერი:** ენტონი (32 ქ), აივერსონი (22 ქ. 12 პ), ნენე (19 ქ. 8 მ), ბლეიკი (16 ქ. 2 ჩ), კემბი (13 ქ. 13 მ. 7 დ. 2 ჩ).

**ფინიქსი-სიეტლი 109:91**

**31:33, 33:25, 19:19, 26:14**

**ფინიქსი:** მერიონი (24 ქ. 10 მ), ბარბოსა (20 ქ), ა. სტაუდმაიერი (18 ქ. 11 მ. 3 ჩ), რ. ბელი (14 ქ), ჯ. ჯოუნსი (13 ქ), ნეში (11 ქ. 9 პ).

**სიეტლი:** რ. ლიუისი (30 ქ. 3 პ. 3 ჩ), უილქსი (20 ქ. 6 პ), უილკოქსი (15 ქ. 12 მ), უილკინსი (12 ქ. 2 ჩ).

**პორტლენდი-ჰიუსტონი 95:99**

**16:28, 20:25, 23:25, 36:21**

**პორტლენდი:** როი (20 ქ. 6 პ. 5 მ), ფ. ჯოუნსი (18 ქ. 4 პ), ტ. აუთლო (16 ქ. 7 მ), მაგლოირი (13 ქ. 10 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (32 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), მინი (27 ქ. 12 მ. 3 პ), ალსტონი (23 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**დეტროიტი-ორლანდო 104:99**

**34:21, 22:25, 28:27, 26:20**

**დეტროიტი:** ბილაპსი (28 ქ. 8 პ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (21 ქ. 6 პ), პრინსი (17 ქ), მაკდაიესი (14 ქ).

**ორლანდო:** გ. ჰილი (22 ქ. 2 დ), ნელსონი (17 ქ. 7 პ. 3 ჩ), დულინგი (17 ქ), დ. ჰოვარდი (12 ქ. 16 მ. 2 დ).

## ჩოგბურთი

ტურნირები

### ATP

**U.S. Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი**

**I წრე**

**ტომი ჰაასი (გერ, 3)**-სემ კერი (აშშ) 3:6, 6:3, 7:5; **ალექს კუზნეცოვი (აშშ)**-ლარს ბურგსმიულერი (გერ) 7:5, 7:5; **დიეგო ჰატფილდი (არგ)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:4, 6:4.

**1/8 ფინალი**

**მარიანო საბალეტა (არგ)**-მარდი ფიში (აშშ, 4) 7:5, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 5)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:4, 6:2; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 7:6 (3), 2:6, 6:1; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-დუშან ვემიჩი (სერ) 6:4, 4:6, 6:4.

**Open de Tenis Comunidad**

ვალენსია (ესპანეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 332 800 დოლარი**

**I წრე**

**პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 4) 6:1, 4:6, 6:3; **ივან ნავარო (ესპ)**-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 6:3, 6:1; **ალბერტო მარტინი (ესპ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:2, 3:6, 6:2; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:3, 6:4.

**1/8 ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)**-ალესიო დი მაურო (იტა) 7:5, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 7)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 1:0 კუბეკის უარი.

### WTA

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 1 640 000 დოლარი**

**1/16 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:1, 6:1; **დინარა საფინა (რუს, 4)**-ედენი დანილიდუ (საბ) 6:3, 6:4; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-შაარ პეერი (ისრ, 5) 6:2, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ)**-პატი შნიდერი (შვეიც, 6) 1:6, 6:3, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 7)**-ხისელა დულკო (არგ) 6:0, 6:7 (5), 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 9)**-მეილინ ტუ (აშშ) 6:1, 6:3; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 10)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:0, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 11) 2:6, 6:4, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 12)**-არავან რეზაი (საფ) 7:6 (3), 3:6, 7:5; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 13), 6:3, 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტრი ა, 15)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:0, 3:0 რაზანოს უარი; **მარა სანტანჯელო (იტა, 16)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:2, 6:0; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:2, 6:1.

### კალათბურთი

## მინესოტამ გარნეტი დაკარგა

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ვარსკვლავი **კევინ გარნეტი** რეგულარული ჩემპიონატის მინიმუმ ორ თამაშს გამოტოვებს - ასეთია ექიმების ვერდიქტი მას შემდეგ, რაც კალათბურთელმა ბოლო ტურში ბარძაყის ტრავმა მიიღო.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტის, **კევინ მაკჰეილის** თქმით, გარნეტს ეს ტრავმა უკვე რამდენიმე თვეა აწუხებდა და ახლა, კევინმა და მისმა აგენტმა გადაწყვიტეს, კალათბურთელის ჯანმრთელობას მიხედონ.

## პირსმა სეზონი დაამთავრა

საბოლოოდ გაირკვა "ბოსტონ სელტიქსის" ლიდერის - **პოლ პირსის** ბედი. იდაყვის არეში ტკივილის გამო, ეს ფორვარდი ამ სეზონის მატჩებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

პირსმა წლევანდელი რეგულარულის დაწყებამდე იდაყვზე ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას, ტრავმამ კვლავ შეახსენა თავი, რის გამოც პოლს საკმაოდ ბევრი მატჩის გამოტოვება მოუწია.

### ფიგურული სრიალი

## პლიუშჩენკო გაისად დაბრუნდება

ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **ევგენი პლიუშჩენკომ** განაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის, სამოყვარულო სპორტში აპირებს დაბრუნებას.

*"ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მივიღე, რომ წელს, რუსმა მოციგურავეებმა საერთაშორისო არენაზე ძალიან ცუდი შედეგები აჩვენეს. ვფიქრობ, ჩემი დაბრუნება რუსულ ფიგურულ სრიალს ძველ დიდებას აღუდგენს. თავს სრულიად კონკურენტუნარიანად მივიჩნევ და 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის ბრძოლას ვაპირებ"*, - ამბობს ევგენი პლიუშჩენკო.

მომავალ სეზონში, ოლიმპიურ ჩემპიონს გრან-პრის სერიის ტურნირებზე, აგრეთვე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამოსვლა აქვს განზრახული.

### ჩოგბურთი

## წილი ნაყარია

გაიმართა დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში გადასასვლელი საკვალიფიკაციო მატჩების წილისყრა. რვა საგზურის გამოსავლენად შემდეგი შეხვედრების გამართვაა დაგეგმილი (პირველად მითითებულია მასპინძელი ქვეყანა):

სერბეთი-ავსტრალია, ავსტრია-ბრაზილია, პერუ-ბელარუსი, ისრაელი-ჩილე, ბრიტანეთი-ხორვატია, ჩეხეთი-შვეიცარია, იაპონია-რუმინეთი, სლოვაკეთი-კორეა.

შეხვედრები 21-23 სექტემბერს გაიმართება.

## ესპანელთა არჩევანი

21-22 აპრილს, ფედერაციის თასის მეოთხედფინალური ეტაპი გაიმართება. ცენტრალურ შეხვედრაში რუსეთის ნაკრები ესპანეთს უმასპინძლებს. სტუმართა კაპიტანმა **მიგელ მარხეტსმა** დაასახელა იმ ჩოგბურთელთა გვარები, რომლებიც ნახევარფინალში გასასვლელად იბრძოლებენ.

ესენი არიან: **ანაბელ მედინა გარიგესი, ლურდეს დომინგეს ლინო, ნურია ლაგოსტერა** და **ლაურა პოუსი**.

## ფრანგებს გოლოვინის იმედი აქვთ

ცნობილი გახდა ფედერაციის თასზე საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაც. მსოფლიოს მესამე ჩოგან **ამელი მორესმოს** არყოფნაში, **ჟორდ გოვენის** გუნდის პირველი ნომერი **ტატიანა გოლოვინი** იქნება, რომელმაც ერთი კვირის წინათ, ამელია აილენდის ტურნირი მოიგო.

გარდა ამისა, იაპონელთა წინააღმდეგ სათამაშოდ მოემზადებიან - **ნატალი დეში, სევერინ ბრემონი** და **ვირჟინ რაზანო**.

ამ შეხვედრის გამართვა საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟშია დაგეგმილი.

### ჰოკეი

## ეიბიშერი შვეიცარიას დაეხმარება

შვეიცარიის ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა მომავალი მსოფლიო პირველობისთვის დაიწყო მზადება.

ნაკრების ძირითად ბირთვს "დავოსის" ჰოკეისტები შეადგენენ. ეს ის გუნდია, რომელიც წელს, შვეიცარიის ჩემპიონი გახდა. მას ნაკრებში 8 ჰოკეისტი ჰყავს მივლინებული.

მაგრამ, შვეიცარიელების მთავარ დამრტყმელ ძალას ოკეანის გაღმა მოთამაშე **დევიდ ეიბიშერი** და **მარკ შტრაიტი** წარმოადგენენ. მათი კლუბი - "მონრეალ კანადიენსი" ფლეი ოფში ვერ გავიდა და ეს მეკარე და მცველი რამდენიმე დღეში შეუერთდებიან ეროვნულ გუნდს.

პრო ტური

# ბურგჰარდტმა ფრეირეს აჯობა

მიმდინარე სეზონში, გაზაფხულის კლასიკურ რბოლებს ახალი გამარჯვებულები ჰყავთ. ჯერ იყო და, ფლანდრიის ტური იტალიელმა **ალესანდრო ბალანმა** მოიგო, ახლა კი, გენტი-ვეველგემის რბოლის ფინიშთან პირველი გერმანელი **მარკუს ბურგჰარდტი** მიიჭრა.

ბურგჰარდტი ჯერ მხოლოდ 23 წლის არის და მასზე გერმანული გუნდი "T-მობილი" დიდ იმედებს ამყარებს. ჰოდა, მან დებიუტისთანავე დაიწყო კრედიტების გაცემა - შესანიშნავ სტილში დაამარცხა ისეთი გამოცდილი მეტოქე, როგორიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, კლასიკური რბოლების სპეციალისტი **ოსკარ ფრეირეა**.

ფრეირეს ამ სეზონში მილანი-სან რემოს კლასიკური აქვს მოგებული და გენტი-ვეველგემზეც უმთავრეს ფავორიტად მოიაზრებოდა. მისი შანსები მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რაც აშკარა შეიქნა, რომ მოწინავე ხუთეულს, რომელშიც ესპანელიც შედიოდა, ძირითადი ჯგუფი ფინიშამდე ვერ დაეწეოდა.

მაგრამ, რბოლის დასრულებამდე კილომეტრილა იყო დარჩენილი, რომ ბურგჰარდტმა გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო. მას აშკარად დაღლა ეტყობოდა, მაგრამ მასზე მეტად დაღლილები დანარჩენები ჩანდნენ. ასე რომ, მისი ტემპის აყოლა ვერავინ შეძლო და მდევრებმა ახალბედას პრაქტიკულად, უბრძოლველად მოაგებინეს. ყოველი შემთხვევისთვის, თანაგუნდელს ზურგს უმაგრებდა "T-მობილის" გამოცდილი ველომრბოლი, ბრიტანელი **როჯერ ჰამონდი**.

ფინიშამდე 300 მეტრი რომ რჩებოდა, ჰამონდმაც აუჩქარა ფეხს და იოლად ჩამოიტოვა ფრეირეც და კიდევ ერთი გამოცდილი ესპანელი სპრინტერი **ფრანსისკო ხოსე ვენტოსო**.

*"პრო ტურის სერიის რბოლა პირველად მოვიგე და ამით აღფრთოვანებული ვარ. მე რომ შეტევა დავიწყე, როჯერმა სპრინტერები კონტროლზე აიყვანა და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ფინიშთან პირველი მივედი"*, - ნარბოლევს განაცხადა ბურგჰარდტმა, ვისთვისაც ეს კარიერაში პირველი დიდი გამარჯვებაა.



ბურგჰარდტმა ფრეირეც კი დაჯაბნა

ფრეირე მესამე ადგილს დასჯერდა, რაც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ პრო ტურის სერიის კლასიფიკაციაში მას პირველ ადგილზე თანამემამულე **ალბერტო კონტადორი** ჩაენაცვლებინა. მესამე ადგილი ურიგო არაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დაწინაურებულ ხუთეულში "T-მობილიდან" ორნი იყვნენო - განაცხადა ფრეირემ.

რბოლას რთული რელიეფი და ალაგ-ალაგ ქვაფენილიანი გზა ართულებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ასპარეზობის დროს რამდენიმე ველომრბოლი დაეცა. მათგან, ვინც ფინიშს ვერ მიაღწია, ყველაზე ცნობილი ფრანგი **ჯიმი კასპერია**. მან ქვაფენილზე ვერ დაიმორჩილა ველოსიპედის საჭე და დაეცა. ყველაზე მეტი დაცემა კი კემელბურგის მთის დალმართზე დაფიქსირდა.

სხვათა შორის, ქვაფენილი პრო ტურის ველომრბოლებს კიდევ ერთხელ გაურთულებს ცხოვრებას - მომდევნო ეტაპზე, პარიზი-რუბეს კლასიკურზე, მათ კიდევ უფრო ქვაფენილიანი მონაკვეთი ელით.

გენტი-ვეველგემი (ბელგია). 207 კმ

1. მარკუს ბურგჰარდტი (გერმანია, T-მობილი) 4:52.14 (42.50 კმ/სთ); 2. როჯერ ჰამონდი (ბრიტანეთი, T-მობილი) 0.04; 3. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 0.05; 4. ფრანსისკო ვენტოსო (ესპანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.06; 5. კრისტოფ მენგინი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.06; 6. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.15; 7. მაქს ვან ჰეესვიიკი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.15; 8. ბეიდენ კუკი (ავსტრალია, უნიბეტ.კომი) 0.15; 9. ხოსე ხოაკინ როხასი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.15; 10. ალექსანდრე უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი) 0.15...

პრო ტურის კლასიფიკაცია

1. ოსკარ ფრეირე გომესი (ჰოლანდია, რაბობანკი) 77 ქულა; 2. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 56; 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 53; 4. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 50; 5. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 44; 6. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 42; 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, T-მობილი) 41...

## კრივი

როქოს წონა

# როჯერ მეივეზერს ლიცენზია დაუბრუნეს

**ფლოიდ მეივეზერის** ბიძასა და მწვრთნელს, **როჯერ მეივეზერს** ნევადის საათლეტო კომისიამ მწვრთნელის ლიცენზია დაუბრუნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როჯერს უფლება ეძლევა, ფლოიდის კუთხეში დაიკავოს ადგილი, როცა პროფესიულ რინგზე ჯერაც დაუმარცხებელი მოკრივე **ოსკარ დე ლა ჰოიას** დაუპირისპირდება.

სანამ საათლეტო კომისიისგან ლიცენზიას დაიბრუნებდა, როჯერ მეივეზერს კომისიის ოთხი წევრისგან ეთიკის ლექციის მოსმენა მოუხდა. შედეგად, კომისიის ყველა წევრმა მისი სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.

შეგახსენებთ, რომ როჯერ მეივეზერი მას შემდეგ დაისაჯა, რაც შარშან, ფლოიდისა და **ზებ ჯუდას** ბრძოლის მეათე რაუნდში, რინგზე აიჭრა. იმ ბრძოლაში წესის დარღვევისთვის (კეფაში დარტყმა), ჯუდას ჯარიმის სახით 250 000 დოლარის გადახდა დაეკისრა, როჯერს კი 200 000 დოლარი გადაახდევინეს და ერთი წლით მწვრთნელის ლიცენზიაც ჩამოართვეს.

კომისიონერმა **ჯონ ბეილიმ** განაცხადა, რომ როჯერ მეივეზერს უნდა ესმოდეს, რისთვის დაისაჯა ასე მკაცრად - მის ქმედებას რინგზე დიდი აყალ-მაყალის გამოწვევა შეეძლო, რაც დაუშვებელიაო. რა თქმა უნდა, მწვრთნელმა, ვინც ოდესღაც ასევე ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის სარტყელს, თავისი საქციელი მოინანია და პირობა დადო, რომ მსგავს სიტუაციაში რინგზე ასვლას აღარ ეცდება.

კომისიამ ფლოიდ მეივეზერისა და ოსკარ დე ლა ჰოიას ბრძოლის რეფერიდ **კენი ბეილისი** დანიშნა და იმავე ბრძოლისთვის სამივე მსაჯის ვინაობა გამოაცხადა. ბრძოლის ბედის გადაწყვეტა მიენდოთ გამოცდილ მსაჯებს - **ჯერი როტს, ჩაკ ჯამპასა** და **ტომი კაჩმარეკს**.

## ფეხბურთი

UEFA CUP

უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ბენფიკა-ესპანიოლი 0:0 (2:3)**

ბენფიკა: კუიმი, ნელსონი (81. დერლეი), ანდერსონი, მორეირა, ლეო, კარაგუნისი (82. კაცურანისი), პეტი, რუი კოშტა, სიმაო საბროსა, ნუნუ გომეში (70. მანტორაში), მიკოლი.

ესპანიოლი: ირაისოსი, საბალეტა, ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, იტო (54. ედუარდო კოშტა), ურტადო, დე ლა პენია (78. ჟონატასი), ლუის გარსია, რიერა, პანდიანი (71. კორომინასი).

**გაფრთხილება:** 2-5

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

**ტოტენჰემი-სევილია 2:2 (1:2)**

ტოტენჰემი: რობინსონი, ტაინიო, დოუსონი, კინგი, შიმბონდა, ლენონი, ჯენასი, ხოკორა (65. დეფო), მალბრანკი, ბერბატოვი, კინი.

სევილია: კობენო, ჰინკელი, ნავარო, ესკუდე, კასტედო, ალვეში (56. რენატო), პოულსენი, ხოსე მარტი, კორეია (70. აიტორი), კერჟაკოვი (82. მარესკა), კანუტე.

**გოლები:** 0:1 მალბრანკი (3-საკ. კარში), 0:2 კანუტე (8), 1:2 დეფო (66), 2:2 ლენონი (67)

**გაფრთხილება:** 3-0

**გაძევება:** ტაინიო (90. ტოტენჰემი)

**მაყურებელი:** 35 284

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

**ვერდერი-ალკმაარი 4:1 (0:0)**

ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა, პასანენი, ნალდო, ფრიტცი, ფრინგსი, ვრანიესი, ბოროვსკი (71. ბაუმანი), დიეგო, კლოზე (86. შინდლერი), ჰანტი (81. ალმეიდა).

ალკმაარი: ვატერმანი, დე ზეეუვი, იალიენსი, დონკი, დე კლერი, ჟენერი, ლიურინკი (46. შაარსი/71. კზიომერი), დემბელე, მარტენსი, კუვერმანსი, არველაძე (62. ბუხარი).

**გოლები:** 1:0 ბოროვსკი (16), 1:1 დემბელე (32), 2:1 კლოზე (36), 3:1 კლოზე (62), 4:1 დიეგო (82)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 35 000

**არბიტრი:** მაიკ რაილი (ინგლისი)

**ოსასუნა-ლევერკუზენი 1:0 (3:0)**

ოსასუნა: რიკარდო ლოპესი, ისკიერდო, კრუჩაგა (70. ერისე), კუელიარი, მონრეალი, ვალდო, ხოსეჩო, მუნიოსი, ხუანლუ, სოლდადო (75. ექტორი), მილოშევიჩი.

ლევერკუზენი: ადლერი, კასტრო, მადუნი (52. ჰაგი), კალსენ-ბრაკერი, შტენმანი, ბარნეტა (42. ბაბიჩი), შვეგლერი, როფლესი, ფრაიერი, შნაიდერი, ბარბარესი (67. კისლინგი).

**გოლი:** 1:0 ხუანლუ (62)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 19 800

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

## TV სპორტი

### 13 აპრილი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:15** უიქენდის მატჩების ანონსი.
**12:30** ტოქ-შოუ - 90 წუთი.
**14:05** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**15:30** ტოქ-შოუ - 2:1.
**16:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:30** საფეხბურთო კლუბი.
**17:05** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:05** სასტვენი.
**18:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:00** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**19:30** საფეხბურთო კლუბი.
**20:15** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**22:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:15** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:15** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:15** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:15** რუსეთის ჩემპიონატი.
**02:15** საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-ინტერი.
**08:50** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
**09:50** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
**11:35** ხელბურთი.
**12:10** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ალკმაარი-ვერდერი.
**13:55** ფიტნესი.
**14:20** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კუკუტა (კოლუმბია)-გრემიო (ბრაზილია).
**16:05** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**16:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
**17:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მე-3 მატჩი. ცსკა-მაკაბი.
**19:20** სპორტინფორმი.
**19:30** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მე-3 მატჩი. უნიკახა-ბარსელონა.
**21:55** სპორტინფორმი.
**22:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ჰამბურგი (LIVE).
**00:35** კრივი. რინგ-საიდი.
**01:35** სპორტინფორმი.
**01:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ოსასუნა-ლევერკუზენი.
**03:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ეინდჰოვენი.
**05:15** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**05:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**06:40** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### EUROSPORT

**09:30** მულტისპორტი.
**10:00** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბასკეთის ტური. IV ეტაპი.
**11:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.
**12:00** მულტისპორტი.
**12:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.
**13:30** მულტისპორტი.
**13:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.
**15:00** ჩოგბურთი. APT-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**16:45** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბასკეთის ტური. V ეტაპი (LIVE).
**18:15** ჩოგბურთი. APT-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ჩარლსტონი. აშშ (LIVE).
**21:45** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**22:15** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი.
**22:45** პოკერი. ევროპის ტური. ბადენი. ავსტრია.
**23:45** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**00:00** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**00:30** ექსტრემალური სპორტი.
**01:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.

#### EUROSPORT-2

**08:30** ახალი ამბები.
**11:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მაონი. ესპანეთი.
**12:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი.
**13:00** ახალი ამბები.
**15:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
**16:00** ფრისტაილი.
**16:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი. სლაგელსე (დანია)-ლუბლიანა (სლოვენია).
**17:30** მულტისპორტი.
**18:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**19:00** ახალი ამბები.
**19:30** ექსტრემალური სპორტი.
**20:00** მულტისპორტი.
**20:30** ახალი ამბები.
**20:45** მულტისპორტი.
**21:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**21:30** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ს. აფრიკა-ირლანდია. ბელფასტი. ირლანდია (LIVE).
**23:15** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-ინგლისი. ბელფასტი. ირლანდია.
**00:30** ავსტრალიური ფეხბურთი.
**01:30** ახალი ამბები.
**01:45** მულტისპორტი.
**02:00** რესტლინგი.
**03:00** ახალი ამბები.
**03:45** მულტისპორტი.
**04:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **დანიის თასი** | |
| პოლბაკი-ვიბორგი | 1:6 |
| ლუნგბიუ-ჰორსენსი | 0:0 დ.დ. 1:0 |
| ოდენსე-რანდერსი | 1:0 |
| მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2:2 დ.დ. 2:3 |
| **ირლანდია** | |
| დუბლინი-ბრეი | 2:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი. III მატჩი** | |
| ცსკა-მაკაბი | 92:71 |
| უნიკახა-ბარსელონა | 67:64 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| კერპატი-იოკერიტი | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-სპარტა | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| მოდო-ლინჩოპინგსი | 1:1 ო.ტ. 2:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| მონაკო-დელიჩი | 6:2, 6:3 |
| **ATP. ვალენსია** | |
| კოროლიოვი-როიტმანი | 1:6, 7:5, 6:0 |
| სიმონი-გრანოლერსი | 3:6, 6:4, 1:6 |
| ნავარო პასტორი-ჟენსი | 7:6, 6:4 |
| ფალა-ვენტურა | 5:7, 7:6, 4:6 |
| სტარაჩე-ანდუხარი | 6:4, 1:6, 6:3 |
| ფერერო-მარტინი | 4:6, 2:6 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| იანკოვიჩი-სანტანჯელო | 6:3, 6:0 |
| კრაიჩეკი-ბამერი | 6:7, 6:2, 6:1 |
| ნა ლი-მედინა გარიგესი | 4:6, 5:7 |
| საფინა-დომინგეს ლინო | 6:2, 6:2 |
| ვ. უილიამსი-ჩანი | 6:2, 6:1 |
| გოლოვინი-პენგი | 6:2, 4:6, 6:3 |


ბენფიკა-ესპანიოლი. მიუხედავად დიდი უპირატესობისა, პორტუგალიელებმა ვერაფერი გააწყვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონკია–დედოფალი




ანტიკური ოლიმპიადების პირველი დისციპლინა ერთ სტადიაზე (182.27 მეტრი) რბენა იყო. უფრო ადრინდელი ეპოქა გაიხსენეთ ჰომეროსის "ილიადადან" და "ოდისეადან" - როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სირბილსა და შუბის ტყორცნაში ტროას გმირები: აიაქსი, ოდისევსი, აგამემნონი, ძმები აიანტები და სხვები, ისიც, როგორ ამუნათებდა ოდისევსი უდიერ კუნძულელებს: ბრძოლის ნებისმიერ ხერხში გაგეჯიბრებით სირბილის გარდა, რადგან ზღვისგან ვარ გალახულიო. კარგი სირბილი მეომრის მხედრული ღირსების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ძველი ბერძნული ნახატები რბენის, ხტომისა და ტყორცნის ამსახველი სურათების სიჭარბით გამოირჩევა.

მეორე ასპექტი. მძლეოსნობა ყოვლისმომცველია: იგი სჭირდება სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენლებს, სჭირდება ყველა ადამიანს, დიდსა თუ პატარას, რადგან უკეთესი და უფრო იაფი საშუალება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად თუ გასაუმჯობესებლად, ჯერ არ გამოუგონიათ. თვით მეტისმეტად "ტანსრულ" ამერიკის შეერთებულ შტატებში 40 მილიონზე მეტი ადამიანი ძუნძულით რბენაში ეძებს დაკარგულ (ან მოსაფრთხილებელ) ჯანმრთელობას. საყმაწვილო თუ ახალგაზრდულ ასაკში მიღებული მძლეოსნობის ნაყოფიერი გაკვეთილები ადამიანს კარგა ხანს მიჰყვება.

თუ იმასაც ვიტყვით, რომ ოლიმპიურ თამაშებზე "სპორტის დედოფლის" საბოძვარი ყველაზე მეტია, მედლების მთელი 47 კომპლექტი, მაშინ მტკიცება - მძლეოსნობის განვითარების დონე სპორტში ერის კულტურის მაჩვენებელია - მეტისმეტად კატეგორიული აღარ მოგეჩვენებათ. ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც მსოფლიო სპორტში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება, "სპორტის დედოფალს" სათანადო დაფასება აქვს, იქნება ეს აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, შვედეთი და სხვ. ყველგან კარგად იციან, რომ მისი განვითარებით საფუძველს უქმნიან გაცილებით უფრო დიდ საქმეს, ვიდრე სპორტის ერთი დისციპლინისთვის ხელშეწყობაა.

მძლეოსნობის პოპულარობის გარდა, მისი უნივერსალობა და საყოველთაო ხასიათი მარჯვედ გამოიყენება რეკლამაში. მაყურებლებით სავსე გიგანტური სტადიონები, ასევე ფართო ქუჩები თავისი ღირსშესანიშნაობებით, სადაც მარათონების ტრასები გადის, საამისოდ შესანიშნავ პირობებს ქმნის (ჩიკაგოს, ლონდონის, ნიუ-იორკისა და სხვა ცნობილ მარათონებში 30-40 ათასი ადამიანი მონაწილეობს. ბევრს უარს ეუბნებიან "უადგილობის" გამო).

სიდნეის 110-ათასიანი სტადიონი 2000 წელს, ოლიმპიადის დროს, დღეში ორჯერ ივსებოდა - თვით დილის პროგრამის დროსაც კი, და ცხადია, საღამოსაც, როცა დასკვნითი, ფინალური შეჯიბრებები იმართებოდა. არადა, მძლეოსანთა საკვალიფიკაციო და ძირითად ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთები ცალ-ცალკე იყიდებოდა და ძალიან ძვირიც ღირდა - 30-50 დოლარი და უფრო მეტი. ზოგიერთ სხვა ოლიმპიურ დისციპლინაში გამართულ შეჯიბრებებს კი, მათ შორის ჩვენთან ძალიან პოპულარულს, 1500-2000 მაყურებელი თუ ადევნებდა თვალს.

მძლეოსნობისთვის ფული არ ენანებათ არცერთ ქვეყანაში, სადაც მართლა და არა მოსაჩვენებლად ზრუნავენ სპორტზე. მძლეოსნობა ხომ სპორტის ანბანაა, ურომლისოდაც შორს ვერ წახვალ. მარტო იმის ანგარიში, რომ აი, წარმატებები არ გვაქვს და "სპორტის დედოფალს" კონკიასავით მოექცე, ელემენტარული სიბეცის ნიშანია.

რალა შორს წავედით. ავიღოთ ალბათ ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა - ფეხბურთი: რამდენი მწვრთნელი გაიხარებდა იმის გამო, რომ თამაშის ნიჭთან ერთად მის შეგირდს ისიც გამოარჩევს, რომ თავის დროზე ისწავლეს სწრაფად სირბილი და კარგად ხტომა. ამიტომ მძლეოსნობა აუცილებელი დისციპლინაა ნებისმიერ მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში, ცხადია, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს ვგულისხმობ. შეეკითხეთ ნებისმიერ ჩვენს ფეხბურთელს, ყველაზე ძალიან რა გაუჭირდათ უცხოეთის კლუბებში - პირველ რიგში, ინტენსიურ სირბილს დაგისახელებთ, ურომლისოდაც დღეს ფეხბურთი ფეხბურთი აღარ არის. საბჭოთა სივრცეში ყველაზე გამოკვეთილი ამ მხრივ ვალერი ლობანოვსკის სკოლა იყო, საკუთარი თვალით მრავალჯერ მინახავს ლესელიძესა თუ სოჭში. კიევის დინამოელს თვით მოედანზე რბენის კლასზეც (უწოდეთ თუნდაც რბენის კულტურა) კი ეტყობოდა, რომ ლობანოვსკის ხელში იყო გამოვლილი. კახა კალაძე დღესაც სწორედ ვარჯიშის მის სისტემას უმადლის, რომ მაღალი დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა.

ე.წ. საერთო-ფიზიკური მომზადების მხრივ სქართველოში ჯერ კიდევ ყამირია გასატეხი. ასეთი მომზადება უფრო მძლეოსნური ვარჯიშებით მიიღწევა, რისი კარგად ცოდნა ისევე აუცილებელია, როგორც ძირითადი მეთოდიკისა. მაგრამ მას ჩვენთან, ხშირ შემთხვევაში, ირიბ დამატებად თვლიან, განსაკუთრებით ბავშვთა ფეხბურთში, სადაც პროფესიონალიზმის საერთო დონე, თვით სპეციალისტთა შეფასებით, ისედაც ძალიან დაბალია. აქედან გამომდინარეობს ტრავმები და სხვა არასასურველი გართულებები მოზარდ სპორტსმენთა შორის. უმაღლეს ლიგაშიც ოთხიოდე გუნდს თუ ჰყავს სათანადოდ განსწავლული მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში. მათ ფუნქციას ძირითადად გუნდების მთავარი მწვრთნელები ითავსებენ.

მძლეოსნობა მართლაც დემოკრატიული სპორტის სახეობაა, რომელიც ცხადლივ გიჩვენებს ადამიანის შესაძლებლობის ზღვარს მოცემულ დროში. 60-იანი წლებიდან მისი თანამდევი დოპინგი რომ არა, ამ დემოკრატიას სრული სახე ექნებოდა, მით უმეტეს, რომ ასარჩევი ბევრია. ბაჰამის პაწაწკინტელა კუნძულების ქვეყანას მსოფლიოში საუკეთესო გუნდი ჰყავს 4X100 მეტრზე აბანათრბენში, კენიელებსა და ეთიოპელებს - უძლიერესი სტაიერები, ყველაზე სწრაფი ადამიანი, ასაფა პაუელი, ასევე აშშ-ს მეზობელი იამაიკიდანაა. აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე უფრო მტყორცნელები გამოირჩევიან და ა.შ. იმის თქმა გვინდა, რომ ნიჭიერი ადამიანი ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს, თუნდაც პატარა ქვეყანაში.

საქართველო არც ამ მხრივ ყოფილა დაჩაგრული. მძლეოსნობის მნიშვნელობა ძალიან კარგად ესმოდათ თანამედროვე ქართული სპორტის მამამთავრებს, პირველ რიგში, გიორგი ნიკოლაძეს, გიორგი ეგნატაშვილს, არჩილ ბაქრაძეს და სხვებს, რომლებმაც სატანვარჯიშოპატრიოტული სკოლის, "შევარდენის" პროგრამაში მძლეოსნური დისციპლინებიც შეიტანეს. "სპორტის დედოფლის" ქართული სახელწოდებაც იქიდან იღებს სათავეს.

ჩვენში მძლეოსნობა არ ითვლება სპორტის პოპულარულ სახეობად, მაგრამ საქმე ისაა, რას აჩვენებ გულშემატკივარს. 1978 წელს თბილისის "დინამოს" სტადიონზე ლამის ძალით მიყვანილი მაყურებლებიდან დაახლოებით 35 ათასმა ლამის 12 საათამდე არ მოიცვალა ფეხი, ვიდრე სიმაღლეზე ხტომაში ვლადიმერ იაშჩენკოს მსოფლიო რეკორდი არ იხილა (234 სმ.). საერთოდ, ჩვენში ხტომა უფრო აითვისეს სხვებზე კარგად: საოცარმა დიმიტრი იოსელიანმა ადგილიდან სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში ყველა მსოფლიო რეკორდი მოხსნა (სხვათა შორის, ერთხელ იგი საჩვენებლად, ადგილიდან ბუდიონის ცხენს გადაახტა, ერთხელაც - თავისი მეთაურის პარტიზანულ კარავს მეორე მსოფლიო ომის დროს). უფრო მოგვიანებით კი, დიდი ოლიმპიური წარმატებები ვიზეიმეთ: რომის ოლიმპიადაზე ლამის მთელი მსოფილოს სპორტული სამყარო გააოგნა რობერტ შავლაყაძემ. იტალიის დედაქალაქში ის საცოდავი შედეგით, 213 სმ სიმაღლით ჩავიდა, იქიდან კი ოლიმპიურ ჩემპიონად დაბრუნდა საქართველოში. მაშინ მთელი ამერიკა გლოვობდა თავისი კუმირის, ჯონ თომასის მარცხს, რომელსაც მანამდე ზღაპრული სიმაღლე - 222 სმ ჰქონდა გადალახული. თომასი, სხვათა შორის, წინა წელს მსოფლიოს ნომერ პირველ სპორტსმენად იყო დასახელებული (ასეთი რამ ხშირად მომხდარა, როცა მძლეოსნებს პოპულარობით ჩამოუტოვებიათ პელე, მარადონა, ჩემბერლენი, ჯორდანი, სენა, ბეკერი, ნავრატილოვა და სხვა ვირტუოზები).

თითქმის პარადოქსია, მაგრამ საქართველოს, მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთა სიასაც მძლეოსანი უდგას სათავეში - სამგზის ოლიმპიური ჩემიონი ვიქტორ სანეევი, რომელიც მოსკოვში 1980 წელს მეოთხე ოქროს იმსახურებდა (მოსკოვის ოლიმპიური თამაშები ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო იყო. დანამდვილებით, მსაჯებისგან ვიცი, როგორ უზომავდნენ მეტს საბჭოთა მძლეოსნებს, განსაკუთრებით ტყორცნაში. როცა, მაგალითად, ნამგალუროიანი სპორტსმენი შუბის სატყორცნად გამორბოდა, მოპირდაპირე მხარეს სტადიონის ჭიშკარს აღებდნენ პირქარის შესაქმნელად - ამ დროს შუბი და ბადრო უფრო შორს ეცემა და ა.შ. სადოპინგო კონტროლი ხომ "ადგილობრივ" კონტროლს ექვემდებარებოდა).

სამწუხაროდ, მაია აზარაშვილის სარბიელიდან წასვლის შემდეგ აღარაფერი გვსმენია ჩვენს მძლეოსანთა რაიმე ღირებულ წარმატებებზე. მძლეოსნობა მასობრივ სპორტად ითვლება. ახალი კანონებითა თუ დებულებებით ჩვენი მოსწავლეები და სტუდენტები მასობრივად აღმოჩნდნენ... ვარჯიშისგან სრულიად თავისუფალნი.

ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა მძლეოსნური ბაზების ფართი და მათ რიცხვში მალე აღმოჩნდება ვაკის ცნობილი მანეჟიც, რომელსაც "საქმიანმა ადამიანებმა" დაადგეს თვალი. ზუგდიდის სტადიონზეც შლიან მძლეოსნობის ბილიკებს, ხოლო მას შემდეგ, რაც მძლეოსნობის სპორტული სკოლა, სხვებთან ერთად, თბილისში თვითდაფინანსებაზე გადაიყვანეს, შეიძლება ითქას, რომ "სპორტის დედოფალს" საბოლოოდ გამოუთხარეს ძირი... კიდევ კარგი, ბიზნესმენმა გოჩა ძასოხოვმა მადლს მარილიც მოაყარა და ეროვნული სტადიონის განახლებასთან ერთად, არც მისი მძლეოსნობის სექტორის კეთილმოწყობისთვის დაუკლია შრომა და სახსრები, თორემ "დედოფალი" საერთოდ ბაზის გარეშე დარჩებოდა.

მთელ მსოფლიოში კი "სპორტის დედოფალი" სრულად დედოფლობს. მას მაყურებელი ვერც ფეხბურთმა წაართვა, ვერც ავტოსპორტმა და სპორტის სხვა დისციპლინებმა, ოლიმპიური თამაშები კი მის გარეშე თავის დიდებულებას დაკარგავდა. მძლეოსნობამ ალპინიზმის მსგავსად, შეინარჩუნა ერთგვარი ფანატიზმი, მიუხედავად იმისა, რომ მძლეოსნობის ვარსკვლავთა შემოსავალი კარგა ხანია გადასცდა შვიდნიშნა ციფრს. მარტო ფულისთვის სირბილი თუ ხტომა როგორი უპერსპექტივო საქმეა, ეს დაადასტურა კრახით დასრულებულმა მცდელობებმა მძლეოსანთა პროფესიული გუნდის შესაქმნელად. მოყვარული სპორტსმენები, რომლებიც დღევანდელ უზარმაზარ ჰონორარებთან შედარებით გროშებს ილებდნენ სპორტული სტიპენდიების სახით, უფრო მაღალ შედეგებს აჩვენებდნენ, ვიდრე პროფესიონალები. დოპინგის აქტიურად გამოყენებაც მაშინ დაიწყეს, როცა არ იყო დიდი ფულადი ჯილდოები - არც თითო კილოგრამი ოქროს ზოდი და არც მილიონი დოლარი ერთი გარბენისთვის (ამერიკელი მაიკლ ჯონსონისა და კანადელი დონოვან ბეილის დუელი არატრადიციულ დისტანციაზე - 150 მეტრზე. ე.ი. თითოეული გარბენილი მეტრისთვის გამარჯვებულმა ბეილიმ დაახლოებით 67 ათასი დოლარი მიიღო)...

მძლეოსანთა შედეგები ვერც კომერციული ტურნირების ზრდამ (მაგალითად, "ოქროს სერია") გაზარდა მაინც და მაინც. მხოლოდ აფრიკელმა სტაიერებმა მონახეს თავის "შავ" გენებში დამატებითი რეზერვები და ისეთ შედეგებს აჩვენებენ, ალბათ ცხენს შურისგან დააჭიხვინებს (5 და 10 კილომეტრზე რბენაში, სტიპლჩეიზსა და მარათონში). სპრინტის მეფე კი ერთადერთია - იამაიკელი ასაფა პაუელი (9.77), რომლის ამერიკელი ვიზავის დოპინგის გამო ეს ტიტული (მანაც 9.77 აჩვენა) ჩამოერთვა.

მოკლედ, მძლეოსნობა კონკიაა, რომელიც, თუ ჭკუა გეყოფა, შეიძლება დედოფლად აქციო... უფრო სწორად, თუ ეყოფათ...

**გიორგი ჩოჩიშვილი**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა